ბიოსფეროს ცოცხალი ელემენტები, სუსტდება ბიოცენოზების თვირეგულირების უნარი. რაც, საბოლოოდ მათ დეგრადირებას უწყობს ხელს. ბიოსფეროს უარყოფითი ცვლილების ეს ზოგადი პროცესი კატასტროფულად ვითარდება. მათ შემცირების პერსპექტივები კი ჯერჯერობით არ ჩანს.

გარემოს გაბინძურების წყაროებია: სამრეწველო და თბოენერგეტიკული კომპლექსები, საყოფაცხოვრებო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო ობიექტები, ტრანსპორტი, ადამიანის მიერ ეკოსისტემებში შეტანილი ქიმიური ნივთიერებები (მაგალითად სარეველებთან ბრძოლის ან მცენარეთა დაცვის მიზნით). ყველა შემთხვევაში გაბინძურების ობიექტს ბიოსფეროს სტრუქტურული ურთევლი ეკოსისტემა წარმოადგენს. ტოქსიკურ ნივთიერებათა ჭარბი რაოდენობა ეკოლოგიურ ფაქტორთა რეჟიმის ცვლილებას იწვევს, ამის გამო ცოცხალი ორგანიზმები მათთვის უჩვეულო პირობებში ექცევა. ირლვევა ნივთიერებათა ცვლის პროცესები, კვებითი ჯაჭვების ოპტიმალური სტრუქტურა და ფუნქციონირება და საბოლოოდ ბიოცენოზების პროდუქტიულობაც.

გარემოს ანთროპოგენული ცვლილების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ენერგეტიკული რესურსების ინტენსიური გამოყენებაა. ჩვენს პლანეტაზე მოსახლეობის რიცხოვნება, ენერგეტიკული რესურსების სარჯვა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება ერთმანეთთანაა დაკავშირებული და სამივე ექსპონენციალურად იზრდება. ბოლო საუკუნის მანძილზე პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 3,5-ჯერ გაიზარდა, რესურსების ხარჯვა კი - თითქმის 32-ჯერ. ენერგიის წყაროების გამოყენების მხრივ კაცობრიობის ისტორიაში თრი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: მერქნის შეცვლა ქვანახშირით XIX საუკუნეში და ქვანახშირის შეცვლა ნაგობით მე-XX საუკუნეში. დღევანდელი თაობა კიდევ ერთი გლობალური ცვლილების წინაშე დგას, მაგრამ მნელია თმა რამდენად მასშტაბური იქნება და როგორი ტემპით გაგძელდება იგი, ექნება მას ტქნოლოგიური, ტექნიკური რევოლუციის და ეკოლოგიის ხასიათი. ტექნიკურ რევოლუციაში უნდა გიგანტური პირგელ რიგში ენერგეტიკის ალტერნატიული წყაროების ათვისება.

ქვანახშირს, როგორც ერთ-ერთ ტრადიციულ საწვავს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობისათვის, სწორედ ქვანახშირმა შეცვალა XIX საუკუნეში ადამიანის საკუთარი ენერგია. ბოლო წლებში ქვანახშირის მოხმარების ინტენსიობა ეცემა. ამის მიზეზია მის მოპოვებასთან დაკავშირებული სიმნელეები. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ქვანახშირი გარემოს გაბინძურების ერთ-ერთი ძლიერი წყარო და ძლიერ მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მისი წვის პროცესში დიდი რაოდენობით უანგბადი იხარჯება, ხოლო ატმოსფეროს გლობალური გაბინძურების 29%-ს მისი წვის პროდუქტიები შეადგენს. სუპატაშვილის

მონაცემებით ქვანახშირის წვის შედეგად გარემოში 870-ჯერ მეტი კერცხლისწყალი, 125-ჯერ მეტი დარიშხანი, 60-ჯერ მეტი ურანი იფანტება, ვიდრე ბუნებრივ მიმოქცევაშია. მსხვილი თბოელექტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე ნიადაგის რადიაცია დაახლოებით 100-ჯერ აღემატება ფონურს. ქვანახშირთან შედარებით ნავთობი, მეტადრე ბუნებრივი გაზი, ბევრად უფრო სუფთა ენერგეტიკული რესურსებია. ტრანსპორტის სხვა სახეებს შორის ბენზინის ძრავაზე მომუშავე ავტომანქანების მნიშვნელობა გარემოს გაბინძურებაში ძალზე დიდია. ინდუსტრიულ ქვეყნებში გაბინძურების 60% ავტომანქანებზე მოდის, ზოგიერთი ქალაქი კი ეს მაჩვენებელი 80%-ჩ აღწევს. ატმოსფეროს გაბინძურების დონე ქალაქის თავზე დაახლოებით 15-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად და 100-150-ჯერ მაღალი, ვიდრე ოკეანურ სივრცეში. ავტომანქანების გამონაბოლქვი 200-მდე კომპონენტს შეიცავს, რომელთაგან განსაკურებული ტოქსიკურობით CO, NOx, ზოგიერთი ნახშირწყალბადი და მეტადრე ტყვია ხასიათდება. გამოთვლილია, რომ 130 მილიონამდე ავტომანქანა დღე-დამეში 80 000-მდე ტონა CO<sub>2</sub>, 15000-დე ტონა ნახშირწყაბადებს, 50000-მდე ტონა აზოტის ოქსიდებს და თითქმის 1000 ტ. ტყვიას გამოყოფს. არსებული მონაცემებით, დღეს მსოფლიოში 600 მილიონამდე ავტომანქანაა. საუკუნის ბოლოსთვის მისი რაოდენობა შესაძლოა გაორმარგდეს. თუ არ იქნა მიღებული, სათანადო ზომები, ავტოტრანსპორტით გამოწვეული გარემოს გაბინძურება მკვეთრად გაიზრდება. ტრანსპორტის სხვა სახეების წილი გარემოს გაბინძურებაში ბევრად უფრო მცირეა.

**მრეწველობა -** საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების წამყვანი სფეროა. წარმოების ეტაპების მიხედვით იგი იყოფა მომპოვებელ და გადამამუშავებელ, ხოლო პროდუქციის მიხედვით - მძიმე და მსუბუქი დარგებად. მრეწველობის სხვა დარგებს შორის, მეტალურგია გარემოს გაბინძურების ერთ-ერთი წყაროა. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე გამოდნობილია 20 მლრდ-მდე ტონა რკინა. მისი რაოდენობა მანქანადანადგარებში, ნაგებობებში, სხვადასხვა მოწყობილობებში ამჟამად 6 მლრდ ტონას უახლოვდება, შესაბამისად 14 მლრდ ტონა გარემოშია გაბნეული. მაღალი ტოქსიკურობით ქიმიური მრეწველობაც ხასიათდება. ტექნოგენური აეროზოლების მძლავრი გენერატორია სამშენებლოა წარმოება, პირველ რიგში, ცემენტის ქარხნები. ცემენტის წვრილი დისპერსიული მტვერი პაერის ნაკადით ხშირად ასეულ კილომეტრებზე გადაიტანება. ქიმიური შენაერთების გამოყენებას სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ დიდი ხნის ისტორია აქვს. მათი როლი გარემოს გაბინძურებაში ძალზე დიდია. ამ მხრივ პირველ რიგში პეტიციდები უნდა აღინიშნოს, რომელიც იყენებენ მცენარეთა, სოფლის მეურნეობის

პროდუქტების, მერქნის, მატყლის, ტყვიის ბამბის და სხვათა დაცვისთვის. აგრეთვე, ცხოველთა ექტოპარაზიტებისა და დაავადებათ გადამტანების წინააღმდეგ. თავდაპირველად პესტიციდებმა გადატრიალება მოახდინა სოფლის მეურნეობაში. მათი გამოყენებით შესაძლებელი გახდა პროდუქციის თვითლირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა, მოსავლის დანაკარგის მინიმუმადე დაყვანა. მაგრამ ამავე დროს აშკარა იყო პესტიციდების უარყოფითი თვისებებიც, ეკოსისტემებში ბიოაკუმულირებისა და ბიოტრანსფორმირების პროცესში პესტიციდები წამლავენ მცენარეებს, შინაურ ცხოველებს და მიკროორგანიზმებს. მათ ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავიათ გარემოს მუტაგენურ ფაქტორებში. ადამიანის ორგანიზმში შეჭრისას იწვევენ საერთო ავადობის ზრდას, ორსულობის პათოლოგიას, თანდაყოლილ ანატომიურ და ფიზიოლოგიურ დაფუქტებს, ბავშვის ფიზიკური განვითარების შეფერხებას, სასქესო ფუნქციის მოშლას, ფსიქიურ დეპრესიებს, მებენიერების დაჭვეითებას, კანცეროგენული პროცესების სტიმულირებას. სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია, პესტიციდების გარდა, მინერალური სასუქების დამზადებას და გამოყენებასაც გულისხმობს. მინერალური სასუქი - ესაა წიაღიდან მოპოვებული ან ხელოვნურად დამზადებული ქიმიური ნაერთები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ მცენარეთა კვებისთვის აუცილებელ ერთ ან რამდენიმე ძირითად ელემენტს, მცენარის სიცოცხლისთვის საჭირო მიკროელემენტებს, ბუნებრივ პროდუქტებს, რომლებიც ნიადაგის ქიმიური და სტრუქტურული თავისებურებების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მინარალური სასუქების სწორი გამოყენების დროს მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი მატულობს. მაგრამ დადებით მხარეებთან ერთად, მათ სერიოზული ნაკლიც აქვთ. დანიშნულებისამებრ დახარჯული სასუქების მხოლოდ 40-50% გამოიყენება, დანარჩენი ატმოსფერული ნალექებით სასოფლო-სამეურნეო მინდვრებიდან ირეცხება და მდინარეებში, ტბებში და ზღვებში ხვდება. ხშირად სოფლის მეურნეობის პროდუქტებში უმეტესად ბოსტნეულში, ნიტრატები მეტად ტოქსიკურ ნივთიერებებად გარდაიქმნება. ადამიანის ორგანიზმში ნიტრატები ხელს უწყობს ჰემოგლობინს გარდაქმნის მეტკემოგლობინად, რომელსაც აღარ გააჩნია ჟანგბადის ტრანსპორტირების უნარი.

გარემოს უარყოფითი ცვლილების ერთ-ერთი მიზეზი-რადიციული გაბინდურებაა. ხანგრძლივი დროის მანძილზე ბუნებრივი რადიონუკლეიდები მაიონიზირებელი გამოსხივების ერთადერთი მიზეზი იყო, მაგრამ ხე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა ანთროპოგენული წარმოშობის არაერთი სხვა წეარო. მათ მიეკუთვნება დედამიწის სიღრმიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას ამოტანილი ბუნებრივი რადიონუკლეიდები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დედამიწაზე გაჩნდა გარემოს უარყოფითი ცვლილების

გამომწვევი კიდე თერთი წყარო-ბირთვული დაშლის პროცესი, რომელიც გარემოს რადიაქტიურ დაბინძურებას იწვევს. ამ მხრივ ყველაზე სახიფათოა ატომური უმბარების გამოცდა, რომელსაც მოსდევს ათასობით კილომეტრზე რადიოაქტიური ნარჩენების გაბნევა. 1945-86 წლებში მსოფლიოში 1500-მდე ბირთვული აფეთქება განხორციელდა. შედეგად, ატომსფეროში რადიონუკლეიდების უზარმაზარი რაოდენობა გავრცელდა. ამან მნიშვნელად შეცვალა პლანეტის რადიოკოლოგიური სიტუაცია. 60-იანი წლებიდან აღმოცენდა გარემოს გაბინძურების ახალი წყარო - ავარიები ატომურ ელექტროსადგურებზე. ატომური ენერგეტიკის არსებობის მანძილზე სხვადასხვა ტიპის 150-ზე მეტი ავარია მოხდა, რომელთა შორის, როგორც რადიაციის დონით, ისე გაბინძურებული ტერიტორიის სიდიდით, ჩერნობილის ავარია ერთ-ერთი ყველაზე დიდი იყო. ატომური აფეთქების ზონაში ადამიანები იწამლებიან რადიოაქტიური ნივთიერებებით, რომელიც მტვერთან ერთად ილექებიან ტანსაცმელისა და კანის საფარველზე. ჰაერთან და საკვებთან ერთად რადიაქტიური ნივთიერებები შეაღწევენ ადამიანის ორგანიზმში. ადგილმდებარეობის რადიაქტური ნივთიერებებით მოწამვლა დამოკიდებულია აფეთქების სიმძლავრეს და სახეობაზე, ქარის სიძლიერეზე, მის მიმართულებაზე, გარემოსა და გრუნტის ხასიათზე, ამინდის მეტეოროლოგიურ პირობებზე. გარემოს მოწამვლის ხარისხი ძირითადად დამოკიდებულია აფეთქების სიმძლავრეზე. რაც უფრო მძლავრია აფეთქება, მით მეტია რადიაქტიური მოწამვლა.

შეიარაღება - გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მნიშვნელოვანი წყაროა. სამხედრო პოტენციალის ზრდა თავისთავად გულისხმობს მრეწველობის მრავალი დარგის განვითარებას. გარემოს ზიანს აყენებს სხვადასხვა სახის პოლიგონი, საწყობები, სამარხები. განსაკუთრებით გადაულახავ პრობლემებს ქიმიური და ატომური იარაღისთვის განკუთვნილი ობიექტები, ბირთვული იარაღის წარმოებისა და ატომური წყალქვეშა ნავების ბირთვული საწვავების ნარჩენები ქმნიან. გარემოს უარყოფითი ცვლილება პრაქტიკულად მის ყველა პარამეტრში აისახება, თუმცა ამ ცვლილების გამოვლენა და შეფასება სხვადასხვა სირთულესთანაა დაკავშირებული.

## ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. გ. ქაჯაია - ეპოლოგიური კრიზისი და ზნეობრივი ფასებულობები. თბილისი. 2014.
2. გ. სუპატაშვილი გ. ქაჯაია - გარემო და ადამიანი თსუ 2001 წ.
3. გ. ქაჯაია - ბიოსფერო დღეს და მომავალში თბილისი 2011 წ.

4. ქ. ობოლაძე - რადიაციული ეკოლოგია, ქუთაისი 2005 წ.

Экология

## ЭКОЛОГИЧЕСКОЕ СОСТОЯНИЕ ПЛАНЕТЫ

**Н. КИЛАДЗЕ**

Государственный Университет Акакия Церетели

### Резюме

Разные параметры определяют свойство среды на нашей планете. Эти параметры: энергетический, гидрологический, биологический, геохимический. Все эти параметры взаимодействуют друг на друга. Изменение биосферы происходит естественным и антропогенетическим путем. Экологический кризис связан в основном с научно-техническим прогрессом. В условиях - научно-технической революций значительно усложнились взаимоотношения человеческого общества с природой. Человек получил возможность влиять на ход естественных процессов. Промышленный прогресс сопровождается поступлением в биосферу огромного количества загрязнений, которые могут нарушить природное равновесие и угрожать здоровью людей.

Ecology

## ECOLOGICAL HEALTH OF THE PLANET

**N. KILADZE**

Akaki Tsereteli State University

### Summary

Various parameters determine the properties of the environment on our planet. These parameters are: energetic, hydrological, biological, geochemical. All these parameters interact with each other. Changes in the biosphere occur naturally and anthropogenetically. The environmental crisis is mainly associated with scientific and technological progress. In the conditions of scientific and technological revolutions, the relationship between human society and nature has become significantly more complicated. Man has the opportunity to influence the course of natural processes. Industrial progress is accompanied by the entry into the biosphere of a huge amount of pollution that can disrupt the natural balance and threaten human health.

საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვების დროს ნავთობის ჩაღვრით  
გამოყვაული გარემოზე ზემოქმედების სახეების შესრულება და სწრაფი  
რეაგირების თანამედროვე ტექნოლოგიების განხილვა

ნათია კამპამიძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომის მიზანია ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მაგალითზე შევისწავლოთ საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვების დროს ნავთობის ჩაღვრის შედეგად გამოწვეული ზემოქმედება: ზღვის სანაპირო ზოლის ეკოლოგიურ სისტემებზე, კუნძომიკურ მიმდინარე საქმიანობებზე, ზღვის რესურსების მომხმარებლებზე და განვიხილოთ ამ პროცესის მოგვარება ჩაღვრის სწრაფი რეაგირების თანამედროვე ტექნოლოგიებით.

**შესავალი**

ბათუმის ნავსადგური ოდითგანვე ცნობილი იყო, როგორც ევროაზიური და საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის უმნიშვნელოვანები ნაწილი. დღეისათვის ბათუმის ნავსადგური წარმოადგენს შემაერთებელ სატრანსპორტო ხაზს, რომელიც აერთებს ევროპას აზიათოან და პირიქით. ნავსადგური უკავშირდება კავკასიის, ცენტრალური აზიის, რუსეთის და თურქეთის ქვეყნებს საავტომობილო და სარკინიგზო გზებით.

ნავსადგური გამოიყენება აგრეთვე, როგორც მთავარი სატრანსპორტო ნავსადგური ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ნავთობის გადასამუშავებლად. გააჩნია შესაძლებლობა დააკმაყოფილოს კლიენტების მოთხოვნები სხვადასხვა ტვირთებთან, გემებთან და მგზავრებთან მიმართებაში. ნავსადგურს გააჩნია 5 ტერმინალი: ნავთობტერმინალი, მშრალი ტვირთის ტერმინალი, საკონტეინერო ტერმინალი, სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი და სამგზავრო ტერმინალი. აღნიშნული ტერმინალები აღჭურვილია საონადო ამწე-მოწყობილობებით, რაც ხელს უწყობს ტვირთების დროულ და ხარისხიან გადამუშავებასა და ნავსადგურის კლიენტთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ბათუმის საზღვაო ნავსადგურში იტვირთება სხვადასხვა სახეობის ნედლი ნავთობი, რომელთაც განსხვავებული შემადგენლობა და მახასიათებლები აქვთ. საზღვაო გაზიდვებს ექვემდებარება აგრეთვე, მაზუთი, ბენზინი, დიზელი, და სხვა საწვავები, რომლებიც გამოიყენება

გემებზე და მრეწველობაში, ან ნავთობის ზემოაღნიშნული სახეობების სხვადასხვა კომბინაციები. ნავსადგურში ასევე, ხორციელდება გემების საწვავით გამართვა (ბუნკერირება).

- ნაშრომში განვიხილეთ ჩატგრითვების და გადაზიდვების დროს ნავთობის დაღვრის რისკები და მართვის პროცესზე მოქმედი ფაქტორები:
- საზღვაო ტრანსპორტში ნავთობის ჩასატვირთად გამოყენებული ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობა;
  - ინფრასტრუქტურის საექსპლუატაციო მახასიათებლები;
  - ნავსადგურში გემების შესვლა-გამოსვლის და გადაადგილების ინტენსიურობა;
  - სალოცმანო მომსახურების და გემების მოძრაობის კონტროლის ასპექტები;
  - ნავთობით ზღვის დაბინძურების ფაქტობრივი შემთხვევების ტიპი, მიზეზები და რაოდენობა;
  - ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის, ნავთობის გადატვირთვის პროცესის ეკოლოგიური პარამეტრების მართვის სისტემების შედეგიანობის ინსპექტირების და შემოწმებების სისრულე და სისტემატურობა;
  - ტანკერების აღჭურვილობა და ტექნიკური მდგომარეობა;
  - პერსონალის მომზადების დონე, თეორიული და პრაქტიკული სწავლებების სისრულე და სისტემატურობა;
  - შრომის დაცვის და სამრეწველო უსაფრთხოების პროცედურების შედეგიანობა;
  - ნავთობის ტიპი;
  - პიდროლოგიური და მეტეოროლოგიური პირობები;
  - ადგილმდებარეობა.

განხილული გვაქვს ასევე ნავთობის დაღვრებით სერიოზული ეკონომიკური ზეგავლენა სანაპიროზე მიმდინარე საქმიანობებზე და ზღვის რესურსების მომხმარებლებზე. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი ზიანი დროებითი ხასიათისაა და უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია ნავთობის ფიზიკური მახასიათებლებით, ქმნის რა უსიამოვნო გარემოებებს და სახიფათო პირობებს. ზემოქმედება ზღვის ბინადრებზე განისაზღვრება ტოქსიკურობით და შეფერადების შედეგებით, რაც გამოწვეულია ნავთობის ქიმიური შემადგენლობითა და განსხვავებულობით, აგრეთვე მათი მგრძნობელობით ნავთობით დაბინძურებისადმი.

ნავთობის ზეგავლენა ზღვის სანაპიროზე მიმდინარე საქმიანობებზე:

ნავთობის დაღვრა, განსაკუთრებით მტკიცნეულია ბათუმის და მიმდებარე ზღვის კურორტების რეკრეაციული ინფრასტრუქტურისათვის, როგორც წესი, სანაპირო ზონების დაბინძურება მოჰყვება, რაც უარყოფითად მოქმედებს სხვადასხვა სახის ტურიზმზე, იწვევს საზოგადოების უკმაყოფილებას და ხელს უშლის სანაპირო

თევზჭერას, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესს და ყველა დანარჩენს, ვინც შემოსავალს იღებს ტურიზმისგან.

უნდა აღინიშნოს, რომ სანაპიროს ტერიტორიებისადმი და რეკრეაციული ღონისძიებებისადმი მიყენებული ზიანი ერთჯერადი დაღვრისაგან შედარებით მოკლევადიანი ხასიათისაა, თუმცა დასუფთავების ღონისძიებების დასრულების შემდეგ, ერთერთ ძირითად და ყველაზე რთულ საკითხს, საზოგადოების ნდობის აღდგენა წარმოადგენს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებების დროს, გამოყენებული იქნას ყველა შესაძლებლობა, რათა ნავთობის ლაქა არ გავრცელდეს პლატფორმისაკენ და საზღვაო ტურიზმის და საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტებისაკენ.

სწორედ ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია შევისწავლოთ საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვების დროს ნავთობის ჩაღვრის სწრაფი რეაგირების თანამედროვე ტექნოლოგიები.

ამ კუთხით განხილული გვაქვს სანტა ბარბარას სანაპიროს, კალიფორნიის შტატის მაგალითზე, როგორ ხდება ნავთობის ჩაღვრის შესწავლა და რეაგირება.

სანტა ბარბარას სანაპიროზე ათასობით გალონი ნავთობი იღვრება ზღვის ფსკერზე ნაპრალებში და ყოველდღიურად ამოდის ზედაპირზე. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბუნებრივი ნავთობის გაუონვის ადგილი და ითვლება, რომ ის აქტიურია ათასობით წლის განმავლობაში და არის კატასტროფის ზონა.

სწორედ ამ კუთხით NASA და ეროვნული ოკეანისა ადმინისტრაციის მეცნიერების ერთობლიობით ხდება დისტანციური ზონდირების ტექნოლოგიის გამოყენება ნავთობის დაღვრაზე რეაგირებისათვის.

პირველ ეტაპზე ნავთობის დაღვრის ოპერატორიული ავტომატური გამოვლენის შესაქმნელად იქმნება ნავთობის მოცულობის გეოსივრციონი რუკები ხდება მათი ანალიტიკა და ასევე ნავთობის სისქის დახასიათების აპლიკაციების შექმნა.

მეორე ეტაპზე გუნდი NOAA-სთვის - წამყვანი ფედერალური სააგენტო, რომელიც გამოავლენს და თვალყურს ადეკვატური სანაპირო ნავთობის დაღვრას - იყენებს დისტანციური ზონდირების მონაცემებს, რათა დადგინდეს არა მხოლოდ სად არის ნავთობი, არამედ სად არის ყველაზე სქელი ნაწილები, ერთ-ერთი კრიტიკული ნაწილი, რეაგირებისა და გამოსწორებისათვის.

NASA-ს UAVSAR, ანუ საპარო სომალდის სინთეზური დიაფრაგმის რადარი, მიმაგრებულია თვითმფრინავის ფიუზელაჟზე, რომელიც აგროვებს ტერიტორიის დახლოებით 12 მილის სიგანის (19 კილომეტრის სიგანის) სურათს (სურათ#1).

ინსტრუმენტი აგზავნის რადარის იმპულსებს ოკეანის ზედაპირზე და სიგნალები, რომლებიც უკან ბრუნდებიან, გამოიყენება ოკეანის ზედაპირზე

ტალღებით გამოწვეული ჩაღვრის ხასიათის დასადგენად. ზეთის არსებობისას ის ატენიანებს ტალღებს და ქმნის უფრო გლუვ წყალს. ეს გლუვი, ცხიმიანი



სურათი #1: NASA-ს UAVSAR, რადარი, მიმაგრებულია თვითმფრინავის ფიუზელაჟზე, რომელიც აგროვებს ტერიტორიის დაახლოებით 12 მილის სიგანის (19 კილომეტრის სიგანის) სურათს.

უბნები უფრო ბნელი ჩანს, ვიდრე ირგვლივ სუფთა წყალი SAR გამოსახულებაში - რაც უფრო სქელია ზეთი, მით უფრო მუქი გამოჩნდება ტერიტორია.

შემდეგ ეტაპზე კი საჭაერო ხომალდის დაკვირვებები უნდა დადასტურდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეცნიერები უნდა წავიდნენ იმავე ადგილას ნავით, რათა გაზომონ ზეთის სისქე ხელით.(სურათი#2)



სურათი# 2. მეცნიერები ადგილზე ნავით, რათა მოხდეს ზეთის სისქეს ხელით გაზომვა.

ზღვის წყალში იდება სემპლერი, რომელიც ჰგავს მილს, ორივე დიად დაბოლოებით, წყალში ერთი წუთით და როცა მილი იხურება ზეთისა და წყლის მცირე ფენა გროვდება. ზეთის ფენის დადგომის შემდეგ, შეიძლება

გაიზომოს ზეთის ფენის სისქე და შეადარდეს ის UAVSAR-ის დაკვირვებებს, რათა დადგინდეს რამდენად მჭიდროდ ემთხვევა ისინი ერთმანეთს.

ასევე მიღებული შედეგის ვალიდაციისათვის კიდევ გამოიყენება დრონი, რომელსაც აქვს ოპტიკური სენსორი, რომელსაც შეუძლია დააკვირდეს ლაქას და გაზომოს მისი სისქე უფრო ფართო ფართობზე, კიდრე გემიდან ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ უპილოტო საფრენი აპარატების უნარი ნავთობის დაღვრის სისქის გამოვლენისათვის მეტად საჭიროა, არაპრაქტიკულია თვითმფრინავის ფრენა ნავთობის ყველა დაღვრაზე. ამიტომ UAVSAR არის მომავალი თანამგზავრის მისის პროტოტიპი, სახელწოდებით (NASA-ISRO Radar Synthetic Aperture Radar ან NISAR,) რომელიც არის NASA-სა და ინდოეთის კოსმოსური კვლევის ორგანიზაციებს (ISRO) შორის პარტნიორობით შექმნილი. MOST პროექტის დროს შემუშავებული მეთოდები და ალგორითმები შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალი მისის მონაცემებზე.

### **დასკვნა**

ამრიგად ნაშრომში განვიხილეთ ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მაგალითზე საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვების დროს ნავთობის ჩაღვრის შედეგად გამოწვეული ზემოქმედება: ზღვის სანაპირო ზოლის ეკოლოგიურ სისტემებზე, ეკონომიკურ მიმდინარე საქმიანობებზე, ზღვის რესურსების მომხმარებლებზე და შემოთავაზებული გვაქვს ჩაღვრის სწრაფი რეაგირების პრობლემის მოგვარების თანამედროვე ტექნოლოგიები.

### **ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА**

1. <https://georgiantravelguide.com/ka/batumis-sazghvao-navsadguri>.
2. <https://coastalresponse.ca/wp-content/uploads/2020/11/Marine-Oil-Spill-Response-Community-Guide-Web.pdf>
3. D.A. Reich, R. Balouskus, D. McCay, J. Fontenault, J. Rowe, Z. Singer-Leavitt, Assessment of marine oil spill risk and environmental vulnerability for the state of Alaska. Prepared for Department of Commerce, NOAA. NOAA Contract Number: WC133F-11-CQ-0002, 2014.
4. სკრინინგის განცხადება. pdf
5. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0006320724001198>

Экология

**ИЗУЧЕНИЕ ВОЗДЕЙСТВИЯ РАЗЛИВА НЕФТИ НА ОКРУЖАЮЩУЮ СРЕДУ ПРИ МОРСКОЙ И НАЗЕМНОЙ ПЕРЕВОЗКЕ И ОБСУЖДЕНИЕ СОВРЕМЕННЫХ ТЕХНОЛОГИЙ БЫСТРОГО РЕАГИРОВАНИЯ****Н. КАМКАМИДЗЕ**

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

Цель статьи - изучить влияние разливов нефти во время морской и наземной перевозке на примере Батумского морского порта: влияние на экологические системы морского побережья, на текущую хозяйственную деятельность, на пользователей морских ресурсов, а также рассмотреть возможность решения этой проблемы с использованием современных технологий ликвидации разливов.

Ecology

**EXAMINE THE ENVIRONMENTAL IMPACTS CAUSED BY OIL SPILLS DURING SEA AND LAND TRANSPORTATION AND DISCUSS MODERN RAPID RESPONSE TECHNOLOGIES****N. KAMKAMIDZE**

Akaki Tsereteli State University

Summary

Summary the purpose of the article is to study the impact of oil spills during sea and land navigation using the example of the Batumi seaport: on the ecological systems of the sea coast, on current economic activities, on users of marine resources, and also to consider solving this problem using modern spill response technologies.

ნავთობისა და გაზის ტექნიკურა მიღებადების მშენებლობის და  
მშენებლობის პროცესში გარემოზე ზემოქმედების ზემოქმედების  
რისკების შესრულებლა

ნათია კამპანია  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეტატია შესრულებულია მაგისტრალური ნავთობისა და გაზის  
მიღებადების მშენებლობის და დასრულების შემდეგ ექსპლუატაციის  
პროცესში გარემოზე ზემოქმედების, საზოგადოების კეთილდღეობის,  
ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უკეთესობის მაღალი პოტენციური  
რისკების კერძოდ მიღებადების რღვევებთან დაკავშირებული პრობლემების  
განხილვა და შემარბილებელი ღონისძიებების ჩამოყალიბება.

**შესავალი**

მაგისტრალური ნავთობსადენების ექსპლუატაციისას ერთ-ერთ  
აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს სახაზო ნაწილის უსაფრთხო  
ექსპლუატაციის უზრუნველყოფა, რომელიც წყდება უმთავრესად, სწორი  
მონიტორინგის შედეგად მაღალი რისკების დროული გამოვლენის  
საფუძველზე ავარიული სარემონტო აღდგენითი სამუშაოების დროულად  
ჩატარების ხარჯზე.

მიღებადენებზე ავარიებს ახასიათებს მნიშვნელოვანი მასშტაბი,  
ბუნებასა და ადამიანებზე უარყოფითი ზემოქმედების ფორმების  
მრავალფეროვნება. ეს განპირობებულია მიღებადენების გადასატუმბი  
ნივთიერებების ნაკადის დიდი ინერციულობით გამოხატული სპეციფიკით.  
ეს ინერციულობა გამოწვეულია სატუმბ და სკომპარესორო სადგურებს  
შორის დიდი დაშორებით, აგრეთვე მიღებადენების რთულ ბუნებრივ-  
კლიმატურპირობებიან ტერიტორიებზე განლაგებით.

**სწორედ ჩვენი კვლევის მიზანია:** ნავთობსადენის მშენებლობის და  
ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე ზემოქმედების შესაძლო სახეების  
განხილვა და მისი შემარბილებელი ღონისძიებების ჩამოყალიბება.

წიაღისეული საწვავზე დამოკიდებული საზოგადოების ნავთობისა და  
გაზის ტექნიკურა მიღებადენებით არის მნიშვნელოვანი  
რგოლი ნავთობის ინდუსტრიის ჯაჭვში. მიუხედავად იმისა, რომ  
ზოგიერთისთვის ოფშორული მიღებადენების მშენებლობა არის  
შესაძლებლობა, უსაფრთხოდ და იაფად მიაწოდოს ნავთობი და გაზი

მომხმარებლისთვის, სხვებისთვის მიღსადენის მშენებლობა გარემოსდაცვითი კატასტროფის პოტენციური რისკია.

პრობლემის ცოდნა და აღიარება არის პირველი ნაბიჯი მიღსადენის რდვევასთან დაკავშირებული რისკების შემარბილებელი მოქმედებისკენ. პირველი, მიღსადენის მშენებლობის პროექტის განხორციელება იწყება გარემოზე ზემოქმედების შეფასებით (გზე) და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებით (ბსგზე), რომლებიც უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე პროექტის დამტკიცებამდე.

მიღსადენის მშენებლობა რთული პროცესია და უზარმაზარ უარყოფით გავლენას ახდენს საზღვაო ცხოვრებაზე მიღსადენების სიგრძის (ათასობით კილომეტრი) გამომშენებლობის დასრულების შემდეგ მიღსადენების ექსპლუატაციაც ამავე დროს აქვს მაღალი რისკის შემცველია, რაც დაკავშირებულია მიღსადენის რდვევებთან.

მიღსადენების მონტაჟის და ინსტალაციის პროცესში თხრილები არღვევს საზღვაო ცხოვრებას, იწვევს ზღვის ეკოსისიტემის რდვევას და ართულებს ხელახალი კოლონიზაციას არღვენას :რბილი ნალექის მქონე რაიონებში ბენთური თემები აღდგება ერთ-ორ წელიწადში ხოლო მყარ სუბსტრატში ხელახალი კოლონიზაციას შესაძლოა 10 წლამდე დასჭირდეს (წყარო: ზემოქმედების შეფასება, 2009).

თუმცა ამ პროცესის დაღებითია ის, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, მიღსადენები შეიძლება გახდეს თავშესაფარი ახალი საზღვაო სიცოცხლისთვის და უზრუნველყოს პაბიტატი ბენთური ორგანიზმების ახალი სახეობებისთვის.

მიუხედავად ამისა, პლანქტონურ ბენთურ თემებში თუნდაც უმნიშვნელო ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს კვებითი ჯაჭვის ცვლილება, რაც საბოლოოდ შეაფერხებს ზღვისპირა თემების ეკონომიკურ განვითარებას, რომლებიც დამოკიდებული არიან მეთევზეობაზე. გარდა ამისა, მიღსადენების მშენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ტყეების განადგურება, მცენარეული საფარის დეგრადაცია და გელური ბუნების სანაპირო თემების პაბიტატის დარღვევა. (სურათი#1 ნავთობის გავრცელების საზღვრების დადგენა).

ყოველწლიურად მიღსადენების მთლიანი სიგრძის წელიწადში 6%-ით გაზრდის შედეგად, რაც იწვევს კატასტროფის უფრო მაღალ რისკს, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით კი მიღსადენის რდვევები სულ უფრო მცირდება. (წყარო: უილიამსი, 2012). ჩამოთვლილი გვაქს მაღალი რისკები:

-ეკოლოგიური სისტემების რდვევა მიღსადენების ობიექტების მშენებლობის, ექსპლოატაციის და აგარიული სიტუაციების დროს;

-სასოფლო სამეურნეო ნაყოფიერი მიწის რესურსების შემცირება;

-ბუნებრივი ლანდშაფტების რდვევა;

-ატმოსფეროს ნახშირწყალბადით დაბინძურება მიღგაყვანილობის მთლიანობის დარღვევის, პზარების შედეგად;

-თხევადი სახის პროდუქტების გაუზნვის შედეგად ფლორისა და ფაუნის განადგურება;

- ზედაპირული წყლების დიდი ფართობის დაბინძურება, მილგაყვანილობის ავარიული შემთხვევის დროს.

კიდევ ერთი პრობლემა რომელიც დაკავშირებულია მილსადენის რღვევასთან, მილიარდობით ბარელი ნავთობის წყალში ჩაღვრასთან, რაც უფრო გრძელია მილი, მით უფრო მაღალია ეკოლოგიური კატასტროფის რისკი. კოროზის და ჰიდრავლიკური დალუქვის უკმარისობის რისკები, წნევის და ტემპერატურის გადახრები ზრდის მილსადენის რდვევის საშიშროებას. როგორც შეკუმშული აირის, ასევე წყლის ქიმიურმა შემადგენლობამ შეიძლება გამოიწვიოს მილების კოროზია.

მაგალითად, 100-დან 200 მეტრამდე სიღრმეზე შავი ზღვის წყლები შეიცავს დაშლილ წყალბადის სულფიდს, რომელსაც შეუძლია მილსადენების კოროზია (წყარო: Tricarico, 2001).

გარდა ამისა, ზღვის ფსკერის გეოლოგიური ფორმირება კიდევ ერთი შეშფოთების საგანია. შესაბამისად, შავ ზღვას აქვს ციცაბო გრადიენტები, მაღალი სეისმური აქტივობა და გაზის ჰიდრატების დეგაზიფიკაციის საფრთხე, რაც პოტენციურად ქმნის სტრესს მილების ჰიდრავლიკურ დალუქვაზე. ავარიის შემთხვევაში მილსადენებით გადატანილი შეკუმშული აირი გამოიტყორცნება და გამოიწვევს ფართომასშტაბიან აფეთქებას. ზედმეტია იმის თქმა, რომ ნებისმიერი გაზის გამონაბოლქვი გამოიწვევს წყლისა და ჰაერის ხარისხის დეგრადაციას და კატასტროფის გადატანილი გეოსისტემის განსხვავებას და გავლენას მოახდენს სანაპირო ეკოსისტემებზე.



სურათი #1 ნავთობის ჩაღვრის გავრცელების შესწავლა

გამოყოფას და აფეთქებას, მილსადენის განადგურება ზღვის დრმა ნაწილებში გამოიწვევს გაზის ჰიდრატების წარმოქმნას მაღალი ჰიდროსტატიკური წნევის გამო. საბოლოო ჯამში, საზოგადოების კეთილდღეობა, ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება საფრთხის ქვეშ

დადგება გაზის გადინების შედეგად. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ავარიების თავიდან აცილება, კიდრე კატასტროფის შედეგებთან გამკლავება.

ყოველივე განხილულის შედეგად ჩამოყალიბდა შემარბილებელი ღონისძიებები

მიღსადენის ოღვევასთან დაკავშირებული რისკების ცოდნა და გარემოზე ზემოქმედების შემცირების, შემარბილებელი მოქმედების რამდენიმე გზა არსებობს:

-მიღსადენის ისეთი მარშრუტების არჩევა, რომლებიც ყველაზე ნაკლებ აწუხებს სანაპირო, საზღვაო გელურ ბუნებას და მცენარეულობას, გეოლოგიურ მასასიათებლებთან ერთად;

-მიღსადენის მშენებლობის ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც შეამცირებს ექსპლუატაციის დროს რღვევის რისკს;

-კოროზიის მდგრადი ფოლადის შენადნობებისგან დამზადებული მაღალი ხარისხის მიღების მონტაჟი, რომელსაც შეუძლია გაუძლოს მაღალ წევას;

- ნაპირთან დაყენებული მიღების გამაგრება ბეტონით დაფარვით, რათა თავიდან იქნას აცილებული გემების გარე დაზიანება და სხვადასხვა ანთროპოლოგიური საზღვაო აქტივობები.

### დასკვნა.

ამრიგად სტატიაში განვიხილეთ ნავთობ სადენებისა და გაზსადენების მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესებში წარმოქმნილი შესაძლო გარემოზე ზემოქმედების სახეები, ასევე ყურადღება გავამახვილეთ ყველაზე მაღალ პოტენციურად საშიშ მიღსადენების რღვევასთან დაკავშირებულ რისკებზე, საბოლოო ჩამოვაყალიბეთ შემარბილებელი ღონისძიებები.

### ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. <https://www.eurasian-research.org/publication/general-environmental-impacts-of-ubsea-pipelines/>
2. <https://www.greenpeace.org/southeastasia/story/45124/thailands-oil-pollution-at-sea-the-fossil-fuel-industrys-liability/>
3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20206?publication=16> zemoqmedebis Sefaseba, 2009.
4. ეროვნული ეპონომიკის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი-ბათუმი 2017

Экология

**ИССЛЕДОВАНИЕ ПОТЕНЦИАЛЬНЫХ РИСКОВ ВОЗДЕЙСТВИЯ НА  
ОКРУЖАЮЩУЮ СРЕДУ ПРИ СТРОИТЕЛЬСТВЕ И ЭКСПЛУАТАЦИИ  
ПОДВОДНЫХ НЕФТЕГАЗОПРОВОДОВ**

**Н. КАМКАМИДЗЕ**

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В статье рассматриваются наиболее высокие потенциальные риски для окружающей среды, общественного благосостояния, здоровья и безопасности при строительстве и эксплуатации магистрального нефтегазопровода после его завершения, в частности, проблемы, связанные с разрывами трубопроводов и возможные меры по их снижению.

Ecology

**STUDY OF POTENTIAL RISKS OF ENVIRONMENTAL IMPACT DURING THE  
CONSTRUCTION AND OPERATION OF UNDERWATER OIL AND GAS  
PIPELINES**

**N. KAMKAMIDZE**

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses the highest potential risks to the environment, public welfare, health and safety during the construction and operation of a major oil and gas pipeline after its completion, in particular, problems associated with pipeline ruptures and the formulation of mitigating measures.

ტკბილი პვერის ფარმოების ტრადიციული მეთოდით ჯანსაღი დესერტის  
ფარმოება

ნანა შათაძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია საშაქარლამო, საკონდიტრო წარმოების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ტებილი კვერის დამზადების მეთოდი, თანამდეროვე ტექნოლოგიების და ბუნებრივი პროდუქტების გამოყენებით, რომელიც ახლოს არის ტრადიციულ მეთოდთან.

სტატიაში გაშექმნილია საკონდიტრო მრეწველობაში გამარტივებული მეთოდით, ტებილი კვერის წარმოება, ამ მიზნით, მის შემადგენლობაში გამოყენებული ხელოვნური არომატიზატორების, კონსერვანტებისა და სტაბილიზატორების შეტანის შედეგად პროდუქტი ნაკლებად გემრივლი და არაჯანსაღი გახდა.

კვლევის საფუძველზე დავადგინეთ, რომ გამოყენებული ბუნებრივი პროდუქტებისაგან მომზადებული ტებილი კვერი ხასიათდება გაუმჯობესებული გემოვნური მახასიათებლებით, სასარგებლო თვისებებით და ხანგრძლივი შენახვის უნარით.

ასევე კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ საკონდიტრო წარმოებაში ტებილი კვერის შემადგენლობაში შედის ხელოვნური დანამატები: ეხენცია, სახამებელი, არომატიზატორი, მაულირებელი ნივთიერებები და ხელოვნური საღებავები რაც არაჯანსაღს ხდის პროდუქტს.

ჩვენს მიერ მომზადებული პროდუქტი, არის სასარგებლო და გამოყენებადი, რომელიც შედგება ბუნებრივი ინგრედიენტებისაგან: ვაშლი ან სხვა კენკრა, მშრალი კვერცხის ცილა, შაქრის ფხნილი გამოყენებულ ხილსა და კენკრას აქვს გამოხატული სამკურნალო თვისებები და მდიდარია გიტამინების შემცველობით.

კვლევის მიზნები წარმოადგენდა, ჩვენს მიერ მომზადებულ პროდუქტს კერძოდა თრიგინალური ორგანოლოგიკური თვისებები, რომელიც დაკავშირებულია მის შემადგენლობაში შემაგალი ფენების განსხვავებულ კონსისტენციასთან და ტენიანობასთან. ასევე აქვს ხანგრძლივად შენახვის უნარი.

ხილი წარმოადგენს ჯანსაღი კვების რაციონის განუყოფელ ნაწილს, ხილის მოხმარების პერიოდი შეზღუდულია და განპირობებულია ორი ფაქტორით: კრეფის დრო და შენახვის უნარიანობა.

მთელი წლის მანძილზე მოხმარების პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ გადამუშავებული სახით მათი გამოყენების საფუძველზე, ჩვენს მიერ ბუნებრივ ინგრედიენტებზე დამზადებული ჯანსაღი პროდუქტის სწორედ ამ მოთხოვნებს აქმაყოფილებს.

საქართველოში ბოლო ათწლეულებია ჯანმრთელი მოსახლეობის მდგომარეობა ხასიათდება ნეგატიური ტენდენციებით. ჯანსაღი ცხოვრებისათვის და შრომის უნარიანობის გასაუმჯობესებლად ადამიანის ორგანიზმს ყოველდღიურად სრულყოფილად უნდა მიეწოდებოდეს ვიტამინების, მაკრო და მიკრო ელემენტების, მინერალური ნივთიერებების გარკვეული რაოდენობა (ცხრ. 1).

### ცხრილი 1

#### ელემენტების რეკომენდირებული დღიური ნორმა, მგ

K	Na	Ca	Mg	P	Fe		
2000	700	1000	350	1200	15		
Cu	Zn	Mn	Se	Co	Mo	Cr	I
1.5	12	3.5	0.07	0.2	0.15	0.1	0.17

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაგვემზდებინა სასარგებლო პროდუქტი, რომელიც მდიდარია ვიტამინებითა და სამკურნალო თვისებებით და ხელმისაწვდომია წელიწადის ნებისმიერ სეზონზე. მცენარეული ფუძის მოსამზადებლად გამოვიყენეთ საუკეთესო ჯიშის ანტონოვკა, ლურჯი მოცვი, ალუბალი, ქლიავი, რომლებიც მდიდარია ვიტამინების შემცველობით.

ვაშლი \_ 85% წყალია, დანარჩენი ვიტამინი A, B, C, E. ფოლიუმის მჟავა, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, თუთია,

ვაშლის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნივთიერებაა- პექტინი.

ქლიავი\_ ვიტამინებს B1, B15, B6, PP და სხვა, მიკროელემენტებს K, Ca, Mg, Na და სხვა

ლურჯი მოცვი\_ ვიტამინები B1, B5, B6, PP, K1

ალუბალი--ვიტამინებს A, B, C, PP, Cu, Fe, k, mg, ასევე შეიცავს პექტინურ და მდებავ ნივთიერებებს.

ტცბილი კვერი, გახეხილი და შაქართან ერთად მოხარშული ხილისაგან მომზადებული ტკბილეულია, რომელიც მოვამზადეთ ტრადიციული მეთოდით ბუნებრივი ნედლეულის გამოყენებით. რამაც საშუალება მოგვცა შეგვექმნა სრულია ჯანსაღი პროდუქტი, სასარგებლო და სამკურნალო თვისებებით.

ჩვენი პროდუქტი შედგება ორი ფენისაგან: დაფარვის ფენისა და წარმოქმნილი პროდუქტის შემდგომი საფარით, პროდუქტის ხარისხი სრულიად დამოკიდებულია მის შემადგენლობაზე. დაფარვის ფენის მოსამზადებლად გამოვიყენეთ მცენარეული ფუძე, რომლისთვისაც ავიღეთ ანტონოვკას ჯიშის ვაშლი და კენკრის პიურე. პიურე ავიღეთ მთლიანი მასის 50% ზე ნაკლები. სტანდარტის მიხედვით 100 გრამი პროდუქტი შეიცავს: ცილას- 0,5-1,0 გრ, რომელიც დავუმატეთ პროდუქტს ელასტიურობის მისაცემად. ასევე შეიცავს ნახშირწყლებს-80,4გრ. კლასიკური რეცეპტით შაქრის კონცენტრაცია შეადგენს 24%, ხოლო გამოშრობის შემდეგ ეს მაჩვენებელი იზრდება დაახლოებით 1,5-2 ჯერ, რაც დამოკიდებულია ნედლეულში ტენის არსებობაზე.

თავდაპირველად ჩავატარეთ შემდეგი სამუშაოები, მოვახდინეთ ვაშლის, ალუბალი, ატამი, ქლიავის ნაყოფების დახარისხება და დაკალიბრება, მექანიკური მინარევების მოცილება, ხილის რეცხვა ვაშარმოეთ დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში, შემდეგ გადავიტანეთ საცხობ ფირფიტაზე გამოსაცხობად, რომელიც ჩავატარეთ კონვექციურ ღუმელში ცხელი ჰაერის ცირკულირებით 180-200 C ტემპერატურაზე. დაახლოებით 30-40 წუთის განმავლობაში, გაცივების შემდეგ გავხეხეთ 1,25-2,25 მმ დიამეტრის მქონე საცერში, მიღებული პიურეს გაშრობა მოვახდინეთ საშრობ აპარატში 65-85 C ტემპერატურაზე 8-12 საათის განმავლობაში. პირველ ნაწილს შევურიეთ წინასწარ მომზადებული მშრალი პექტინის ნარევი და გრანულირებული შაქრის ნაწილი. მეორე ნაწილს კი შევურიეთ კვერცხის მშრალი ცილა.

პექტინი შედის ხილის ნაყოფების შემადგენლობაში, როგორც პროტოპექტინის სახით. კვლევებიდან გამომდინარე ვიცით, რომ პექტინი არის ჯანსაღი კვებითი დანამატირომელიც არ შეიცავს კანცეროგენულ ნივთიერებებს. პექტინოვანი ნივთიერებები არეგულირებენ ადამიანის ორგანიზმში ქოლესტერინის რაოდენობას სისხლში. ამ სახის საკონდიტო პროდუქტის ტკბილი კვერის მიღების მეთოდი მდგომარეობს იმაში რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ძირითადი ნედლეული და მცენარეული ინგრედიენტები ვაშლის პექტინის სახით. მოვამზდეთ შაქრის სირფი და კვერცხის მშრალი ცილა. პროცესის დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ ვაშლის პიურეს ნაწილი, რომელიც ვერ მუშავდება მიმდინარე პროცესში, გადის დამოუკიდებელ დამუშავებას, ეს არ მოქმედებს პროდუქტის გემოზე, მაგრამ მნიშვნელოვნად მოქმედებს პროდუქტის გარეგნობაზე შედარებით სიმუქის თვალსაზრისით, ამიტომ დამატებით შევარჩიეთ ისეთი კენკროვნები, რომლებმაც გარკვეული ბუნებრივი შეფერილობა მისცა პროდუქტს. ჩვენი მეთოდით მომზადებული ტკბილი კვერი ინახება მშრალ, კენტირილებად ოთახში +5 +10 გრ ტემპერატურაზე და ფარდობითი ტენიანობა იქნება 75-80%. სტანდარტულად შენახვის ვადა არ უნდა აღმატებოდეს 6 თვეს. დაგადგინეთ, რომ ჩვენს მიერ გამოყენებული

ბუნებრივი პროდუქტებისაგან მომზადებული ტკბილი კვერი ხასიათდება გაუმჯობესებული გემოვნური მახასიათებლებით, სასარგებლო თვისებებით და ხანგრძლივი შენახვის უნარით.

რომელიც, წარმოადგენს ბუნებრივ ინგრედიენტებზე დამზადებულ ჯანსაღ პროდუქტს, რომელშიც გამოხატულია სამკურნალო თვისებები და მდიდარია ვიტამინების შემცველობით.

განსხვავებით, საკონდიტრო მრეწველობაში დამზადებული ტკბილი კვერისაგან, რომლის შემადგენლობაში გამოყენებული ხელოვნური არომატიზატორების, კონსერვანტებისა და სტაბილიზატორების შეტანის შედეგად პროდუქტი ნაკლებად გემრიელი და არაჯანსაღია.

## ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. გ. ხეცურიანი-„საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია“, ნაწილი 1. შაქროვანი საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია- ქუთაისი 2013 წ.212გვ.
2. დ. თავდიდიშვილი- „საზოგადოებრივი კვების პროდუქტების ტექნოლოგია"- ლექციების კურსი. ქუთაისი 2012წ.
3. ზ. შაფათავა. ვ. ნაცვლიშვილი. „ნილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგია"- თბილისი 2009წ.
4. С Абдуразанова, А.Темурхаджаеби- Узбекское пектинодержание сырья Для производства пищевого пектина-Труды Ташкентского политехнического института. (1993г)

Аграрные науки

## ИЗГОТОВЛЕНИЕ ПОЛЕЗНОГО ДЕСЕРТА ТРАДИЦИОННЫМ МЕТОДОМ ПРИГОТОВЛЕНИЯ СЛАДКИХ КУБИКОВ

Н. КАТАМАДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

### Резюме

С целью повышения эффективности производства сахара и кондитерских изделий в статье рассмотрен способ изготовления сладких кубиков, приближенный к традиционному способу, с использованием современных технологий и натуральных продуктов.

Сладких кубиков, для этого использование в его составе искусственных ароматизаторов, консервантов и стабилизаторов сделало продукт менее вкусным и вредным для здоровья.

Производство сладких кубиков, приготовленных нами традиционным способом, из натурального сырья.

На основании исследований мы определили, что сладкий кубик, приготовленный из используемых нами натуральных продуктов, отличается улучшенными вкусовыми характеристиками, полезными свойствами и способностью к длительному хранению.

Agricultural sciences

## **PRODUCTION OF A HEALTHY DESSERT USING THE TRADITIONAL METHOD OF MAKING SWEET CUBES**

**N. KATAMADZE**

Akaki Tsereteli State University

Summary

In order to increase the efficiency of sugar and confectionery production, the article discusses the method of making sweet cubes, which is close to the traditional method, using modern technologies and natural products.

The article also covers the production of sweet cubes in the confectionery industry by a simplified method, for this purpose, the artificial flavorings used in its composition.

The production of sweet cubes in a simplified method in the confectionery industry, for this purpose, the addition of artificial flavorings, preservatives and stabilizers used in its composition made the product less tasty and unhealthy. We also discussed the production of sweet cubes prepared by us using the traditional method, from natural raw materials.

On the basis of research, we determined that the sweet cube prepared from the natural products used by us is characterized by improved taste characteristics, useful properties and long-term storage ability.

მიზანების მიზანების მიზანების და ცხოველების კვებაში

გ. თაბაგარი, გ. ბილასონია, ჭ. გააანაძე  
აკაკი წერთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მცენარეულ და ცხოველურ ორგანიზმებში მოიპოვება თითქმის ყველა დღეისათვის ცნობილი ქიმიური ელემენტი. ნაშრომში მოცემულია და განხილულია მხოლოდ ის მეტალები, რომლებიც მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმებისათვის ძირითად აუცილებელ საჭირო ელემენტებს წარმოადგენენ. კერძოდ, ყველაზე უფრო პრაქტიკული მნიშვნელობის ტუბე მეტალებიდან ცნობილია ნატრიუმი და კალიუმი, მათი ნაერთები; მაგნიუმი, კალციუმი, ბარიუმი, სპილენდიტი და რინი. კალიუმი ხელს უწყობს მცენარეები ნახშირწყლების – სახამებლის, შაქრების და სხვ. წარმოქმნას. კალიუმი ხელს უწყობს მცენარის მიერ ყინვებისა და გვალვებისადმი გამძლეობას. კალიუმით ნორმალურად კვების შემთხვევაში პურეული კულტურები გამძლე ხდებიან სოკოვანი დაავადებებისადმი. ნატრიუმი და კალიუმი ისევე ესაჭიროება ცხოველებს, როგორც მცენარეებს. ისინი ცხოველთა კვების აუცილებელი ელემენტია. ნაშრომში განხილულია მაგნიუმის, კალციუმის, ბარიუმის, სპილენდიტის და რინის მნიშვნელობა ცხოველებისა და მცენარეების კვების საქმეში.

მცენარეულ და ცხოველურ ორგანიზმებში მოიპოვება თითქმის ყველა დღეისათვის ცნობილი ქიმიური ელემენტი. ნაშრომში მოცემულია და განხილულია მხოლოდ ის მეტალები, რომლებიც მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმებისათვის აუცილებელ საჭირო ელემენტებს წარმოადგენენ.

ყველაზე უფრო პრაქტიკული მნიშვნელობის ტუბე მეტალებიდან ცნობილია ნატრიუმი და კალიუმი, მათი ნაერთები. ნატრიუმი და კალიუმი პირველად 1807 წ. მიღებული იქნა ინგლისელი მეცნიერის პ. დევის მიერ მყარი ტუბეების ელექტროლიზით. ნატრიუმი და კალიუმი ბუნებაში თავისუფალი სახით არ მოიპოვება, მაგრამ მათი ნაერთები ბუნებაში ფართოდ არის ცნობილი. ნატრიუმის ნაერთებიდან ბუნებაში აღსანიშნავია: ქლორნატრიუმი, რომელიც დიდი რაოდენობით მოიპოვება ქვამარილის სახით, ხოლო ზღვებსა და ტბებში თვითნალექი მარილის სახით. ზღვის წყლებში ნატრიუმი გვხვდება გლაუბერის მარილის სახით, ხოლო ნიადაგის სხვადასხვა ფენებში – გვარჯილების სახით. ნატრიუმი დედამიწის ქერქის წონის 2,4%-ს შეადგენს.

კალიუმი ხელს უწყობს მცენარეში ნახშირწყლების – სახამებლის, შაქრების და სხვ. წარმოქმნას. კალიუმის ნაკლებობის შემთხვევაში შაქრის ჭარხალში მცირდება შაქრის რაოდენობა, ხოლო კარტოფილსა და ხორბალში – სახამებლის რაოდენობა. არსებობს გამოთქმა “კალიუმი იძლევა სახამებელს და შაქარს”. ამასთან ერთად კალიუმი ხელს უწყობს მცენარის მიერ ყინვებისა და გვალვებისადმი გამდლეობას. კალიუმით ნორმალურად კვების შემთხვევაში პურეული კულტურები გამდლე ხდებიან სოკოვანი დაავადებებისადმი. კალიუმი ხელს უწყობს სელისა და კანაფის ბოჭკოების ხარისხის გაუმჯობესებას, ის გამდლეობის უნარს მატებს მარცვლეულ კულტურებს.

ნატრიუმი ცხოველთა ორგანიზმისათვის აუცილებელ საჭირო ელემენტს წარმოადგენს. ის შედის სისხლის თხევად ნაწილში – პლაზმაში, შარდისა და კუჭქვეშა ჯირკვლის შედეგისადმი, მოიპოვება რძის შემადგენლობაშიც მცირე რაოდენობით. ცხოველის ყოველ 1 კგ ცოცხალ წონაზე მოდის 0.7-1.5 გრ ნატრიუმი.

ნატრიუმს, ადვილადხსნადობის გამო, ცხოველი დიდი რაოდენობით გამოყოფს თირკმელებისა და საოფლე ჯირკვლების საშუალებით. ნატრიუმი შეუცვლელი ელემენტია ცხოველთა ორგანიზმის ახალ ქსოვილთა შენებაში. მისი სიმცირე ცხოველთა ორგანიზმში იწვევს წყლის სიმცირეს. შედარებით დიდი რაოდენობით ნატრიუმი ესაჭიროებათ მსხვილფეხა რქოსან ცხოველებს. ჭარბი ქლორნატრიუმისადმი მგრძნოებიარე არიან ღორები და შინაური ფრინველები.

კალიუმი ისევე ესაჭიროება ცხოველებს, როგორც მცენარეებს. იგი ცხოველთა კვების აუცილებელი ელემენტია. ცხოველთა ორგანიზმში კალიუმი გვხვდება ქსოვილებში, ორგანიზმის სითხეებში, სისხლის წითელ ბურთულებში, პროტოპლაზმაში, მცირე რაოდენობით არის ძვალსა და ხრტილში, ხოლო დიდი რაოდენობით – კუნთებში. კალიუმის საკმაო რაოდენობით შემცველი საკვები ცხოველთა ორგანიზმში ხელს უწყობს საჭმლის გადამუშავებას და ნივთიერებათა ცვლას.

ცხოველებისათვის კალიუმით მდიდარი საკვებს წარმოადგენს ძირხვენები, მცენარის ახალგაზრდა ნაწილები და ნათესი ბალახები.

აზოტმჟავა ნატრიუმს –  $\text{NaNO}_3$  – როგორც აზოტიან სასუქს იყენებენ ნიადაგის გასანოერებლად.

აზოტმჟავა კალიუმი –  $\text{KNO}_3$  – კალიუმის გვარჯილას დიდი რაოდენობით იყენებენ როგორც მინერალურ სასუქს ნიადაგის გასანოერებლად.

მირითადად კალიუმიან სასუქად ითვლება ქლორკალიუმი ( $\text{KCl}$ ). ის წარმოადგენს წვრილ ფხვნილს, რომელშიც  $\text{K}_2\text{O}$ -ს შემცველობა 50-60%-მდე აღწევს.

ქლორკალიუმს დიდი რაოდენობით საჭიროებუნ ფესვნაყოფიანები და ძირხვენები: შაქრის, სუფრისა და საკვები ჭარხლები, კარტოფილი, ბოსტნეული, პარკოსნები, მზესუმზირა, თამბაქო, ნათესი ბალახები და სხვა.

კულტურული მცენარეები კალიუმიან სასუქს განსაკუთრებით საჭიროებენ ტორფიან, სილნარ და ეწერ ნიადაგებში. მისი შეტანა ბიცობ ნიადაგებში დაუშვებელია დამლაშების კიდევ უფრო გაძლიერების გამო.

კალიუმს დიდი რაოდენობით შეიცავს ნაკელი. კალიუმი ნიადაგიდან აღვილად არ გამოირეცხება.

კალიუმის სულფატი –  $K_2SO_4$  შეიცავს 45-50%-მდე კალიუმის ჟანგს, კარგი სასუქია განსაკუთრებით მლაშე ნიადაგებისათვის. გამოიყენება ვაზის, თამბაქოს, კარტოფილის და სხვა კულტურებისათვის. ნიადაგში მისი შეტანა ხდება გაზაფხულზე ან შემოდგომაზე.

ნაცარი კარგი კალიუმიანი სასუქია. იგი კალიუმის გარდა შეიცავს ფოსფორსა და კირს. კალიუმით განსაკუთრებით მდიდარია ჩალის ნაცარი, რომელიც 16%-მდე კალიუმის ჟანგს შეიცავს. ყველაზე დიდი რაოდენობით კალიუმის ჟანგს შეიცავს მზესუმზირის ღეროების ნაცარი. მისი შეტანა კულტურების ქვეშ თესვამდე 10-15 დღით ადრე უნდა მოხდეს.

სპილენდის მარილებიდან მნიშვნელოვანია შაბიამანი  $CuSO_4 \cdot 5H_2O$ , რომელიც მიიღება სპილენდის ჟანგზე გოგირდმჟავას მოქმედებით (გაცხელებით)



შაბიამანი იხმარება ხეხილისა და ვაზის პარაზიტების საწინააღმდეგოდ.

მაგნიუმი – Mg - ბუნებაში მხოლოდ ნაერთების სახით გვხვდება. ნიადაგში მრიპოვება მაგნიუმის სხვადასხვა ნაერთები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მცენარეთა კვების საქმეში. მაგნიუმის რაოდენობა დედამიწის ქერქში 2%-ს აღწევს.

მაგნიუმი შედის ქლოროფილის შემადგენლობაში და მცენარის ფოთოლსა და სხვა ორგანოებს მწვანე ფერს აძლევს. მაგნიუმი ნიადაგებში თითქმის ყოველთვის საკმარისი რაოდენობით გვხვდება. მაგნიუმი ხელს უწყობს მცენარის ზრდას და ადიდებს მოსავლიანობას.

მაგნიუმი ცხოველთა ორგანიზმის განვითარებისათვის აუცილებელი ელემენტია. ცხოველთა ორგანიზმში მისი დაგროვება ხდება ძვლებში. თუ საკვები დარიბია მაგნიუმით, ცხოველებს უვითარდებათ კონველსიური მოვლენები. მაგნიუმი ცხოველთა ყველა საკვებში შედის, განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა მცენარის თესლში და მცენარის მწვანე ნაწილებში.

კალციუმი ბუნებაში მრიპოვება ნაერთების სახით. მისი რაოდენობა დედამიწის ქერქში 2.4%-ს შეადგენს.

კალციუმის მნიშვნელობა მცენარისათვის მრავალგვარია: იგი ანეიტრალებს მცენარეში დაგროვილ ორგანულ მჟავებს, მონაწილეობს მცენარის მიერ ჰაერის ნახშირბადის შეთვისებაში, ხელს უწყობს უჯრედისის წარმოქმნას შაქრებისა და სახამებლებისაგან, ამაგრებს მცენარის უჯრედს. მისი მარაგი ნიადაგში დიდია. ნიადაგში არსებული კირის მიმართ მცენარეები სხვადასხვა დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ყველაზე დიდი რაოდენობით ნიადაგიდან კალციუმს პარკოსანი მცენარეები იღებენ, უფრო ნაკლები რაოდენობით ტუბერიანი მცენარეები, ხოლო სულ

მცირე რაოდენობით – მარცვლოვნები. ჩაის ბუჩქი, კარტოფილი, სელი და სხვა მცენარეები ვერ ეგუებიან კირიან ნიადაგებს.

კალციუმი ცხოველთა ორგანიზმში ძვლის წარმოქმნას ემსახურება, მას ძვლის ნაერთის შედგენილობაში 37-38% უკავია. კალციუმისადმი ცხოველთა მოთხოვნილება იზრდება ორგანიზმში სიმჟავის დაგროვებისა და მაკეობის პერიოდში.

ბარიუმის ნაერთებიდან აღსანიშნავია ბარიუმქლორიდი – BaCl, რომელიც თეთრ კრისტალურ ნივთიერებას წარმოადგენს და წყალში ხსნადია. იგი სოფლის მეურნეობაში გამოიყენება როგორც ინსექტიციდი მავნებლების წინააღმდეგ. კერძოდ შაქრის ჭარხლის ცხვირგრძელას წინააღმდეგ. ბარიუმის ქლორიდი მომწამვლელია.

რკინა ბუნებაში გავრცელებული ელემენტის ქერქის წონის 4.2%-ს შეადგენს. რკინა მცენარეს ესაჭიროება ქლოროფილის შესაქმნელად. ნიადაგში რკინის უქონლობა იწვევს მცენარის ავადმყოფობას – ქლოროზს. ქლოროზის შემთხვევაში ფოთლები ყვითლდება.

ცხოველთა ორგანიზმი სასიცოცხლო პროცესების ნორმალურად განვითარებისათვის რკინა აუცილებელი ელემენტია. იგი დიდი რაოდენობით შედის ცხოველთა სისხლის პერიოდინში.

საკვებები რკინის ნაკლებობის შემთხვევაში სისხლში მცირდება პერიოდობინის რაოდენობა, რასაც ზოგჯერ ცხოველთა ავადმყოფობა – ანემია მოყვება.

ხეხილოვანი ნაყოფების შემადგენლობაში შედის სხვადასხვა სახის მეტალები და მინერალები:

ხურტკმელი შეიცავს სპილენძს, რკინას, კალიუმს; მსხალი – რკინას, მაგნიუმს, კობალტს, სპილენძს, კალიუმს; თუთა – კალიუმს, რკინას, კალციუმს, ნატრიუმს; ვაშლი – კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, სპილენძს; ქლიავი – კალიუმს, მაგნიუმს, თუთიას, რკინას; ლელვი – რკინას, კალციუმს; ატამი - კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას; ლიმონი – რკინის მარილებს, კალიუმს, მაგნიუმს; ხურმა – რკინას, კალიუმს, მაგნიუმს, თუთიას, მანგანუმს; კივი – კალიუმს, მაგნიუმს, რკინას; ფორთოხალი – კალიუმს, მაგნიუმს, რკინას, თუთიას; ნიგოზი – კალიუმს, მაგნიუმს, რკინას, თუთიას; თხილი – კალიუმს, მაგნიუმს, რკინას, სპილენძს თუთიას; ვაზი – კალიუმს, მაგნიუმს, მანგანუმს, რკინას, სპილენძს, თუთიას.

ბოსტნეულის ნაყოფების შემადგენლობაში შედის სხვადასხვა სახის მეტალები და მინერალები:

ნაშრომში განხილულია აჭარაში ინტერნაციონალური მანადარინის აღრემოზე ჯიშების მოსავლიანობის განსაზღვრა. როგორც ვიცით საქართველოს მეცნიერებელთა შორის არსებულ პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა დაბალი საჭექტარო მოსავლიანობა და არასტანდარტული ნაყოფის მაღალი გამოსავლიანობა, რომელიც მოლიანი რაოდენობის  $1/3$  შეადგენს, მაგრამ ციტრუ სოვანთა მოვლამოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია ჰა-დან 50-მდე მაღალხარისხიანი მოსავლის მიღება. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ 3 წლიანი დაკვირვების მანძილზე ყველაზე დაბალი მოსავლიანობა დაფიქსირდა 2020 წელს, რაც გამოწვეული იყო 2019-2020 წლების ყინვიანი ზამთრით. 2020 წლის 9-10 თებერვალს აჭარაში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაფიქსირდა ყველაზე დაბალი ტემპერატურა ( $10^{\circ}$ - $12^{\circ}\text{C}$ ). მიუხედავად იმისა, რომ დროულად განხორციელდა ნაკვეთი ყინვისაგან დაცვის ღონისძიებები მცენარეთა უმჯობესი ნაწილი 2-3 ბალით მაინც დაზიანდა, თითქმის უმრავლესობას ჩამოუცვივდა ფოთლები, ზოგიერთ ჯიში ერთწლიანი ნაზარდებიც კი გაიყინა, რაც მკვეთრად აისახა არა მარტო 2021 წლის, არამედ 2022 წლის მოსავალზეც.

საქართველოს შავი ზღვისპირა, სუბტროპიკულ ზონაში მეცნიერებელთა სათვისტის ახალი ფართობების ათვისების რეზერვები ამოწურულია და დარგის შემდგომი განვითარება, მირითადად თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით იქნება შესაძლებელი, ხოლო დარგის რენტაბულობის ამაღლება უნდა მოხდეს ბიოლოგიურად ამორტიზირებული ნარგავების შეცვლით, სადედე-საკოლექციო სანერგენების მოწყობით, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებით, აგროტექნიკურ და მცენარეთა მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დროულად ჩატარებით და ორგანიზაციულ -პრაქტიკული საკითხების სწორად გადაწყვეტით.

რადგანაც, ჩვენი რეგიონი განეკუთვნება უკიდურესად ჩრდილოეთ სუბტროპიკულ ზონას, აუცილებელია შეირჩეს ჩვენი ზონისათვის მისაღები ისეთი ჯიშები, რომ-ლებიც გამოირჩევიან აღრემშიფადობითა და მაღალი მოსავლიანობით.

ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, 2011-2012 წლებში მცირდულების სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოტანილი იქნა მანდარინის ადრემწიფადი ჯიშები, რომელიც გაშენდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის ნაჩაიარ ნიადაგებზე. მცენარეები დარგულია 4X2,5 მეტრის კვების არით, ზღვის დონიდან 20-25 მეტრის სიმაღლეზე, ნიადაგი წითელმიწა.

ცნობილია, რომ ციტრუსოვან კულტურებს ახასიათებს მსხმოიარობის მეწლეობა (პერიოდულობა), თუმცა კვლევებით დადასტურებულია, რომ ეს არ შეიძლება გან-ხილული იქნას, როგორც მისი ბიოლოგიური თვისება, ვინაიდან მეწლეობა ძირითადად დაკავშირებულია ფიზიოლოგიურ ფაქტორებთან. ცნობილია ისიც, რომ მაღალმოსავლიან წლებში ნაყოფი შედარებით წვრილი და დაბალხარისხიანია, ხოლო საშუალო და დაბალმოსავლიან წლებში კი მართალია ნაყოფი მცირე რაოდენობითაა, თუმცა უფრო მსხვილი და ხარისხიანია.

მაღალმოსავლიან წელს მცენარე ზედმეტად იფიტება, ვერ აგროვებს საჭირო ენერგიას და მომავალ წელს ნაკლები რაოდენობით ყალიბდება საყვავილე კვირტები, რაც დაბალ მოსავალს განაპირობებს. ცნობილია, რომ მოსავლიანობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე როგორიცაა: ადგილის რელიეფი, ნიადაგის ტიპი, დარგვის სიხშირე (კვების არე), მიმდინარე წლის კლიმატური პირობები, საკვები ნივთიერებები, ნარგავების ზრდა, აგროტექნიკური დონისძიებები ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ციტრუსები ჩრდილის ამგანია, მაქსიმალურად ყვავილობებ და ნაყოფმსხმოიარობებ კარგი განათების, ირიგაციისა და დაბალანსებული კვების პირობებში. ზედმეტი წამლობითი დონისძიებებით, შესაძლებელია გამოიწვიოს მცენარის ფიზიოლოგიური სტრესი, რაც იწვევს ფოთლების საასიმილაციო ზედაპირის შემცირებას, ეს კი განაპირობებს გაზაფხულზე ყვავილობის შემცირებას და შესაბამისად დაბალ მოსავლიანობას. ციტრუსებში ძირითადი ფენოლოგიური ფაზების ნორმალური მიმდინარეობის დროსაც კი სასარგებლო გამონასკვა, არც ისე მაღალია, რასაც სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად ხსნის.

როგორც ცნობილია, ციტრუსებში ნაკვების ჩამოცვენის I ტალღა იწყება ივლისში და მათი რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 20-25%-ს. ნაყოფის გამსხვილებასთან ერთად ნაკვის ჩამოცვენის პროცენტი მცირდება და მომწიფების დაწყებამდე არ აღემატება 1-2%-ს. ყვავილების და ნაკვების ჩამოცვენის შემდეგ ხეზე ჩაყოფის მხოლოდ 6-7%. ფ. მამფორიას მონაცემებით კი მანდარინის სასარგებლო გამონასკვა 10-12%-ის ტოლია.

სხვა ციტრუსოვანთა, ამა თუ იმ ჯიშის მოსავლიანობა, ფასდება ერთ ჰექტარ ფართობზე მცენარეთა რაოდენობისა და პროდუქტიულობის მიხედვით. მხედველობაში მისაღებია მცენარის ასაკი, ერთ ჰექტარ ფართობზე მცენარეთა რაოდენობა, მცენარის ზრდის ხასიათი (ნაგალა თუ მაღალმზარდი) და სხვა.

მანდარინის საკვლევ ჯიშებში, მოსავლიანობის შესწავლის მიზნით ვითვლიდით ერთ მცე ნარეზე მოწეულ მოსავალს, როგორც ნაყოფების რაოდენობას ცალობით, ასევე წონას კგ-ში, შემდეგ კი ამის მიხედვით ვანგარიშობდით საკუქტარო მოსავლიანობას. საკონტროლოსთან მიმართებაში შედარებას ვახდენდით %-ში. საკვლევ ჯიშებში მოსავლიანობის დადგენის მიზნით კვლევას ვაწარმოებდით 3 წლის (2020-2022წწ) განმავლობაში.



მანდარინი მუკაიამა (Mukoyama)



მანდარინი აოშიმა (Aoshima)

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ 3 წლიანი დაკვირვების შედეგად ყველაზე დაბალი მოსავლიანობა დაფიქსირდა 2020 წელს, რაც გამოწვეული იყო 2019-2020 წლების ყინვიანი ზამთრით.

2020 წლის 9-10 თებერვალს აჭარაში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაფიქსირდა ყველაზე დაბალი ტემპერატურა ( $10^{\circ}$ - $12^{\circ}$ C).

## მანდარინის საკვლევი ჯიშების მოსავლიანობა (2020-2022 წწ)

ჯიშის დასახელება	2020 წელი			2021 წელი			2022 წელი		
	ერთ სეზე რაოდენობა (ცალი)	ერთი ხის წონა. კგ	საჭეშ. მოსავლიანობა. ტ/ჰა	ერთ სეზე რაოდენობა (ცალი)	ერთი ხის წონა. კგ	საჭეშ. მოსავლიანობა. ტ/ჰა	ერთ სეზე რაოდენობა (ცალი)	ერთი ხის წონა. კგ	საჭეშ. მოსავლიანობა. ტ/ჰა
ნიჩინანი (Nichinani)	215	17	14	482	38	32	507	40	33
ივასაკი (Iwasaki)	317	25	21	528	42	35	549	45	37
ტაგუჩი ვასე (Taguchi Wase)	190	15	12	380	30	25	406	32	26
საც. კლაუზელინა (Sat. Clauselina)	325	25	21	533	42	26	558	45	28
მუკოიამა (Mukoyama)	152	12	10	253	20	17	317	25	20
აოშიმა (Aoshima)	301	25	21	517	42	35	552	45	37
ohotsu (Ohotsu)	220	18	15	406	32	27	444	35	29
საკონტროლო									
ოკიცუ ვასე (Okitsu Wase)	253	20	15	520	41	29	571	45	32
უნშიუ (Unshiu)	279	22	18	501	40	33	530	45	37

მიუხედავად იმისა, რომ დროულად განხორციელდა ნაკვეთში ყინვისაგან დაცვის ღონისძიებები მცენარეთა უმეტესი ნაწილი 2-3 ბალით მაინც დაზიანდა, თითქმის უმრავლესობას ფოთლები ჩამოუცვივდა, ზოგიერთ ჯიშში ერთწლიანი ნაზარდებიც კი გაიყინა, რაც მკვეთრად აისახა არა მარტო 2021 წლის, არამედ 2022 წლის მოსავალზეც.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი ჯიში ერთი და იგივე ასაკის არიან და იდენტურ გარემო პირობებში იმუოფებიან, მოსავლიანობა ჯიშებს შორის საკმაოდ ცვალებადია, რაც ძირითადად ჯიშის ბიოლოგიური თავისებურებებით, არის განპირობებული. აღსანიშნავია, ისიც რომ მოსავლიანობაზე გავლენას ახდენს სხვა რიგი ფაქტორებიც. ვასეს ჯგუფის საადრეო (ნაგალა) ჯიშები მოსავლიანობით არ ჩამოუვარდებიან ჩვენში აპრობირებულ ოკიცუ ვასეს (ნაგალა), თუმცა მანდარინმა ივასაკმა და ნიჩინანმა საკონტროლო ვარიანტთან შედარებით

მაღალი მოსავალო მოგვცა და 10-12%-ით აღემატებოდა საკონტროლო ოკიცუ ვასეს, ხოლო ტაგუჩი ვასე და მუკოიამა მცირედით ჩამორჩებოდა საკონტროლო ვარიანტს 6-8% -ით.

მოსავლიანობის მხერივ, კარგი მაჩვენებელი აჩვენეს ოვარის ჯგუფის საგვიანო ჯი შებმაც (აოშიმა, ოპოცუ, საცუმა კლაუზელინა), ისინი არ ჩამოუგარდებიან საკონტროლო ვარიანტს ფართოფოთლოვან უნშიუს, ამასთან 10 % მეტი მოსავალი მოგვცა მანდარინ აოშიმაშ და მოსავლიანობით გაუსწრო საკონტროლო ვარიანტს, სატსუმა კლაუზელინა კი მოსავლიანობით უტოლდება საკონტროლოს, ხოლო ოპოცუ მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ხარისხის ნაყოფს იძლევა, მხოლოდ 8%-ით ჩამოუგარდება საკონტროლო ჯიშს.

სამწლიანი დაკვირვების შედეგად, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა: საადრეო (ნაგალა) ჯიშების უმრავლესობა (ივასაკი, ნიჩინანი, ტაგუჩი) გამოირჩევიან მაღალი საჰექტარო მოსავლიანობით და არ ჩამოუგარდებიან საკონტროლო (ოკიცუ ვასე) ვარიანტს. რაც შეეხება საგვიანო ჯიშებს საკონტროლოსთან (ფართოფოთლოვან უნშიუ) მიმართებაში შეიძლება გამორჩეული იქნას აოშიმა, რომელიც არა მხოლოდ მოსავლიანობით აღემატება მანდარინ უნშიუს, არამედ მასთან შედარებით გამოირჩევა სხვა რიგი უპირატესობებით (ნაყოფის ფერი, ზომა, წვენის გამოსავლიანობა და სხვა), საცუმა კლაუზელინაც არ ჩამოუგარდება მოსავლიანობით.

#### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. კოპალიანი რ. სუბტროპიკული კულტურები. ქუთაისი, 2013. გვ. 35-45.
2. ხალვაში ნ., მესხიძე ა., ბარათაშვილი დ., ქედელიძე ნ. – ციტრუსოვანთა პლანტაციების მდგომარეობა და რეაბილიტაციის პერსპექტივები. გრარულ-ეკონომიკური ცენტრებისა და ტექნოლოგიები. №(34), თბილისი 2017 წ, გვ 26-38. ISSN 1987-6335
3. Araujo-León, J. A.; Ortiz-Andrade, R.; Vera-Sánchez, R. A.; Oney-Montalvo, J. E.; CoralMartínez, T. I.; Cantillo-Ciau, Z, DevelopmentandOptimizationof a HighSensitivity LCMS/MS Method for the Determination of Hesperidin and Naringeninin Rat Plasma: Molecules. 2020 . 25(18): 4241. doi: 10.3390/molecules25184241
4. Angeles Forner-Giner, Juan Jose Hueso, Jose Maria Agüera and Juan B. Forner. Performance of ‘Clausellina’ mandarin on four rootstocks. Journal of Food, Agriculture & Environment. 2010, Vol.8 (3&4): 328-331.

Аграрные науки

**УРОЖАЙНОСТЬ РАННЕСПЕЛЫХ СОРТОВ МАНДАРИНА  
ИНТРОДУЦИРОВАННЫХ В АДЖАРИИ**  
**И. ГОРДЖОМАЛАДЗЕ**

Государственный Университет Акакия Церетели

**Резюме**

В статье рассматривается определение урожайности раннеспелых сортов мандарина, интродуцированных в Аджарии. Как известно, одной из важнейших проблем цитрусовой отрасли Грузии является низкая урожайность с гектара и высокий урожай нестандартных плодов, который составляет 1/3 от общего количества, но при использовании интенсивных технологий выращивания цитрусовых это возможно. Для получения качественного урожая от 1 га до 50 тонн. По результатам исследования видно, что за 3 года наблюдений наименьшая урожайность зафиксирована в 2020 г., что обусловлено морозной зимой 2019-2020 гг. 9-10 февраля 2020 года в Аджарии была зафиксирована самая низкая температура ( $10^0$ - $12^0$ С) за последние несколько лет. Несмотря на своевременное проведение на участке мер по защите от заморозков, большинство растений были повреждены не менее чем на 2-3 тюка, почти большая часть лишилась листьев, у некоторых сортов даже подмерзли однолетние приросты, что оказало резкое воздействие не только урожая 2021 года, но и урожая 2022 года.

Agricultural sciences

**MANDARIN INTRODUCED IN ADJARA YIELD OF EARLY MATURING  
VARIETES**

**I. GHORJOMELADZE**

Akaki Tsereteli State University

**Summary**

The paper discusses the determination of the yield of early ripening mandarin varieties introduced in Adjara. As we know, among the problems in Georgia's citrus industry, one of the important problems is the low yield per hectare and the high yield of non-standard fruit, which is 1/3 of the total amount, but it can be improved by using intensive technologies of citrus cultivation. It is possible to obtain a high-quality harvest from 1 ha to 50 tons. From the results of the study, it can be seen that during the 3 years of observation, the lowest yield was recorded in 2020, which was caused by the frosty winter of 2019-2020. On February 9-10, 2020, the lowest temperature ( $10^0$ - $12^0$ С) was recorded in Adjara in the last few years. Regardless of the fact that frost protection measures were implemented in the plot, most of the plants were damaged by at least 2-3 bales, almost all plants lost their leaves, and in some varieties, one-year growths froze, which had a sharp impact not only on the 2021 harvest, but also on the 2022 harvest.

მანდარინის ინტროდუციებული აღრემოზადი ჯიშების ეპონომიკური  
ეფექტიანობა ინფენიური ფექტოლოგიის პირობები

ირმა დორჯომელაძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეციტრუსობა, საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, მისი რენტაბელობის დონის ამაღლება, უნდა მოხდეს ბიოლოგიურად მობერებული (ამორტიზირებული) ხეების შეცვლით, პროგრესული აგროტექნიკის, სწორი ორგანიზატორული და ეკონომიკური ფაქტორების გამოყენებით, სანერგეგების მოწყობით, უხვად და რეგულარულად მსხმოიარე ჯიშების გამოყვანით და მათი ელიტური ნერგებით ახალი პლანტაციების გაშენებით. აღნიშნული საკითხის გადაჭრის, ერთ-ერთ ეფექტურ დონისძიებად ციტრუსების პლანტაციების გაახალგაზრდავება წარმოადგენს, კერძოდ, ბიოლოგიურად მობერებული მცენარეები უნდა შეიცვალოს ადგილობრივ პირობებთან, უკეთ შეგუებული უხვად და სტაბილურად მსხმოიარე ადგერმწიფადი ჯიშებით, კლონებითა და ფორმებით. ამორტიზირებული ხეების ახალგაზრდა ნარგავებით ჩანაცვლება, გაზრდის მოსავლიანობას და ეკონომიკურ ეფექტიანობას.

საქართველოს ბუნებრივი რესურსების პირობებში, მნიშვნელოვანია ისეთი სასოფლო სამეურნეო კულტურების შერჩევა და დანერგვა, რომლებსაც გამრავლება-გავრცელების დიდი პოტენციალი გააჩნიათ და ეკონომიკურადაც მომგებიანია. ასეთ კულტურათა რიცხვს მიეკუთვნება ციტრუსები, რომელთაც მსოფლიოს სუბტროპიკულ მემცნარეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ.

მეციტრუსეობა, საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მაღალრენტაბელური დარგია, რომელმაც ძირეულად შეცვალა ამ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონე. ამიტომაც, ამ დარგის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევენ, როგორც ჩვენში ისე მსოფლიოს 75 ქვეყანაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფაო-ს (FAO) 2020 წლის მონაცემებით, ციტრუსოვანთა პლანტაციებს და ბაღებს მსოფლიოში 2,5 მილიონი ჰექტარი უკავიათ, ხოლო მათი პროდუქციის წლიური წარმოება 82 მილიონ 350 ათ. ტონას შეადგენს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში ციტრუსოვანთა კულტურებს, მთლიანი საგარეულების 0,62 და დამუშავებული მიწების 1,75% ეკავა. წარმოებული საერთო, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის

დირებულებაში, მისი წილი 7,7 %-ს შეადგენდა და ამ მხრივ, ეს დარგი ერთ-ერთი წამყვანი იყო. ამ პერიოდისათვის, სტატისტიკური მონაცემებით ყოველწლიურად მზადდებოდა 300.0 ათას ტონამდე ციტრუსოვანთა ნაყოფი. მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულის მანძილზე, ქვეყანაში გან ვითარებული მოვლენების გამო, მეციტრუსეობამ საქართველოში და მათ შორის აფხაზეთშიც, არსებითი დეგრადაცია განიცადა. დარგის შესაძლებლობები, ამჟამად მხოლოდ 25-30%-თაბა გამოყენებული.

რეგიონების მიხედვით, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აჭარაში. გასაგები მიზეზების გამო. აფხაზეთში წარმოებული პროდუქციის მონაცემები არ მოგვეპოვება, მაგრამ ზეპირსიტყვიერი გადმოცემებით, იქ კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა. ცალკეული სახეობების მიხედვით, საქართველოში ყველაზე მეტად იწარმოება მანდარინი, შემდეგ ფორთოხალი და ლიმონი.

**დღევანდელ საქართველოში, მეციტრუსეობის განვითარების პრობლემები არ შეიძლება განვიხილოთ, მხოლოდ საბაზო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი კანონების კონტექსტით, იგი განსაკუთრებულ მიღვომას და სახელმწიფოებრივ ხედვას საჭიროებს. მას აუცილებლად ესაჭიროება სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით სასწრაფო რეაბილიტაცია.**

ჩვენში არსებული, ციტრუსოვანთა ბალები, ოთხმოც წელზე და უფრო მეტი ხნი საა. თეორიულად და პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ ეს მცენარე მაღალ პრო დუქტიულია 50-55 წლის ასაკამდე, შემდეგ მოსავალი თანდათანობით მცირდება და ნებისმიერი აგროდონისძიებების გატარებაც კი არ იძლევა სასურველ შედეგს.

აღნიშნული საკითხის გადაჭრის, ერთ-ერთ ეფექტურ ღონისძიებად ციტრუსების პლანტაციების გაახალგაზრდავება წარმოადგენს, კერძოდ ბიოლოგიურად მობერებული მცენარეები, უნდა შეიცვალოს ადგილობრივ პირობებთან უკეთ შეგუებული უხვად და სტაბილურად მსხმოიარე ადრემწიფადი ჯიშებით, კლონებითა და ფორმებით. ამორტიზირებული ხეების, ახალგაზრდა ნარგავებით ჩანაცვლება, გაზრდის მოსავლიანობას, შესაბამისად ამაღლდება ეკონომიკური ეფექტიანობა და რამდენიმე წელიწადში მივიღებთ, მთლიანად გაახალგაზრდავებულ პლანტაციებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანდაზმული და ამორტიზებული ბალების რეაბილიტაცია და ახალი ბალების გაშენება საადრეო, უხვოსავლიანი, მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლე ახალი ჯიშებით. ამის საშუალებას იძლევა 2011 წელს ინტროდუცირებული მანდარინის ათეულობით ჯიში, რომელიც საჭიროებს სიღრმისეულ კვლევებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემის გადაწყვეტისთვის, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოტანილი იქნა, ციტრუსოვანთა ადრემწიფადი ჯიშები, რომელიც გაშენებული იქნა აჭარის, სოფლის მეურნეობის

სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ჩაქვის ციტრუსოვანთა საკოლექციო-სადემონსტრაციო ნაკვეთებში.



**მანდარინი ივასაკი (Iwasaki)**



**მანდარინი ნიჩინანი (Nichinan)**

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ინტენსიური ტექნოლოგიის საერთო ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენა.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ჯიშები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მოსავლიანობის მიხედვითაც. ვასეს ჯგუფის საადრეო ნაგალა ჯიშების უმრავლესობა, მოსავლიანობით თითქმის არჩამოუგარდებიან საკონტროლო ვარიანტს (ოკიცუ ვასე), იგასაბამა და ნიჩინანმა საკონტროლო ვარიანტს 10-12%-ით გაუსწრო, 6-8%-ით ჩამორჩებოდა ტაგუჩი ვასე და მუკოიამა. რაც შეეხება საგვიანო ჯიშებს, საკონტროლოსთან (ფართო ფოთლოვან უნშიუ), შედარებით მაღალი მოსავლიანობით გამოიჩეოდა აოშიმა, რომელიც, არა მხოლოდ მოსავლიანობითაა უკეთესი, მანდარინ ფართოფოთლოვან უნშიუზე, არამედ

ხასიათდება რიგი უპირატესობებით (ნაყოფის ფერი, ზომა, ბიოქიმიური მახასიათებლები და სხვა), ხოლო საცუმა კლაუზელინა და ოპოცუ საკონტროლო ვარიანტს 8%-ით ჩამორჩებოდა.

მანდარინის ინტროდუცირებული ჯიშების ეკონომიკური ეფექტიანობა  
ინტენსიური აგროტექნოლოგიის პირობებში  
(2020-2022 წწ.)

ჯიშის დასახელე ბა	ნაყოფი ს მომწიფ ება და კრეფა	სამი წლის საშ. ტონა	1 კბ ნაყოფის ღირებუ ლება (ლარი)	რეალიზაცი ის შედგად მიღებული მოგება (ლარი)	ხარჯე ბი (ლარი)	წმინდა მოგება აგროტექ ნიკი იკ. დონოსძ. ხარჯების გამოკლებ ით (ლარი)
ნიჩინანი <b>(Nichinani)</b>	ოქტ. I დეკადა	26.3	2.20	57860	13923	43937
ივასაკი <b>(Iwasaki)</b>	ოქტ. I დეკადა	31.0	2.10	65100	15376	49724
ტაგუჩი ვასე <b>(Taguchi Wase)</b>	ოქტ. II დეკადა	21.0	2.10	44100	12735	31365
საც. ლაუ- ზელინა <b>(Sat. Clauselina)</b>	ნოემ. III დეკადა	25.0	1.0	25000	14055	10945
მუკოიამა <b>(Mukoyama)</b>	ოქტ. II დეკადა	15.6	1.50	23400	10227	13173
აოშიმა <b>(Aoshima)</b>	ოქტ. III დეკადა	31.0	1.30	40300	15376	24924
ოჟოცუ <b>(Ohotsu)</b>	ოქტ. III დეკადა	23.6	1.30	30680	12999	17681
<b>საკონტროლო</b>						
ოკიცუ ვასე <b>(Okitsu Wase)</b>	ოქტ. III დეკადა	<b>25.3</b>	<b>1.50</b>	<b>37950</b>	<b>13527</b>	<b>24423</b>
უნშიუ <b>(Unshiu)</b>	ნოემ. II დეკადა	<b>29.3</b>	<b>0.8</b>	<b>23440</b>	<b>14847</b>	<b>8593</b>

ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენებით, მანდარინის მოსავლიანობა ჯიშ ნიჩინანზე და ივასაკზე, კონტროლის ვარიანტთან შედარებთ გაზრდილია, რაც მნიშვნელოვანია, ორივე ჯიშზე ნაყოფის მომწიფება და კრეფა იწყება, ოქტომბრის პირველ დეკადაში, ხოლო ტაგუჩი ვასეს და მუკოიამას ჯიშებზე ოქტომბრის მეორე დეკადაში. კონტროლის ვარიანტის ფართოფოთლოვან უნშიუსთან შედარებით, ზემოთ აღნიშნული ჯიშები ერთი თვით ადრე შედიან მსხმოიარობაში. ამასთან ოქტომბრის თვეში მოკრეფილი 1 კილოგრამი ნაყოფი გაიყიდა 2,20 ლარად, ხოლო უნშიუს ნაყოფი - 0,80 ლარად, რაც ძალიან დიდ ეკონომიკურ მოგებას აძლევს ფერმერულ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს.

ინტროდუცირებული მანდარინის ბადებში, ინტენსიური ტექნოლოგიის ეკონომიკური ეფექტიანობა, ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის. ჩვენი გამოკვლევის სიახლედ უნდა ჩაითვალოს, მისი დადგენის ცდა. საკითხის აქტუალობაზე ისიც მიუთითებს, რომ ინტენსიური ტექნოლოგიის გამოყენებით ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევის შედეგები, შედარებულია ადგილობრივ ინდივიდუალურ მეწარმეთა მრავალწლიან საშუალო მაჩვენებლებთან.

ქვეყნის აგრარული დარგის, განვითარების ერთ-ერთ საკვანძო პრობლემას, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების, მთელი მათი საწარმოო პოტენციალის სწრაფი ამოქმედება წარმოადგენს. ამ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია, ზონის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით და სხვა ფაქტორებით. ასეთ ვითარებაში, ეკონომიკური მაღალეფექტური, ინტენსიური ტექნოლოგიის გამოყენება მეციტრუსებიაში ადრემწიფადი, უხმოსავლიანი ჯიშებით პლანტაციების გაშენება, უნდა მივიჩნიოთ მიზანშეწონილად, რაც დარგის ინტენსიფიკაციის დონის ამაღლების, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და ქვეყნის, სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფის გზად გვესახება.

## ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ხაგისაშვილი ნ., კოჭლამაზაშვილი ი., სადარევშვილი ვ. მ. - მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი აჭარის რეგიონში. ბათუმი. 2018წელი, გვ. 85.
2. გებბაია ბ. - სუბტროპიკული მემცენარეობის პროდუქტიულობის და ეკონომიკური გაანგარიშების შესახებ. ბსუ-ს საერთ. სამეც. კონფერენცია. ბათუმი, 2020
3. ღორჯომელაძე ი. ხალვაში ნ. - მანდარინის ზოგიერთი ახალი ინტროდუცირებული ჯიშის სიმწიფის ფაზები და პლანტაციების რეაბილიტაციის პერსპექტივები. საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. უცრნალი „მოამბე. თბილისი, 2023.

Аграрные науки

**ЭКОНОМИЧЕСКАЯ ЭФФЕКТИВНОСТЬ ИНТРОДУЦИРОВАННЫХ  
РАННЕСПЕЛЬХ СОРТОВ МАНДАРИНА В УСЛОВИЯХ ИНТЕНСИВНОЙ  
ТЕХНОЛОГИИ**

**И. ГОРДЖОМЕЛАДЗЕ**

Государственный Университет Акакия Церетели

**Резюме**

Производство цитрусовых является одной из важных отраслей субтропического сельского хозяйства Грузии, повышение уровня его рентабельности должно осуществляться за счет замены биологически состарившихся (изношенных) деревьев, использования прогрессивной агротехники, правильных организационно-экономических факторов, устройства питомников, обильного и регулярного размножения. Плодоносящие сорта и их элита Путем засадки новых плантаций саженцами. Омоложение цитрусовых плантаций является одной из эффективных мер решения указанной проблемы, в частности, биологически состаренные растения должны быть заменены местными условиями, лучше адаптированными к многочисленным и стабильным раннеспелым сортам, клонам и формам. Замена амортизованных деревьев молодыми посадками повысит урожайность и экономическую эффективность.

Agricultural sciences

**ECONOMIC EFFICIENCY OF INTRODUCED EARLY RIPPING MANDARN  
VARIETIES UNDER INTENSIVE TECHNOLOGY**

**I. GHORJOMELADZE**

Akaki Tsereteli State University

**Summary**

Citrus is one of the important branches of subtropical agriculture in Georgia, its level of profitability should be increased by replacing biologically aged (depreciated) trees, using progressive agro-techniques, correct organizational and economic factors, setting up nurseries, breeding abundant and regularly yielding varieties and their elite seedlings. By planting new plantations. Rejuvenation of citrus plantations is one of the effective measures to solve the mentioned issue, in particular, biologically aged plants should be replaced with abundant and stable early ripening varieties, clones and forms better adapted to local conditions. Replacing amortized trees with young plantings will increase yield and economic efficiency.

## ЭКЗОТИЧЕСКИЙ ТЕКСТИЛЬ

Н. АБЕСАДЗЕ, М. ГОГОЛАДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

*Кроме распространенных видов пряжи для производства текстиля, таких как шерсть, хлопок, акрил, и т.д. в последнее время встречаются и более экзотические, и непривычные для нас виды пряжи: из ананаса, кокоса, банана, кукурузы, водорослей. Еще мы узнаем о редких и немного забытых видах пряжи из конопли и крапивы. И даже окунемся в морскую пучину в поисках моллюсков (*Pinna nobilis*)- из их нитей изготавливается пряжа, впоследствии используемая для изготовления легендарной ткани «ВИССОН», которая неоднократно упоминалась в Библии.*

Рассмотрим детально каждую из этих видов пряжи.

**Бамбук** – пряжа из него самая распространенная из всех экзотических. В зависимости от процесса изготовления бывает двух типов:

- механический (bamboo linen) — достаточно трудоемкий и дорогой процесс, позволяющий сохранить все подаренные природой полезные свойства;
- химический (bamboo viscose) – менее затратный и более распространенный.

Бамбуковое волокно один из видов регенерированного целлюлозного волокна получают не напрямую из растения, как лен или хлопок, а, по аналогии с вискозой, из целлюлозы, выработанной из растения (а потому, по тонкости и белизне оно напоминает классическую вискозу). Помимо того, что в сырье для производства бамбукового волокна изначально отсутствует всякая сельскохозяйственная химия, химия также не участвует и в превращениях бамбука в ткань процесс производства волокна полностью основан на простом физическом воздействии: обработке паром и кипчении, поэтому он не наносит ущерба окружающей среде.

Пряжа из бамбука достаточно нежная и по мягкости сравнима с шелком. Микропоры бамбука способны обеспечивать нужную циркуляцию воздуха, поэтому основное применение бамбуковой пряжи это весенне- летние изделия. Пряжа благодаря структуре бамбукового волокна обильно впитывать влагу и по этому параметру он превосходит пряжу из мерсеризованного хлопка в четыре раза. Вязаные изделия из бамбуковой пряжи достаточно износостойкие, прекрасно держат цвет, являются стойкими к ультрафиолету, приятны при контакте с кожей. Единственный недостаток бамбуковой пряжи- это то, что изделие в последствии

очень сильно вытягивается. После одного дня носки топ может превратиться в тунику, а после второго – в платье. И так происходит после каждой стирки: вначале размер возвращается, но затем все повторяется.



Рис. 1. Бамбук, волокна бамбука, пряжа из бамбука

**Крапива** - пряжа из нее весьма груба и очень редко применяется для производства одежды. В то же время она мягче, легче, шелковистей, эластичней конопляной пряжи. Так же как и конопляная она применяется в производстве грубых видов текстиля. В старину эта пряжа использовалась более широко, чем в современном мире. Из нее вязали носки-тапочки помогающие при ревматизме, пояса- которые спасали от радикулита.



Рис.2. Крапива и пряжа ручной выработки

**Соя** - пряжа производится не из стебля растения, как у конопли и крапивы, а из отходов при производстве «Тофу» и из кожуры соевых бобов после отжима соевого масла. Белок преобразуется в удлиненные нити путем их полимеризации, они впоследствии обрабатываются для получения ровницы, которая используется в прядении и ткачестве. Волокна сои отлично впитывают влагу, хорошо дышат, комфортны при контакте с кожей и обладают антибактериальным и оздоровительным свойствами. Также они характеризуются своей мягкостью,

отличными теплоизоляционными свойствами. По показателям растяжимости и гигроскопичности пряжа из сои приближается к шерсти. Сою можно использовать в смеси с другими волокнами, например с хлопком в составе 50% на 50%, возможно сочетание сои с шелком.

**Банан** – в тех стран где традиционно произрастает банан, он довольно давно является источником для производства текстиля высокого качества. Подразделяют такую пряжи на два подвида:

- пряжа из банановых листьев, которые вручную собирают и сортируют женщины, производится в ограниченном количестве и по своим параметрам напоминает шелк.

- производится путем вымачивания и распиливания стебля банана с последующим -очищением верхнего грубого слоя, который в свою очередь используется в изготовлении ковриков-циновок. А вот внутренние более нежные слои стебля расслаивают на удлиненные волокна, которые высушивают, отбеливают и затем уже окрашивают, банановая пряжа довольно хорошо сваливается, поэтому довольно часто используется мастерами для изготовления валяных вещей в технике мокрого валяния.

**Ананас** – еще один распространенный источник материала для пряжи. В ход идет листья в которой в огромном количестве содержаться многочисленные прочные волокна. По своим параметрам и свойствам пряжа из ананаса с пряжей из конопли. Но немножко мягче и в ней присутствует легкий блеск. Используют ее в чистом виде для изготовления прочных веревок. А в смеси с другими волокнами в производстве постельного белья и национальных нарядов. Например на Филиппинах из нее изготавливают традиционные рубашки Баронг Тагалог.

**Кукуруза** – для изготовления пряжи из кукурузы используют стебель растения. Процесс производства пряжи технологически схож с процессом создания вискозы (волокна стебля проходят ферментирование и полимеризацию). В результате этих процессов выходит очень мягкая пряжа, имеющая легкий блеск. Изделия из этой пряжи комфортны при контакте с кожей, хорошо «дышат» и приспособлены для машинной стирки.

**Эвкалипт** – пряжу с названием ЛИОЦЕЛЬ получают из восстановленных волокон эвкалипта. Обладает уникальными природными защитными свойствами от бактерий, высокой прочностью в сухом и мокром состоянии, хорошо сохраняет форму. Хорошо окрашивается в различные цвета, не скатывается, не меняет форму после стирки. Не требует особого ухода. Изысканный перламутровый блеск этой великолепной пряжи добавляет вязаному полотну нарядные нотки. Она настолько нежная, что Вы получите огромное наслаждение от вязания и эксплуатации изделий из этой пряжи.



Рис. 3. Соя, пряжа из сои. Производство банановой пряжи



Рис. 4. Пряжа и изделие из ананаса. Пряжа из волокон кукурузы



**Рис. 5. Эвкалипт и изделие из эвкалиптового волокна**

И, в заключении, довольно спорный материал **Виссон**, который упоминается в исторических источниках и Священном Писании. По одной версии – это лен, по другой – нить из железы моллюска. Предположительно второй вариант более вероятный, учитывая тот факт, что материя, как и пряжа из которой она была изготовлена, была достаточно дорогой и непростой в производстве. Пользовались нарядами из виссона в древние времена высокопочитаемые люди: Цари, первосвященники, центурионы и патриции. Считается что одеяние Христа – «хитон» так же было соткано из виссона. Материалом для пряжи служили двустворчатые моллюски (*Pinna nobilis*) которые в большом количестве обитали в прибрежной зоне Средиземноморья. С помощью специальной железы (белковой нити длиной около 6 см) этот моллюск закреплялся на камнях и других предметах под водой. В современном мире на смену виссону пришел китайский шелк. И процесс изготовления канул в лету.



**Рис. 6. Моллюски (*Pinna nobilis*) и очень дорогие и редкие волокна Виссон**

#### ЛІТЕРАТУРА - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. [https://speakingflower.ru/rastenia/pryadilnye-rasteniya.html#google\\_vignette](https://speakingflower.ru/rastenia/pryadilnye-rasteniya.html#google_vignette)  
Прядильные культурные растения
2. <https://www.passionforum.ru/posts/49004-ekzoticheskie-vidy-prjazhi.html>

3. <https://www.livemaster.ru/topic/188453-ekzoticheskie-vidy-pryazhy>
4. <https://aurayarns.ru/post/p8vxytb501-ekzoticheskie-vidi-pryazhi>

საფეიქრო მასალები

**ებზოტიკური ტექსტილი**

**ნ. აბესაძე, მ. გოგოლაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

გარდა ტექსტილის ძაფების გავრცელებული ტიპებისა, როგორიცაა მატყლი, ბამბა, აკრილი და ა.შ. ბოლო დროს აღმოჩენილია ნართის უფრო ეგზოტიკური და უნგველო სახეობები: ანანასის, ქოქოსის, ბანანის, სიმინდისგან, ზღვის მცენარეებიდან. გავეცნობით კანაფისა და ჭინჭრისგან დამზადებულ ძაფების იშვიათ და ოდნავ მივიწყებულ სახეობებს. ჩვენ კი ზღვის სიღრმეში ჩავძირავთ მოლუსკების (Pinna nobilis) საძიებლად - მათი ძაფებისგან ამზადებდნენ ნართს, რომელიც მოგვიანებით გამოიყენებოდა ლეგენდარული "VISSON" ქსოვილის დასამზადებლად, რომელიც არაერთხელ იყო ნახსენები ბიბლიაში.

Textiles

**EXOTIC TEXTILES**

**N. ABESADZE, M. GOGOLADZE**

Akaki Tsereteli State University

Summary

In addition to common types of textile yarns such as wool, cotton, acrylic, etc. Recently, more exotic and unusual types of yarn have been found: from pineapple, coconut, banana, corn, seaweed. We will also learn about rare and slightly forgotten types of yarn made from hemp and nettle. And we'll even plunge into the depths of the sea in search of mollusks (Pinna nobilis) - yarn was made from their threads, which was later used to make the legendary "VISSON" fabric, which was repeatedly mentioned in the Bible.

საფეიქრო მასალები

## რამოდენიმა მიმართულება დართვის პროცესის გადასცლების გაუმჯობესებისა


## ა. გოგოლაძე, ნ. აბაშაძე

ნაშრომში განხილულია პენტოციტური და მერკურიული პროცესების გაუმჯობესების გზები, საჩერი მანქანის მუშაობის გაუმჯობესება, აეროდინამიკური ძალების გავლენა ჩემპიონის პროცესზე, ამ ძალების გამოყენება ჩემპიონის პროცესის გასაუმჯობესებლად. საუბარია მუშაორგანულების სიჩქარის გაზრდაზე და მძრუნავი დოლების კუთხური სიჩქარის გაზრდაზე.

2008 წლიდან 2023 წლამდე გამოჩნდა არაერთი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან სამეცნიერო და ტექნიკურ ინტერესს. წვენ ამ სამეცნიერო და ტექნიკური წინადაღები დაგყავით და შევისწავლეთ ორი გადასვლის კვლევით : შერევის პროცესის და საჩერი მანქანების მუშაობის პროცესის განხილვით.

ამჟამად გამოიყენება ბოჭკოების შერევის ორი მექანიკური მეთოდი:

დაპენტვა და დაბერტყვა (მოქმედება დარტყმით). დაპენტვის დროს ნემსები ჩაეფლობიან ბოჭკოვან მასაში (ფენაში) ან ერთი მხარედან ან ორიგე მხარეს. ნემსების ასეთი მოქმდების შედეგად ბოჭკოვანი ფენა



**ნახ.1. საპენტი და შერევის საწარმოო ხაზი**  
იშლება წვრილ ბლუჯებად დაბალი მოცულობითი მასით. დარტყმის დროს ხდება ნემსების, დანების და სხვა ჰლემინგების ზემოქმედება ჰაერის

ნაკადში მოძრავ ბოჭკოვან მასაზე და, შესაბამისად, ბოჭკოვანი მასის დაშლა.

ახალ მეთოდათ შეიძლება ჩაითვალოს მრავალჯერადი დაპენტვა და გაწმენდა, რასაც მოჰყვება ფენა-ფენა შერევა აერომექანიკური და აეროდინამიკური საშუალებებით. გაწმენდა და შერევა ხორციელდება თანმიმდევრულად, მინიმუმ ორჯერ, ყოველი დაპენტვის შემდეგ. აეროდინამიკური შერევა ხორციელდება ბოჭკოვანი მასალის ერთდროული მიწოდებით. ნახ.1. ნაჩვენებია ბოჭკოვანი მასალის საპენტი და შერევის საწარმოო ხაზი.

პირობითად შეიძლება აღინიშნოს საჩეჩი გადასვლის განვითარების სამი მიმართულება: საჩეჩი მანქანების შემდგომი გაუმჯობესება (მოდერნიზაცია) დამუშავებული პროდუქტის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, რათა მოხდეს პროდუქტის ხარისხიანი მომზადება დართვის პროცესისათვის და დართვის ნაკადური ხაზების შექმნა.

საჩეჩი აპარატების მოდერნიზაცია ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით.

ერთ-ერთი გზად საცეჩი მანქანის სიჩქარის გასაუმჯობესებლად იღვლება მუშა ორგანოების სიჩქარის გაზრდა, ნაწილობრივ მბრუნავი დოლების კუდხური სიჩქარის გაზრდა. ტექნოლოგიური პროცესის ძირითად ნაკლად ამ შემთხვევაში ითვლება ნარჩენებში საშუალო და გრძელი ბოჭკოების მოხვედრა, ასევე იზრდება ლინდლის რაოდენობა, ცენტრიდანული ძალის გაზრდის შედეგად. შეიძლება გავაკეთოთ დასქვნა, რომ ერთი ტიპის მანქანებზე ბოჭკოები არ გამოიყოფა დოლიდან, რადგანაც აეროდინამიკური ძალა წინააღმდეგობას უწევს დოლის ნებისმიერ კუთხურ სიჩქარეს და მეტია ცენტრიდანულ ძალაზე. თუმცა ბოჭკოების დახრის კუთხე მუშა ორგანოების ზედაპირზე წარმოადგენს მნიშვნელოვან პარამეტრს.

კუთხეები განსაზღვრულია კინო გადაღებით. აღმოჩნდა, რომ ყმC-450 დახრის კუთხე ბოჭკოებისა მთავარი დოლის ზედაპირზე შეადგენს  $90^{\circ}$ . ჩვენი მიზანია დავადგინოთ ეს დამოკიდებულება გამარტივებული სახით.

ელემენტალურ ბოჭკოზე სიგრძით  $\Delta l$ , რომელიც იმყოფება მბრუნავ დოლზე მოქმედებს შემდეგი ძალები:

წონის ძალა

$$\Delta l = \gamma \Delta l \quad (1)$$

ცენტრიდანული ძალა

$$\Delta W = \frac{\Delta m v^2}{r} = \gamma \pi r_0^2 \Delta l \omega^2 r \quad (2)$$

დაწოლის გრადიენტი  $\Delta P$ , რომელიც წარმოიქმნება მბრუნავ ცილინდრებს შორის

$$\Delta P = S \frac{V^2}{R} \pi r_0^2 \Delta l$$

ბოჭკოს დაჭიმულობის ძალა  $T$  და  $T + \Delta T$ , აეროდინამიკური ძალები  $\Delta F = \Delta F_t + \Delta F_y$ , სადაც  $\Delta F_t$  – ხახუნის ძალა და  $\Delta F_y$  – წინააღმდეგობის ძალა.

მივიღოთ, რომ აეროდინამიკური ძალები, რომლებიც მოქმედებენ ბოჭკოებზე, ისეთივეა, როგორც ცილინდრული ნაკადის საშუალო. ამიტომ ხახუნის ძალა  $\Delta F_t$  განისაზღვრება იმ სიჩქარის შემადგენლობაში ელემენტალური  $\Delta l$  მხები და ბოლო ნებისმიერი წინააღმდეგობის ძალა  $\Delta F_y$  – ნორმალური ელემენტარული ძაფის  $\Delta l$  სიჩქარის შემადგენლობაში. ვისარგებლოდ ცნობილი აეროდინამიკური დამოკიდებულებით, გვექნება

$$\Delta F_y = q \Delta \rho \frac{sv_t^2}{r_0} \quad (3)$$

$$\Delta F_t = G_t \Delta S_0 \frac{\rho V_t^2}{r}, \quad (4)$$

სადაც  $\gamma$  – ბრუჯის სიმკვრივე;  $\rho$  – ჰაერის სიმჭიდროვე;  $r_0$  – ბოჭკოს განივავეთის რადიუსი;  $r$  – ღერძის მბრუნავი ნაწილის დაშორება;  $\omega$  – დოლის ბრუჯის კუთხური სიჩქარე;  $\Delta \rho, \Delta S$  – შესაბამისად გვერდითი ზედაპირის ფართი ბოჭკოს ელემენტარული სიგრძისათვის  $\Delta l$

$$\Delta S_0 = 2\pi r_0 \Delta l$$

$$\Delta S = 2r_0 \Delta l$$

$G_y$  და  $G_t$  – ნებისმიერი წინააღმდეგობის და ხახუნის კოეფიციენტი;  $V_t$  და  $V_y$  – ელემენტალური ნაწილის მხები და ნორმალური სიჩქარე;  $\varphi$  – კუთხე ბოჭკოს მხებად და დოლის ზედაპირის მხებად.

თუ გავაინტეგრალებთ (1–4) ბოჭკოსათვის მივიღებთ ბოჭკოზე მოქმედ ჯამურ ძალას

$$G = \gamma L$$

$$N = \gamma \pi r_0^2 \cdot \omega^2 \int_0^L r d_l; \quad P = \rho \frac{\pi r_0^2}{F} \cdot \int_0^L V^2 d_l$$

$$F_y = G_y \rho r_0 \int_0^L V^2 \cos^2 \varphi d_l \quad (5)$$

$$F_t = G_t \pi r_0 \int_0^L V^2 \sin^2 \varphi d_l,$$

სადაც  $L$  – ბოჭკოს სიგრძეა.

(5) გამოსათვლელად აუცილებელია ვიცოდეთ ბოჭკოს ფარდობითი წონა. ფარდობითი ფორმა, ბოკოს დაჭიმულობა  $T$  შეგვიძლია გავიგოთ (4) ფორმულიდან, რომლის პროექციას მთავარი ნორმალის მხებთან აქვს შემდგომი სახე:

$$\frac{dT}{dl} = \sum FK_t$$

$$\frac{T}{\rho} = \sum FK_y \quad (6)$$

წარმოდგენილი დავალება მნიშვნელოვნად გამარტივდება, თუ დაუშვებთ რომ სიმრუდის რადიუსი  $\rho$  დიდია, და დამოკიდებულება  $\frac{T}{\rho}$  მცირება ყველა მონაცემისათვის (6) ტოლობის მარჯვენა ნაწილისთვის,

მაშინ  $\varphi$  კუთხე ამ შემთხვევისთვის შეიძლება ჩავთვალოთ მუდმივად, წონასწორობის პირობიდან მოქმედი ძალების პროექცია მთავარ ნორმალზე ტოლია 0, მაშინ

$$\sum \text{F}_\gamma = 0 \quad (7)$$

თუ გავითვალისწინებთ ბოჭკოს სწორხაზოგნებას (მუდმივი  $\varphi$  კუთხის) რაც მტკიცდება შრომაში (3), ამ შემთხვევაში მარტივდება ჯამური ძალების გამოთვლა ფორმულიდან (5). ავღნიშნოთ დოლის რადიუსი  $R$ , შევცვალოთ დაშორება ბოჭკოსა და მბრუნავ დოლს შორის რადიურად  $r$ , მაშინ ჯამური ძალა, რომელიც მოქმედებს ბოჭკოზე (5) –დან მივიღებთ:

$$\begin{aligned} N &= \gamma \pi r_0^2 \cdot \omega^2 R^4 \\ F_\gamma &= G_\gamma \rho r_0 \sin^2 \varphi \int_0^L V^2 dl \\ F_t &= G_t \pi r_0 \cos^2 \varphi \int_0^L V^2 dl, \end{aligned} \quad (8)$$

გარკვეულობისათვის უნდა განვიხილოთ ბოჭკოს ისეთი მდებარეობა დოლებზე, როდესაც ძალების მოქმედების ხაზი გადის მბრუნავი დოლის ღერძზე.

ბოჭკოზე მოქმედი ძალების სისტემა წარმოდგენილია ასე: To აღნიშნულია დოლის გარნიტურის რეაქცია. ეს ძალა, ცხადიდ მიმართულია ბოჭკოს შიგნით. თუ დაგაპროექტებთ ძალებს ბოჭკოს ღერძის მიმართულებით მივიღებთ

$$F_\gamma + G_{t \cos P} + P_{t \cos \varphi} + W_{t \cos \varphi} = 0 \quad (9)$$

(9) –დან ძალა ცენტრიდანული ძალიდან შედარებით მცირეა და შეიძლება მისი უგულვებელყოფა.

ძალა, რომელიც წარმოიქმნება წევის გრადიენტის მბრუნავ ცილინდრებს შორის სიცარიელით შეიძლება უგულივებელვყოთ ცენტრიდანულ ძალასთან შედარებით. მაშინ ტოლობა (9) მიიღებს სახეს

$$F_\gamma - N_{t \cos \varphi} = 0 \quad (10)$$

ტოლობა (10) ემსახურება ბოჭკოს დახრის კუთხის განსაზღვრას დოლის ზედაპირის მხებად. სიჩქარის განაწილება მთავარ დოლსა და ქუდებს შორის, იმავე დოლსა და დანას შორის და ასევე ნებისმიერ მბრუნავ ნაწილებს შორის (საჩერი მანქანის) უფრო რთულია რადგან ნაკადის პარამეტრები არ შეიძლება ჩავთვალოთ  $\varphi$  კუთხისაგან დამოუკიდებლად დოლის მოძრავ რადიუსთან, რაც განპირობებულია საჩერი მანქანის კონსტრუქციის განსაკუთრებულობით. ამასთან დოლის ზედაპირი აღჭურვილია მტკიცირის წარმომქმნელი გარნიტური, რომელიც დიდ გავლენას ახდენს სიჩქარეთა განაწილებაზე. უნდა გავითვალისწინოთ ბოჭკოების მასა დრეჩოში, რომელსაც მივყავართ სიჩქარეთა თეორიულ და რეალურ სხვაობასთან.

## ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. გ.გოგოლაძე, „ჩეხვისა და გამჭვის პროცესი“, ქუთაისი. 2020
2. ფ.ე.ალექსანდროვ. Приготовление чесальной ленты.,М. 2003
3. Машина чесальная малогабаритная двух оборотная. Иваново.,1990
4. И.Г.Борзунов. Оценка заполнения волокон главного барабана и шляпок. М.,1998

Текстиль

### **НЕСКОЛЬКО НАПРАВЛЕНИЙ ПО УЛУЧШЕНИЮ ПРОЦЕССОВ ПРЯДЕНИЯ**

**М. ГОГОЛАДЗЕ, Н. АБЕСАДЗЕ**

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В статье представлены пути улучшения процессов рыхления, очистки и смещивания волокон, вопросы улучшения работы чесальных машин, влияние аэродинамических сил на процесс чесания, использование этих сил для улучшения процесса чесания. Отмечается влияние увеличения скорости рабочих органов на увеличение угловой скорости вращения барабанов.

Textiles

### **SEVERAL DIRECTIONS FOR IMPROVING SPINNING PROCESSES**

**M. GOGOLADZE, N. ABESADZE**

Akaki Tsereteli State University

Summary

The article presents ways to improve the processes of loosening, cleaning and mixing fibers, issues of increasing the productivity of the carding machine, the influence of aerodynamic forces on the carding process, the use of these forces to improve the carding process. There is talk of increasing the speed of the working bodies and increasing the angular velocity of the rotating drums.

## ნავთობშემცველი ნარჩენების დახასიათება და მათი გადამუშავების მეთოდები

ლ. გოგევაშვილი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე ხაზოგადოების განვითარება და სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესი პირდაპირ კავშირშია გარემოს მენეჯმენტის. ნავთობის ინდუსტრია არის ბუნებრივი რესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელი, რომლის ფუნქციონირება არღვევს ბუნებრივ გარსისტებებს და უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე მთელი წარმოების ციკლის განმავლობაში - ნავთობის მოპოვებიდან, ტრანსპორტირებიდან ნავთობპროდუქტების მიღებამდე, შენახვამდე და მოხმარებამდე. გარსისტების დაბინძურებაში დიდია ნავთობის შემცველი ნარჩენების წვლილი.

ნავთობისა და გაზის კომპლექსის განვითარების ამჟამინდელ დონეზე შეუძლებელია გარემოზე მისი უარყოფითი ზემოქმედების გამორიცხვა. ეკოსისტემების დაბინძურებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნავთობის შემცველ ნარჩენებსაც. ისინი წარმოიქმნება ნავთობის წარმოების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ყველა ეტაპზე, ნავთობპროდუქტების შემცველი ჩამდინარე წყლების, რეზერვუარების, ავზების გაწმენდისას და ა.შ. ნარჩენებში შემავალი ნავთობის დანაკარგები, ექსპერტების შეფასებით, შეადგენს მისი წლიური წარმოების დაახლოებით 3%-ს. ნავთობის შემცველი ნარჩენების რაოდენობა მუდმივად იზრდება: ყოველ 1 ათას ტონა ნედლ ნავთობზე მოდის 1-5 ტონა ნავთობის შლამი. ამ პროცესში მთავარი წვლილი შეაქვთ ნავთობის მწარმოებელ კომპანიებს: (1 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობის შლამი და ნავთობით დაბინძურებული ნიადაგი), ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები (0,7 მილიონი ტონა), ნავთობის საცავები (0,3 მილიონი ტონა), რკინიგზა, აეროპორტები, საზღვაო პორტები (5 მილიონი ტონა). ნარჩენების კლასიფიკაციის კატალოგის მიხედვით, ნავთობის შემცველი ნარჩენები მიეკუთვნება საშიშროების 3 კლასს (ზომიერად სახიფათო ნარჩენები), ნავთობპროდუქტების შემცველობა (15% ან მეტი) ან საშიშროების 4 კლასს (ნაკლებად საშიში ნივთიერებები), ნავთობპროდუქტების შემცველობა (15%-ზე ნაკლები).

არ არსებობს ნავთობისა და გაზის სამრეწველო ნარჩენების მთელი კომპლექსის სტანდარტიზებული კლასიფიკაცია. როგორც გარიანტი, შემოთავაზებულია დაყოფა აგრეგატული მდგომარეობით: თხევადი (ბურღვის ჩამდინარე წყლები, ნახშირწყალბადების შემცველი წყლები); მყარი ნალექები, (ბურღვის შლამები და ხსნარები), ნავთობის დალვრით წარმოქმნილი შლამი), შლამი-ნავთობის გადამუშავებიდან, მილსადენის

ნავთობის შლამი); აირისებრი (თანამდევი აირი, წყალბადის სულფიდი, ნახშირორჟანგი, ნახშირწყალბადები (ნავთობის აორთქლების ან გაზის გაუონვის შედეგად), გოგირდის ოქსიდები (როგორც წვის პროდუქტები). ძალიან ხშირად, ზოგადი ტერმინი „ნავთობის შემცველი შლამები“ გამოიყენება მყარი ან პასტის მსგავსი ზეთის შემცველი ნარჩენების აღსანიშნავად. ეს არის ორგანული, წყლიანი და მინერალური ნაწილების რთული პეტეროფაზური სისტემები ქვიშის, მტვრის, სილისა და ლითონის ნაერთების სახით, რომელთა თანაფარდობა მერყეობს ძალიან ფართო საზღვრებში. მათი შემადგენლობა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ნედლეულის მოპოვების მეთოდით, შემადგენლობით, ზეთების ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, გადამუშავების სქემებით, ტემპერატურით და ა.შ. ისინი შეიცავენ საშუალოდ (წონით) 10-56% ნავთობპროდუქტებს, 30- 85% წყალს, 1. 3-46% მყარ მასას.

წარმოქმნის მეთოდიდან გამომდინარე, ნავთობშემცველი შლამი შეიძლება იყოს ფსკერზე დალექილი (წარმოიქმნება, ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისაგან რეზერვუარების ფსკერზე), ასევე რეზერვუარის (წარმოიქმნება ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს სხვადასხვა კონტეინერებში).

დიდი რაოდენობით ნავთობით დაბინძურებული ნიადაგი წარმოიქმნება ნავთობპროდუქტების დედამიწის ზედაპირზე დაღვრის შედეგად, წარმოებაში მიმდინარე პროცესების ან საგანგებო სიტუაციების, ტექნოლოგიური აღჭურვილობის გაწმენდის, ავზების დემონტაჟის დროს და ა.შ.

დაბინძურებულ ნიადაგებში ნავთობის საშუალო შემადგენლობა შემდეგია: ნავთობპროდუქტები (10,1-14,2%), უხსნადი კომპონენტები (71,8-78,2%), მექანიკური მინარევები(10,1-13,2%), წყალი (9,7-14,7%), ლითონის მარილები. ნავთობით დაბინძურებული ასეთი ნიადაგები ნარჩენებად ითვლება. სპეციალური ლამის შესანახ ავზებში შენახვის შემდეგ ნავთობპროდუქტების და ლითონების რაოდენობა მათში დიდი არ არის, ამიტომ ისინი მიეკუთვნებიან საშიშროების მე-4-ე კლასს .

ნახშირწყალბადების ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების დროს წარმოქმნილი ნავთობის სხვადასხვა შლამი ყველაზე ფართომასშტაბიანი სამრეწველო ნარჩენებია, რომლებიც იკავებს ათეულობით კვადრატული კილომეტრის ფართობს და აშორებს მიწის მნიშვნელოვან რესურსებს მიმოქცევიდან ; მათ აგროვებენ, როგორც წესი, ლია ავზებში - სხვადასხვა ფორმის ნავთობის შლამის საწყობში, ყოველგვარი დახარისხებისა და კლასიფიკაციის გარეშე. ასეთ საწყობებში ხდება ბუნებრივი მოვლენები - ატმოსფერული ნალექების დაგროვება, მიკროორგანიზმების განვითარება, ჟანგვითი და სხვა რეაქციების წარმოქმნა, ე.ი. თვითადდეგენა მიმდინარეობს, თუმცა დიდი რაოდენობით მარილებისა და ნავთობპროდუქტების არსებობის გამო ჟანგბადის ზოგადი ნაკლებობით, ეს პროცესი ათწლეულებით ჭიანურდება.

საცავის ავზში რამდენიმე წლის განმავლობაში დეპონირებული ნავთობის ლამის შემადგენლობა განსხვავდება ახალი ლამის შემადგენლობიდან. დროთა განმავლობაში ის „ბერდება“, რაც იწვევს მის გამკვრივებას და დატაქნას. მსუბუქი ფრაქციები აორთქლდება, ზეთი და ნავთობპროდუქტები იუანგება და ფისები იცვლება სხვა ხარისხით. გარდა ამისა, არსებული მყარი მექანიკური მინარევების შედეგად წარმოიქმნება მრავალკომპონენტიანი დისპერსიული სისტემები, რომლებიც ძალიან მდგრადია, რაც ძალიან ართულებს მათ განადგურებას.

ნავთობით დაბინძურებული ნიადაგების გარდა, ნავთობის შემცველი ნარჩენების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოცულობაა ნახშირწყალბადებით დაბინძურებული თიხა, რომელიც გამოიყენება ნავთობგადამამუშავებელ ინდუსტრიაში, როგორც ბუნებრივი ადსორბენტი, გამოყენებული მინერალური ზეთების რეგენერაციისთვის. დღეისათვის, წლების წინ აშენებული ლამის რეზერვუარების მნიშვნელოვანი რაოდენობა დაბინძურების თავიდან აცილების საშუალების ნაცვლად გადაქცეულია საფრთხის მუდმივ წყაროდ.

ნავთობის ლამის გრძელვადიანი შენახვა საცავებში, რომლებიც არ აკმაყოფილებენ თანამედროვე გარემოსდაცვით მოთხოვნებს, იწვევს არა მხოლოდ მიწის მიტაცებას, არამედ მსუბუქი ფრაქციების აორთქლდების შედეგად ატმოსფეროში დამაბინძურებლების გამოყოფას; ასევე ადგილი აქვს დამაბინძურებლების ფილტრაციას მიწისქვეშა წყალსაცავის ავზების ბაზის მეშვეობით; ხდება ნარჩენების შესანახი ნაგებობების დაშლა და ნავთობის ნარჩენების რელიეფზე გაშვება, გარდა ამისა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ნაწილობრივი დაშლის პროდუქტები, ბევრად უფრო ტოქსიკური და კანცეროგენულია, ვიდრე თავად ნავთობი. ამ მხრივ, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ნავთობის ლამის განეიტრალებისა და ნავთობის შლამის ორმოების აღმოფხვრის უაღრესად ეფექტური და გათლობიურად სუფთა ტექნოლოგიების შექმნის ამოცანა.

ამჟამად არ არსებობს ნავთობის შემცველი ნარჩენების გადამუშავების ერთი უნივერსალური, ეკოლოგიურად სუფთა, ეკონომიკურად მომგებიანი და რესურსების დაზოგვის მეთოდი. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ეს დამოკიდებულია წარმოქმნის წყაროს შემადგენლობაზე, შენახვის დროზე, მექანიკური მინარევების რაოდენობაზე და ა.შ.

გამოიყენება ნავთობის შემცველი შლამების გადამუშავების შემდეგი მეთოდები:

- თერმული, ე.ი. წვა სხვადასხვა დუმელებში, მათ შორის პიროლიზი. ამ პროცესის უარყოფითია: მაღალი დირებულება, ჰაერის დაბინძურება წვის პროდუქტებით, როგორიცაა ნახშირბადის, აზოტის, გოგირდის, PAH და სხვა ტოქსიკური ნივთიერებების ოქსიდები, აგრეთვე წიდების წარმოქმნა, რომლებიც ასევე უნდა განეიტრალდეს, რადგან ისინი შეიცავს დიდი რაოდენობით კანცეროგენებს;

- თხევადი და მყარი ნახშირწყალბადების შემცველი ნარჩენების ნეიტრალიზაციის ქიმიური მეთოდები (დალექვა, კაფსულაცია, სორბენტების

გამოყენება, მაგნიტური კოლექტორები და ა.შ.) გულისხმობს სხვადასხვა რეაგენტების დამატებას გასანეიტრალებელ მასაში;

– ფიზიკური, როგორიცაა დალექვა, დაჭერა, ცენტრიფუგაცია, ფილტრაცია, ექსტრაქცია. ისინი ჩვეულებრივ გამოყენება თხევადი ნარჩენების გასაწმენდად და ხასიათდება გაწმენდის ყველაზე დაბალი ხარისხით;

– ფიზიკური და ქიმიური – ნავთობის ლამის გამოყოფა სპეციალურად შერჩეული ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებით, ფილტრის სისტემებით, ემულსიების დამშლელი რეაგენტებით, გამხსნელებით. ცალკეულ ფაზებად გამოყენებით ნავთობის ლამის შემდგომი გამოყენება ხდება ნედლეულად ეკონომიკის სხვა სექტორებისთვის. ასეთ მეთოდებს მიეკუთვნება კოაგულაცია და ფლოკულაცია, ექსტრაქცია, სორბცია, იონური მიმოცვლა, ფლოტაცია და ა.შ.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მეთოდები არასაკმარისად ტექნოლოგიურია, ეკოლოგიურად ნაკლებად უსაფრთხოა. მათი გამოყენება თავის მხრივ მოითხოვს უტილიზაციას, ამიტომ ნარჩენების გადამუშავების მოცულობა ჩამორჩება მათ წარმოქმნის მოცულობას და დაგროვებულ ნარჩენებს ემატება ახალი.

## ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. Багдасарова, Ю.А. Обезвреживание нефтезагрязненных грунтов методом биодеструкции / Ю.А. Багдасарова // Экологические проблемы горнопромышленных регионов: Сб. докл. междунар. молодежной конф. \_ Казань: КНИТУ, 2012 . \_ С. 39-42.
2. Бахонина, Е.И. Современные технологии переработки и утилизации углеводородсодержащих отходов. Сообщение 2. Физико-химические, химические, биологические методы утилизации и обезвреживания углеводородсодержащих отходов / Е.И. Бахонина // Башкирский химический журнал. \_ 2015. \_ Т. 22, # 2. \_ С. 41-49.
3. Ботвиненко, И.В. Разработка методов биодеструкции нефтешламов / И.В. Ботвиненко, К.М. Чореклиева, Д.О. Сидоренко, В.А. Винокуров // Защита окружающей среды в нефтегазовом комплексе. \_ 2013. \_ # 9. \_ С. 18-
4. Wasi et al., 2013; Fuentes et al., 2014; Pandey et al., 2016; Koshlaf, Ball, 2017).
5. Бурлака, Бруяка, 2017; Asadpour et al., 2013; Bazargan et al., 2014; Idris et al., 2014

Химическая инженерия

**ХАРАКТЕРИСТИКА НЕФТЕСОДЕРЖАЩИХ ОТХОДОВ И МЕТОДОВ ИХ  
ПЕРЕРАБОТКИ**  
**Л. ГОБЕДЖИШВИЛИ**

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

Развитие современного общества и научно-технический прогресс напрямую связаны с природопользованием. Нефтяная промышленность является крупнейшим пользователем природных ресурсов, эксплуатация которых нарушает природные экосистемы и оказывает негативное воздействие на окружающую среду на протяжении всего производственного цикла - от добычи нефти, ее транспортировки до приема, хранения и потребления нефтепродуктов. Нефтесодержащие отходы вносят большой вклад в загрязнение экосистемы

Chemical engineering

**CHARACTERIZATION OF OIL-CONTAINING WASTES AND THEIR  
PROCESSING METHODS**

**L. GOBEJISHVILI**

Akakia Tsereteli State University

Summary

The development of modern society and scientific and technological progress are directly related to environmental management. The oil industry is the largest user of natural resources, the operation of which disrupts natural ecosystems and has a negative impact on the environment throughout the entire production cycle - from oil extraction, transportation to receiving, storage and consumption of petroleum products. Oil-containing wastes contribute a lot to the pollution of the ecosystem.

პრეცესატუალური დიზაინერული პროექტის შემუშავების  
მეთოდოლოგიური საფუძვლები

მაია შარაბიძე - ტმდ, პროფესორი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელის განხილულია კონცეპტუალური დიზაინერული პროექტის შექმნის მეთოდოლოგია. აღვნიშნულია, რომ პროექტის შემუშავების ძირითადი წარმმართველი ძალაა დიზაინერის ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის სინერგია. ამასთან, ინტელექტუალური და რაციონალური აზროვნებისა და მუშაობის შედეგია დიზაინერული პროექტის ფორმის განსაზღვრა და ჩამოყალიბება, შემოქმედებითი და ემოციური ძლიერებისა კი - პროექტის შინაარსის გააზრება. პროექტზე მუშაობის პირველ და მეორე ეტაპებზე განხორციელებული რაციონალური აზროვნებისა და ინტელექტუალური შრომის შედეგად იქმნება ინტერიერის კომფორტული და ერგონომიკული ფუნქციური გარემო, შემდგომ ეტაპებზე შემოქმედებითი მუშაობის შედეგად კი - ინტერიერის ინდივიდუალური და ორიგინალური იერსახე, განწყობა და ხასიათი. შედეგად, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინტერიერის დიზაინერი არის კონკრეტულ გარემოში განწყობისა და კომფორტის შემოქმედი.

დიზაინერის საქმიანობა რთული შემოქმედებითი პროცესია, რომელიც ეფუძნება დრმა თეორიულ ცოდნასა და მრავალმხრივ პრაქტიკულ უნარებს. ამასთან, საბოლოო პროექტის სახეს მნიშვნელოვნად განაპირობებს თავად დიზაინერის მსოფლედველობა, სამყაროსა და მოვლენების აღმის თავისებურებები, ემოციური და რაციონალური აზროვნების სისტემა, გემოვნება და ესთეტიკური ხედვა. ინდივიდუალური, კონკრეტული ინტერიერის დიზაინერული პროექტის შექმნისას ეს თვისებები და უნარები მთლიანად უნდა მოერგოს და პასუხობდეს დამკვეთის მოთხოვნებსა და თავად ინტერიერის ფუნქციურ დანიშნულებას.

ზოგადად, დიზაინერული პროექტის შექმნისა და შემუშავების სამი მეთოდი არსებობს:

- რომელიმე კონკრეტული ინტერიერის ან გარემოს პირდაპირი კოპირება,
- არსებული პროექტის ანალოგიური გარიანტის შემუშავება,
- პროექტის შექმნა შემოქმედებითი მუშაობის ბაზაზე.

დიზაინერულ პროექტზე მუშაობის პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- ინტერიერის სივრცის შესწავლა და გაანალიზება,
- დამკვეთის სურვილებისა და მოთხოვნილებების გააზრება,
- საკუთარი თავში ჩაღრმავება,
- კონცეფციების გააზრება,
- შთაგონების წყაროს მიღწება.

ამათგან რიგით პირველი და უმთავრესი ეტაპია ობიექტის აღწერა-დასიათება და დამკვეთის მოთხოვნების ჩამოყალიბება.

ობიექტის აღწერა და დახასიათება ხორციელდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- მდებარეობა
- კლიმატური პირობები, რამდენად ხშირად ანათებს კაშკაშა მზე, ქრის ქარი და ა.შ.
- ნაგებობის ორიენტაცია პორიზონტის მხარეების მიმართ (რომელ მხარესაა კარი, ფანჯრები, აივანი და ა.შ.), ფანჯრები ჩრდილოეთითა თუ სამხრეთით
- ნაგებობის ზომა და პროპორციები: ოთახების ზომები, დიდია თუ პატარა ოთახი, როგორი ფორმის ოთახებია - წაგრძელებულია თუ კვადრატული, ჭერი მაღალია თუ დაბალი
- არქიტექტურულ-კონსტრუქციული თავისებურებები (ერკერი, თაღები, ღიობები, შიგა კიბე, ბუხარი, პოდიუმი, ანტრესოლი ან ქანდარა და ა.შ.), არსებობს თუ არა აშკარა დეფექტები, რომელთა შენიღბვაცაა საჭირო,
- ბუნებრივი განათება, საკმარისია თუ არა ოთახებში ბუნებრივი განათება, რა სახის ნათურები იქნება გამოყენებული ხელოვნური განათებისას,
- ინსოლაცია, ხვდება თუ არა ოთახებს პირდაპირი მზის სხივები.

დამკვეთის მოთხოვნების ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- რა დანიშნულებისაა ინტერიერია
- ვინ უნდა ისარგებლოს ინტერიერით
- რა ქმედებები უნდა განხორციელდეს ინტერიერში
- რა ფუნქციური ზონების არსებობაა აუცილებელი
- როგორი ფერთა შეხამებაა სასურველი
- როგორი სტილია მისაღები
- როგორი ბიუჯეტია გათვალისწინებული
- შთაბეჭდილება დამკვეთის შესახებ

დიზაინის თეორიაში ცნობილია რამდენიმე დიზაინერული კონცეფცია, რომელთაც დიზაინერები შემოქმედებითი მუშაობის პროცესში ეფუძნებიან.

ერთ-ერთი პირველი მკაფიოდ განსაზღვრული დიზაინის კონცეფცია, რომელმაც ბევრი მიმდევარი იპოვა, იყო ფუნქციონალიზმის კონცეფცია.

როგორც დიზაინის მიმართულება, ფუნქციონალიზმი გერმანიაში გაჩნდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. ფუნქციონალიზმის პრინციპები აქტიურად გამოიყენებოდა არქიტექტურაში (Le Corbusier, Mies van der Rohe, L. Sullivan, F. L. Wright). ლე კორბუზიეს ფორმულა: „სახლი არის მანქანა საცხოვრებლად“ სრულად გამოხატავდა ფუნქციონალიზმის იდეებს. დიზაინში, ფუნქციონალიზმი ამტკიცებდა ფუნქციის უპირატესობას სხვა ფორმირების ფაქტორებზე, ფაქტობრივად აცხადებდა ტექნიკურ და ესთეტიკურ იდენტურობას. ფუნქციონალიზმის სამუშაო ფორმულა: „ფორმა მიჰყება ფუნქციას, მისგან გამომდინარეობს“ ნიშნავდა, რომ ნივთის ფუნქციონალური შესაძლებლობების საუკეთესოდ განხორციელებაზე ფიქრით, დოგიკურად მივალთ სწორ, ოპტიმალურ ფორმამდე. უნდა ითქვას, რომ ფუნქციონალიზმის ფორმალური ენა იმ დროის ადგვატური იყო. ის იყო „მოხერხებული“ მასალების დამუშავების არასრულყოფილი მეთოდებისა და იმ დროს არსებული დიზაინერული გადაწყვეტილებისთვის, რომელთაც მხოლოდ პლასტიკურად მარტივი ფორმების შექმნა შეეძლოთ. ფუნქციონალიზმის იდეებმა აღორძინება განიცადეს მე-20 საუკუნის შუა წლებში ულმში (გერმანია) ფორმალური განათლების უმაღლეს სკოლასა და გერმანულ კომპანია Braun-ში. ეს იყო მჭიდრო, საქმიანი და იდეოლოგიური თანამშრომლობა. „ბრაუნის სტილი“ და „ულმ სკოლა“ თითქმის სინონიმები გახდა ფორმის ფორმირების ერთიანი კონცეფციის აღსანიშნავად, რომელიც ძალიან ახლოსაა ფუნქციონალიზმთან.

რაციონალური დიზაინის კონცეფცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც „დიზაინი მხატვრის გარეშე“. რაციონალური დიზაინის მაგალიტებია მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის შუა ხანებში შექმნილი ლითონისა და მინისგან დამზადებული პირველი საინჟინრო ნაგებობები - რკინიგზის სადგურები, საგამოფენო პავილიონები, ქარხნები, ლიფტები. ეს იყო სიცხადის, სიზუსტისა და ტექნიკის შესანიშნავი მაგალითები. თავის არსით რაციონალური დიზაინი დაკავშირებულია საინჟინრო დიზაინის თეორიასთან და ეფუძნება ტექნიკური გამოთვლების ამოუწურავ შესაძლებლობებს, განსაკუთრებით მანქანების დიზაინის დროს. რაციონალური დიზაინის წამყვანი თეზისია: ნებისმიერი შემოქმედებითი აქტივობა საინჟინრო დიზაინისა და მათემატიკური გაანგარიშების იდენტურია. მისი მიმდევრების აზრით, რაციონალური დიზაინის ამოცანა არის ძირითადი ხაზიდან გადახრების კონტროლი დიზაინის გასაუმჯობესებლად და პროდუქტის ფორმის დახვეწისთვის. რაციონალური დიზაინი არ უარყოფს ესთეტიკურ საკითხებს, თუმცა, აქაც ცდილობს შესწავლილი მასალის ფორმალიზებას - პროდუქციის ესთეტიკური მაჩვენებლების მათემატიკურ შეფასებას. „დიზაინში მხატვრის გარეშე“ არის სრული კოორდინაცია საინჟინრო გამოთვლებსა და წარმოების შესაძლებლობებს შორის. ესთეტიკური ფაქტორი სცილდება დიზაინის ფარგლებს და ფორმირება განიხილება, როგორც დიზაინის გაუმჯობესების

პროცესის შედეგი. რაციონალური დიზაინის იდეები ფართოდ არის წარმოდგენილი დიზაინის თეორიასა და პრაქტიკაში ინგლისში 1950-60-იან წლებში. ძირითადი კურსი აღებულია პროდუქციის ფორმის რაციონალური დალაგების, ტექნოლოგიური ინოვაციების, გამოგონებების გამოყენებასა და დიზაინერსა და ინჟინერს შორის ერთობლივი მუშაობის ორგანიზებაზე.

კომერციული დიზაინის კონცეფია შექმნისთანავე სამეწარმეო და კომერციული საქმიანობის ეფექტურ ინსტრუმენტად იყო გამიზნული . ამერიკელი დიზაინერების მუშაობა განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა კომერციული მიმართულებით, როდესაც ჯერ კიდევ 1930-იანი წლების ბოლოს, მასობრივი წარმოებისა და პროდუქტის ხარისხის თვალსაზრისით, შეერთებულმა შტატებმა უდაოდ მოიპოვა ლიდერობა და გადაასწრო ევროპას. იმდროინდელი ამერიკელი დიზაინერების სამოქმედო პროგრამა ზუსტად და ფიგურალურად გამოხატა ცნობილმა დიზაინერმა, აშშ-ს კომერციული დიზაინის ერთ-ერთმა პიონერმა, რაიმონდ ლოუიმ: „დიზაინი არის ის, რაც მაღაზიის სალარო აპარატის უფრო ხშირად რეკვას უზრუნველყოფს“.

დიზაინის სოციალურ-კულტურული კონცეფცია 1960-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა, როდესაც ევროპაში დიზაინის ფუნქციონალისტური და ექსტრემალური რაციონალისტური ტენდენციებისგან გათავისუფლების აუცილებლობა ცხადი გახდა. დიზაინის სოციალურ-კულტურული კონცეფცია აქცენტს აკეთებს სხვადასხვა ტიპისა და ჯგუფის მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული კონცეფციის თანახმად დიზაინერული პროდუქტის შექმნისა და ჩამოყალიბების პლასტიკური ენა უფრო რთული და მრავალფეროვანი გახდა. დიზაინში ჩნდება და თანაარსებობს სხვადასხვა სტილისტური ტენდენციები - „სკულპტურული“, „ტექნო“, „სოფთლაინი“ (რბილი ხაზი), „მილიტარი“ (სამხედრო სტილი), ბიონიკი და ა.შ. მწარმოებელმა კომპანიებმა შეცვალეს თავიანთი პოზიცია და გზა გაუხსნეს კვლევებსა და ექსპერიმენტებს ახალი ფორმის ძიების სფეროში. დიზაინი ორიენტირებული გახდა თეორიული პრობლემების გადაჭრის გზების განვითარებაზე. დიზაინერებისთვის პერსპექტიული ხასიათის ექსპერიმენტული პროექტები ახალი იდეების შესამოწმებლად კარგი პრაქტიკული სკოლა და გამოცდა იყო. საფუძველი ჩაეყარა ერთიდაიგივე პროდუქტების სერიებისა და ჯგუფების შექმნას. ამავდროულად, პოპულარული გახდა „ერთი ცალი“, „ერთეული“ პროდუქტის დიზაინს. ამ დროს სპეციალისტების ყურადღება მიკურობილი იყო ცალკეული, ინდივიდუალური, კონკრეტული, კერძო პროდუქტების დიზაინზე, რაც ხორციელდებოდა მაღალ პროფესიულ დონეზე. ამ პერიოდში დიზაინერებისთვის ძალიან მიმზიდვები იყო ესთეტიკური განვითარებისა და ობიექტური სამყაროს ტრანსფორმაციის იდეები დიზაინი განვითარდა და ნაყოფი გამოიდო „თვითდამტვერვის გზით“.

მხატვრული Art-დიზაინის კონცეფციას მიმდევრები და მხარდამჭერები ჩამოყალიბების თითქმის პირველივე ნაბიჯებიდან გაუჩნდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებში ინგლისელმა მხატვარმა და დიზაინერმა უილიამ მორისმა ყურადღება გაამახვილა არტისტის როლზე საგნობრივ გარემოში. 1934 წელს ინგლისელმა დიზაინის თეორეტიკოსმა პერბერტ რედმა წიგნში „ხელოვნება და ინდუსტრია“ წამოაყენა თეზისი: „დიზაინი აბსტრაქტული ხელოვნებაა“. ის დიზაინს განიხილავდა საზოგადოებრივი გემოვნების ტრანსფორმაციის გზით ახალი დროის სახვითი ხელოვნების სტანდარტების მიხედვით წარმოების ტრანსფორმაციის საშუალებას. 1950-იან წლებში ევროპაში გაჩნდა თეორიული და პრაქტიკული მიმართულება, რომელიც დიზაინერს განიხილავს როგორც ფორმისა (პლასტიკის) და ფერის ფორმირების სპეციალისტს, რომელიც მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის მოქმედებს როგორც შუამავალი. პერბერტ რედი დიზაინს განიხილავს როგორც დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების სახეობას. მხატვრული დიზაინის კონცეფცია - არტ დიზაინი, პირველ რიგში, ასოცირდება ისეთ უნიკალურ ფენომენთან, როგორიცაა იტალიური დიზაინი. იტალიური მხატვრული კულტურა ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა პროდუქციის სერიული მასობრივი წარმოების შემოტევას. იტალიული დიზაინერები უფრთხოდნენ ფუნქციონალიზმის მარტივი, უბრალო, ჩვეულებრივი, მშრალი ენის გამოყენებას. ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ ობიექტის მხატვრულ მხარეს. შედეგად, იტალიურმა დიზაინმა შეიმუშავა საკუთარი ორიგინალური ენა, შექმნა მრავალი საკულტო მაგალითი მასობრივი მოხმარების ეპოქაში. იტალიური მხატვრული დიზაინი არის კრეატიული ლაბორატორია, რომელიც შეიმუშავებს და ქმნის ახალი სტილისტური ფორმების საცნობარო მაგალითებს (ნიცოლის ხაზი, სოტსასის, ბელინის პლასტიკური ფორმები და ა.შ. იტალიური მხატვრული დიზაინი ეს არის ექსპერიმენტები, აღვილად გადასვლა ერთი პლასტიკური თემიდან მეორეზე, ეს არის გამოსახულების მხატვრულობა და მადლი, ეს არის „ემოციების დიზაინი“.

მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედში ცივილიზებულ სამყაროში ეკოლოგიურმა ცნობიერებამ დაიწყო ფორმირება და პუმანიგარულზე ორიენტირებული დიზაინი ამ პროცესის მიღმა არ და ვერ დარჩა. საცხოვრებელი გარემოს პრობლემების გააზრებისა და წარმოქნის კვალობაზე, ჩამოყალიბდა ახალი თაობის დიზაინერების მომზადებისა და განათლების მწვანე პროგრამა, რომლის მიხედვითაც დიზაინერი არის ეკონომიკურად განათლებული, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი და ეკოლოგიურად მოაზროვნე სპეციალისტი. ურთიერთობა დიზაინსა და სამრეწველო წარმოებას შორის შეიცვალა. მწვანე აზროვნების პროგრამები აკავშირებს გარემოსდაცვით მოსაზრებებს და დიზაინის პრაქტიკას. მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისის დიზაინის პრაქტიკაში

არსებობს ორი საპირისპირო მიდგომა: „ძლიერი დიზაინი“ და „სუსტი დიზაინი“. პირველი მათგანი წარმოადგენს ინდუსტრიულ ეპოქაში განვითარებული ტრადიციების გაგრძელებას, მეორე - პასუხობს დღევანდელ ეკოლოგიურ გამოწვევებს. „ძლიერი პროექტირება“ განასახიერებს დამოკიდებულებას აქტიური ტრანსფორმაციული საქმიანობის მიმართ. მეცნიერებასა და ტექნოლოგიასთან ერთად დიზაინი განიხილება, როგორც პროგრესის ინსტრუმენტი და ბუნებრივი, სპონტანური, უკონტროლო სამყაროს პროგრამირებად, კონტროლირებად სამყაროდ გარდაქმნის საშუალებად. „სუსტი დიზაინი“ არის დიზაინის კრიტიკული ასახვა და თანამედროვე ცივილიზაციის კრიზისული ფენომენების გამოსწორების მცდელობა. იგი აჩვენებს რეფლექსიურ, ფრთხილ, დამცავ დამოკიდებულებას ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს მიმართ. „სუსტი დიზაინის“ პოეტიკა ასახულია „ნეოპრიმიტივიზმის“ კონცეფციაში - კულტურული და ისტორიული გამოცდილების ტვირთის განცდა, სამყაროს გულუბრყვილო ხედვის წყურვილი, თანამედროვე ცივილიზაციის განცდაში, როგორც სპონტანური, თითქმის უკონტროლო დალა.

მითის (თქმულება, ლეგენდა) დიზაინის კონცეფცია არის რეალობის ასახვის, ამ რეალობის განზოგადებისა და ახსნის, მის ნავიგაციაში დახმარების მოდელი. Mythodesign მომხმარებელს სთავაზობს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რაზეც ზოგჯერ ინდივიდს არც კი უფიქრია. ექსპერტები გამოყოფენ ადამიანის რვა ძირითად მოთხოვნილებას, რომელთა საფუძველზეც აგებულია მითოლოგია:

- ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები - კვება, სუნთქვა, მოძრაობა, დასვენება;
- ეგზისტენციალური მოთხოვნილებები-უსაფრთხოების, თავდაჯერებულობის, პოზიტიური თვითშეფასების განცდა;
- სულიერი, ემოციური შერწყმის საჭიროება რომელიმე არსებასთან, ობიექტთან;
- კრეატიულობის მოთხოვნილება;
- ცოდნის მოთხოვნილება, სამყაროს შეცნობა და დაუფლება;
- ნების გამოვლენის, დაბრკოლებების გადალახვის აუცილებლობა;
- მსოფლმხედვებულობის მოთხოვნილება, ინდივიდის განსაკუთრებული როლის განცდა;
- სუპერმნიშვნელობის მოთხოვნილება, საგნის სიმბოლური მნიშვნელობა.

მითის დიზაინში მომხმარებელზე ზემოქმედება პროგნოზირებულია ორი მიმართულებით - ცნობიერ და არაცნობიერ აღქმაზე ზეგავლენით. ცნობიერ აღქმაზე გავლენას ახდენს შეტყობინების მნიშვნელობა, ხოლო

ქვეცნობიერზე გავლენას ახდენს გამოსახულება, ასოციაცია, ჟესტი, ხმა, ინტონაცია.

პროექტის კონცეფციის გააზრებასთან ერთად პროექტზე მუშაობისას მნიშვნელობისა შთაგონების წყაროს მიგნება. შთაგონების წყარო შეიძლება გახდეს:

**თემა** (ზღვა, კოსმოსი, ზღაპრების სამყარო, სპორტული, სამხედრო, სასკოლო და ა.შ.);

**შთაბეჭდილება** (ლიტერატურული ნაწარმოები, ჟურნალები და ბროშურები, ხელოვნება -კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება და მხატვრების შემოქმედება, მოგონებები - ბავშობის, მოგზაურობის, დასვენების, ბუნების მრავალფეროვნება -ტროპიკები, უდაბნო, ჯუნგლები და ა.შ., ეთნიკური მოტივები, კოლორიტი, ხასიათი);

**ემოცია და განწყობა** (მუშაობა, სწავლა, პრაგმატიზმი, დასვენება, მოდუნება, განხერობა, ნებივრობა, ჭვრება, ფიქრი, გართობა, აქტივობა, ოცნება, სიყვარული, რომანტიკა);

**ასოციაციები** (არქიტექტურული ელემენტები, დეტალები, კომპოზიციები, სხვადასხვა საგნებით გამოწვეული ასოციაციები, ქსოვილების ორნამენტები და ნახატები, ავეჯი, დეკორი, ჩუქურთმები, ორნამენტები, ძვირფასეულობა, სამკაულები, მოდა, ტრენდები, ლოგოტიპები).

კონცეპტუალური დიზაინერული პროექტის შექმნის მეთოდოლიგიის განხილვის საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ პროექტის შემუშავების ძირითადი წარმმართველი ძალად დიზაინერის ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის სინერგია. ამასთან, ინტელექტუალური და რაციონალური აზროვნებისა და მუშაობის შედეგია დიზაინერული პროექტის ფორმის განსაზღვრა და ჩამოყალიბება, შემოქმედებითი და ემოციური მდგომარეობისა კი - პროექტის შინაარსის გააზრება. პროექტზე მუშაობის პირველ და მეორე ეტაპებზე განხორციელებული რაციონალური აზროვნებისა და ინტელექტუალური შრომის შედეგად იქმნება ინტერიერის კომფორტული და ერგონომიკული ფუნქციური გარემო, შემდგომ ეტაპებზე შემოქმედებითი მუშაობის შედეგად კი - ინტერიერის ინდივიდუალური და ორიგინალური იერსახე, განწყობა და ხასიათი. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ინტერიერის დიზაინერი არის კონკრეტულ გარემოში განწყობისა და კომფორტის შემოქმედი.

Архитектурный дизайн

**МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ ОСНОВЫ РАЗРАБОТКИ КОНЦЕПТУАЛЬНОГО  
ДИЗАЙН-ПРОЕКТА**  
**М. ШАРАБИДЗЕ**

Государственный Университет Акакия Церетели

**Резюме**

В статье рассматривается методика создания концептуального дизайн-проекта. Отмечается, что основной движущей силой разработки и создания проекта является синергия интеллектуального и творческого потенциала дизайнера. Кроме того, результатом интеллектуально-рационального мышления и труда является определение и формирование формы дизайн-проекта, а творческого и эмоционального состояния - понимание содержания проекта. В результате рационального мышления и интеллектуальной работы, проведенной на первом и втором этапах работы над проектом, создается комфортная и эргономичная функциональная среда интерьера, а в результате творческой работы на последующих этапах - индивидуальный и оригинальный имидж, настроение и характер интерьера. Таким образом можно отметить, что дизайнер интерьера является творцом настроения и комфорта в конкретной обстановке.

Architectural design

**METHODOLOGICAL BASIS OF CONCEPTUAL DESIGN PROJECT**

**DEVELOPMENT**

**M. SHARABIDZE**

Akaki Tsereteli State University

**Summary**

The article discusses the methodology for creating a conceptual design project. It is noted that the main driving force behind the development and creation of the project is the synergy of the intellectual and creative potential of the designer. In addition, the result of intellectual and rational thinking and work is the definition and formation of the form of the design project, and the creative and emotional state is the understanding of the content of the project. As a result of rational thinking and intellectual work carried out at the first and second stages of work on the project, a comfortable and ergonomic functional environment of the interior is created, and as a result of creative work at subsequent stages - an individual and original image, mood and character of the interior. Thus, it can be noted that the interior designer is the creator of mood and comfort in a specific environment.

სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების როლი  
და ადგილის სოფლის ფურიზმის ბანგითარების საკითხებში

ნანა ჭარაბიძე - ასოც.პროფესორი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სატიაში განხილულია სოფლის ტურიზმის განვითარების საკითხებში სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების როლისა და ადგილის საკითხები, მოტანილია მსოფლიოს წამყვანი ტურისტული რეგიონებში არსებული გამოცდილების მაგალითები. გაანლიზებულია იმერეთის რეგიონის მოსახლეობის შეხედულებები სოფლის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნულია, რომ იმერეთის ფერმერთა მოხაზულებით, სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი მხარდაჭერა და ადგილობრივი ხელისუფლების აქტიურ მონაწილეობა ინფრასტრუქტურულ, ორგანიზაციულ, სარეკლამო და საგანმანათლებლო მუშაობაში. ამასთან, სოფლის ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის ეფექტური იქნება ფერმერთა ასოციაციების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს საჭირო ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურული და ფინანსური რესურსების შედარებით იოლად მობილიზებას, მოზიდვასა და კონსოლიდირებას.

XXI საუკუნის დასაწყისში ტურიზმი მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების წამყვან მიმართულებად იქცა, ხოლო ტურისტული ინდუსტრია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სამომხმარებლო მოდელებისა და სოციალური ქცევის განუყოფელი ნაწილი გახდა. ტურიზმისა და მოგზაურობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ჯეფრი კენტის სიტყვებით, - პანდემიამდე ტურიზმის სფერო მსოფლიოს მთლიანი შიგა პროდუქტის მეათედს ქმნიდა, მასში დასაქმებული იყო მსოფლიოს ყოველი მეორმეტე დასაქმებული ადამიანი. მომავალ ათწლეულში შემოსავლები ტურიზმის სფეროდან ყოველწლიურად 4%-ით უნდა გაზრდილიყო. განვითარების დინამიურობით გამოირჩეოდა დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, გერმანია, აშშ, იაპონია. უდიდეს ტურისტულ ბაზარს წარმოადგენდა ევროკავშირი, რომელზეც დარგში მიღებული შემოსავლების 35% მოდიოდა. საგულისხმოა, რომ დღეისათვის

ტურიზმის სფეროში პანდემიამდელი ეკონომიკური მაჩვენებლები მიღწეულია.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგია 2025 წლისთვის მშპ – ში ტურიზმის წილის 7,9% – მდე გაზრდას ითვალისწინებს. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროგნოზით, პოსტ-პანდემიურ პერიოდში პოზიტიური ცვლილებები საქართველოს ტურიზმის აღდგენისა და რეაბილიტაციის პროცესში შესაძლებელი იქნებოდა როგორც საერთაშორისო ტურისტების ხელახალი მოზიდვითა და გარე ტურიზმის რესტარტით, ასევე შიდა ტურიზმის მხარდაჭერისა და განვითარების გზით. მათივე შეფასებითა და რეკომენდაციით, პოსტპანდემიის პირველ ეტაპზე ამ ორ მიმართულებას შორის უპირატესობა შიდა ტურიზმს ენიჭება. საგულისხმოა, რომ შიდა ტურიზმი, ანუ მოქალაქეთა ერთი ქვეყნის ფარგლებში მოგზაურობა, საერთაშორისო ტურიზმის მოცულობას 10-ჯერ აღემატება, ამასთან, ადგილობრივი ტურისტების მიერ მოგზაურობისას დახარჯული თანხები საერთაშორისო ტურისტების დანახარჯებს მხოლოდ 7-ჯერ აჭარბებს. ამდენად, მნიშვნელოვანია აქცენტის რაოდენობრივ ზრდაზე გაკეთდეს. შიდა ტურიზმის განვითარების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნასა და რეგიონების ტურისტული პოტენციალის, როგორიცაა ბუნებრივი და რეკრეაციული რესურსები, კულტურული და ისტორიული ადგილები, ეთნიკური მახასიათებლები და ტრადიციები და ა.შ. ეფექტურ გამოყენებასა და მათ ბაზაზე აუთენტური მდგრადი ეროვნული ტურისტული პროდუქტის ფორმირებასა და რეალიზაციას.

ის, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად კვლავაც ტურიზმი არის მიწნეული, მკაფიოდ ჩანს საქართველოს რეგიონული განვითარების 2018 – 2021 წწ. სახელმწიფო სტრატეგიასა და 2016 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული მწვანე ზრდის პლანიტიკის დოკუმენტსა და მწვანე ზრდის კონცეფციაში. ამ მასალებში აღნიშნულია, რომ ტურიზმი ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და ამდენად, სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვასა და ხელშეწყობას საჭიროებს. სამთავრობო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას ტურიზმის სექტორის დივერსიფიცირებისა და შიდა ტურიზმის წახალისების ეფექტური მექანიზმები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებას ქვეყანაში, როგორიცაა

- კულტურული ტურიზმი (ისტორია, ხუროთმოძღვრება, ხელოვნება, ხალხური რეწვა, რელიგიური ტურები);
- კურორტებზე დასვენება (საზღვაო, სამთო-სათხილამურო კურორტები და სხვ.);
- ეკოტურიზმი;

- სათავგადასავლო ტურიზმი;
- აგროტურიზმი, მათ შორის, დვინის და ადგილობრივი სამზარეულოს ტურები;
- სამედიცინო ტურიზმი (ბალნეოლოგიური კურორტები მინერალური წყლებით, გოგირდის აბანები, სამკურნალო ტალახი ახტალაში და ა.შ.);
- საქმიანი და პროფესიული ტურიზმი;
- სპორტული ტურიზმი (ალპინიზმი და სხვ.).

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, აგროტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ და პერსპექტიულ მიმართულებად არის მიჩნეული. აგროტურიზმი არც თუ ახალი მოვლენაა. ევროპაში ტურიზმის ეს მიმართულება თითქმის 200 წელია არსებობს და ვითარდება. თუმცადა, უკანასკნელი 2-3 ათწლეულია აგროტურიზმით სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება და მათი მიმღები ქვეყნისთვის მთელი ტურისტული შემოსავლის მესამედი მოაქვთ.

აგროტურიზმის არსის უკეთ გააზრებისთვის ასეთი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ. წარმოიდგინეთ, რომ მზიანი არომატული ციტრუსებისა და მარადმწვანე ფიჭვების სამხრეთულ მხარეს ესტუმრა ტურისტი ცივი და მკაცრი ჩრდილოეთიდან და ნაცვლად იმისა, რომ ზღვის პირას დაცულ ტერიტორიაზე განთავსებულ კეთილმოწყობილ სასტუმროში მოეწყოს, სადმე სოფელში სტუმართმოყვარე ფერმერთან დასვენებას ირჩევს. იქ სტუმარს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მასპინძლის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. რა თქმა უნდა, მას არავინ აიძულებს დილიდან დაღამებამდე შრომას, არამედ სურვილის შემთხვევაში, შეეძლება მიეხმაროს მასპინძელს საქონლის მწყემსვაში ან დაპურებაში, მოსავლის აღებასა და დაბინავებაში, შესაძლებლობა ექნება მოწველოს ძროხა ან თხა.

ზოგჯერ მასპინძელს შეუძლია შესთავაზოს სტუმარს დააკვირდეს ან მონაწილეობა მიიღოს კერძების მომზადებაში, დვინის დაყენებასა და არყის გამოხდაში, ყველის ამოყვანასა და მაწვნის დაყენებაში და ა.შ. სურვილის შემთხვევაში, სტუმარს ასევე შეეძლება ადგილობრივი ტრადიციების გაცნობა, ეროვნული ტანსაცმლის მორგება და ნამდვილ ადგილობრივ მცხოვრებად თავის წარმოდგენა. სასიამოვნო და არამომქანცველ შრომასა და ადგილობრივ მაცხოვებლებთან ნაცნობობასთან ერთად ტურისტი, ნაცვლად საკურორტო ქალაქების ხმაურისა და ზღვის სანაპიროს მაღალი ტენიანი გარემოსა, დამატებით იღებს მშვიდ სასიამოვნო ოჯახურ გარემოს, მომხიბვლელ პეიზაჟებსა და სუფთა ჰაერს.

აგროტურიზმი ტურიზმის დამოუკიდებელი მიმართულებაა. იგი კარგად ორგანიზებული და ცენტრალიზებულია და არ გულისხმობს ცალკეული ოჯახის მიერ აგარაკის „გაქირავება“ ზაფხულში. აღნიშნულ ტურისტულ ბიზნესში ჩართული არიან ტუროპერატორები და სასტუმროები (ამ

შემთხვევაში სოფლის სახლი, ქოხი), რომლებიც სპეციალიზირდებიან კონკრეტული ტურისტული პროდუქტის შეთავაზებაში.

საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიიდან ჩანს, რომ საქართველოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში აგრო ტურიზმს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ცნობილია, რომ საქართველო აგრარული ქვეყანაა და ჩვენს ქვეყანაში 3000-ზე მეტი სოფელი და დაბაა. მიუხედავად ამისა, აგროტურიზმს შიდა ტურისტულ ბაზარზე ზრდასრულ მოსახლეობაში დიდი მოთხოვნით არ სარგებლობს. ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას სოფელთან მეტნაკლები კავშირი შენარჩუნებული აქვს და მისთვის სოფლის ყოფასთან ურთიერთობა უცხო არ არის. თუმცადა, საკმაოდ დიდია ქალაქის იმ მოსახლეობის, განსაკუთრებით კი - ახალგაზრდების (მოსწავლეები, სტუდენტები, ოფისის თანამშრომლები, დისტრიბუტორები და სხვა) რიცხვი, ვისთვისაც სოფლად საქმიანობა უზვეულოა და ერთგვარ ეგზოტიკას წარმოადგენს. სწორედ ამ სეგმენტისთვის შესაძლებელია მიმზიდველი აგროტურების შემუშავება, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება აქტიური დასვენებისა და შემეცნებითი პროცესის შერწყმა. მსოფლიოს რიგი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, მოზარდების პიროვნული და მოქალაქეობრივი ჩამოყალიბებისთვის, ასეთ ტურისტებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ამისა, გარე ტურიზმისათვის საქართველოს აგროტურისტული პოტენციალი მართლაც პერსპექტიული და მიმზიდველია. ევროპელი ტურისტები, რომლებიც ძირითადად, მეგაპოლისების მაცხოველები არიან, მონატრებულნი არიან ბუნებასა და ბუნებრიობას, ბევრისთვის უცხოა სოფლისა და რეგიონის ყოფა და ყოველდღიური ცხოვრება. მათვის ჩვენი ქვეყნის აგროტურისტული პოტენციალი, საქართველოს კუთხეების სახით, მრავალფეროვან არჩევანს ქმნის. კარგად ორგანიზებული და სახელმწიფოს მხრიდან მახრდაჭერილი აგროტურიზმი საქართველოში უცხოელი ტურისტებისთვის სასიამოვნო, შინაარსიანი და დაუვიწყარი დასვენების რეალურ საშუალებად, ხოლო ქართველი ფერმერებისთვის მნიშვნელოვანი დამატებითი შემოსავლის წყაროდ შეიძლება იქცეს.

მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ რეგიონული ტურიზმის განვითარებისთვის, ადგილობრივი მოსახლეობის სურვილთან ერთად, საჭიროა სერიოზული სახელმწიფო მხარდაჭერა მნიშვნელოვან საკითხებში, რომელთა გარეშე ვერც ადგილობრივი ხელისუფლება და ვერც მოსახლეობა შეძლებს ტურიზმის ბიზნესის განვითარებას. ესენია:

- აუცილებელი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა. სოფლად ტურიზმის, როგორც ეფექტური სამეწარმეო საქმიანობის დამკვიდრებისთვის შესაბამისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა, ლიცენზირების დამატებითი პირობების შემუშავება, საცხოვრებლის სერტიფიკაციის

წესების შემოღება, განსაკუთრებული სპეციფიკური შედავათების დაწესება;

- რეგიონში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკისა და მიზნობრივი პროგრამების შემუშავება;
- საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა და გაუმჯობესება; დაბანდება მატერიალურ-ტექნიკურ ინფრასტრუქტურაში (გზები, კანალიზაცია, წყალ-, გაზისა და ელექტრომომარაგება, კავშირგაბმულობა და ა.შ.);
- დამწევებოათვის და მცირე მეწარმეების ფინანსური დახმარების ფორმების შემუშავება, მრავალარხიანი ფინანსური მხარდაჭერა (სესხები/დოტაცია და დაბეგვრა), სოფლად ტურისტული საქმიანობის განვითარების წინაპირობების აქტივიზაციისა და რეალურ ტურისტულ პროდუქტად ფორმირებისთვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა;
- სოფლის ტურიზმის განხორციელებისთვის აუცილებელი რეალური მხარდაჭერა, რაც გამოიხატება ინფორმაციის გავრცელების უფასტური საშუალებების გამოყენებაში. ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის გზით აგროტურიზმისთვის მასშტაბური ბაზრის შექმნა ვირტუალურ ფორმაში. ეროვნული და რეგიონალური აგროტურისტული პროდუქტის სარეკლამო-ინფორმაციული უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება გავრცელდეს მასშედით, პოლიგრაფიული პროდუქციის სახით და ა.შ.;
- ტრენინგის ორგანიზება როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, ასევე რეგიონების მაცხოვებლებისთვის;
- აგროტურიზმის სუბიექტების გაერთიანების შექმნა, რომელთა ფუნქციაა მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა, სარეკლამო-ინფორმაციული ხელშეწყობა, ცენტრალიზებული დაჯავშნის სისტემის ევროპული პორტალების დანერგვა და ა.შ.

ევროპის მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტურიზმის განვითარება რეგიონებში დადებითად მოქმედებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ მდგომარეობაზე, რადგან ეს ხელს უწყობს დამატებითი შემოსავლის მიღებას, ცხოვრების პირობების და ზოგადად, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, რეაბილიტაციასა და ეთნიკური და ტრადიციული მატერიალური და არამატერიალური რესურსების გააქტიურებას.

რეგიონებში ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელია რეგიონების მაცხოვებლების პირადი განვითარების შესაძლებლობა. კერძოდ, მათ აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ ახალი ცოდნა და უნარები, გაიუმჯობესონ და აიმაღლონ კვალიფიკაცია ბიზნესის ორგანიზებისა და წარმოების, სტუმრების მისაღებად და ტურების ორგანიზებისთვის. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ინდივიდის თვითშეფასების ზრდას, რომლის გამოხატულებაა: დამოუკიდებელი ცნობიერება, თვითდაჯერებულობა,

საკუთარი ეკონომიკის რესურსების შეფასების უნარი, შემოქმედებითი აზროვნების განვითარება.

ჩვენს მიერ განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ იმერეთის რეგიონის მაცხოვრებლები მზად არიან ისწავლონ და მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებსა და სემინარებში. წამყვანი როლი და პასუხისმგებლობა ამ ღონისძიებების ორგანიზებასა და ამგვარი სამუშაოების განხორციელებაზე სახელმწიფოს ევალება. ამ მიზნით ჩვენი უნივერსიტეტის ტურიზმის დეპარტამენტში შემუშავებულია მოკლევადიანი კურსები: „ტურისტული პროდუქტის ფორმირება და პოპულარიზაცია” და „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა”. ეფექტური მართვისა და ტერიტორიული სტრუქტურის რეფორმის ცენტრთან და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან ერთად ტარდება ტრენინგები სხვადასხვა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებიათვის. საკუთარი რეგიონების მაგალითზე, ისინი იდებენ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნის, მათი განხორციელებისა და პოპულარიზაციისთვის საჭირო ღონისძიებებისა და ამ საკითხში მუნიციპალიტეტების როლის შესახებ. ამასთან, რეგიონების მაცხოვრებლების ტრენინგი ჯერ არ არის ორგანიზებული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ეფექტური სამოქმედო გეგმის შემუშავება, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით, რათა მოიზიდონ აკადემიური წრეების წარმომადგენლები და მოხდეს რეგიონების დაინტერესებული მაცხოვრებლების მომზადება სამეწარმეო საქმიანობაში, ტურიზმის ბიზნესში და კომუნიკაციის საკითხებში.

მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე კვლევაში მონაწილე იმერეთის რეგიონის სამტრედიის, ხონისა და ვანის მუნიციპალიტეტებში სოფლის ტურიზმის, მათ შორის აგრო ტურიზმის, მდგრადი განვითარებისთვის ეფექტური იქნება ფერმერთა ასოციაციების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს საჭირო ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურული და ფინანსური რესურსების შედარებით იოლად მობილიზებას, მოზიდვასა და კონსოლიდირებას. ასოციაციის წევრებს შეეძლებათ ერთად შექმნან საჭირო ინფრასტრუქტურა: კვების ობიექტები, საძილე ბლოკები აბაზანით (ცხელი წყლით და ტუალეტით); ლაშქრობისა და ტურებისთვის შეიძინონ შესაბამისი აქსესუარები (ტრანსპორტი, კარვები, ჭურჭელი და ა.შ.). შესაძლებელი იქნება კაფე-ბარის ან სალონის მოწყობა, სადაც საღამობით შესაძლებელი იქნება ტურისტების დასვენების ორგანიზება: მუსიკის მოსმენა, ცეკვა, საუბარი. ასეთ დაწესებულებებში, მაგალითად, შეიძლება შედგეს კონცერტი ადგილობრივი მაცხოვრებლების ფოლკლორული ანსამბლის ან ახალგაზრდული ჯგუფის მონაწილეობით და ა.შ. ადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმება შესაძლებელი იქნება როგორც სასტუმროში, ასევე გასართობ

დაწესებულებებში. კვების ობიექტებში გამოიყენებენ სოფლის მოსახლეობის მიერ წარმოებულ პროდუქტს. ადგილობრივი სკოლის მასწავლებლები შეიძლება იყვნენ გიდები და ინსტრუქტორები ლაშქრობებსა და ტურებზე. თანამედროვე სერვისისა და კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად შეიძლება მოეწყოს ერთიანი კომპიუტერული – საინფორმაციო ცენტრი, რომელიც აქტიურად მიიღებს მონაწილეობას მარკეტინგულ და სარეკლამო სამუშაოებში და ასევე მიაწვდის სტუმრებს ინტერნეტ-სერვისებს. შეიძლება მოეწყოს სუვენირების მაღაზია ან დახლი, სადაც გაიყიდება ადგილობრივი მოსახლეობის ხელნაკეთი ნივთები, ასევე სხვადასხვა ტრადიციული ნუგაბარი.

ამრიგად, სოფლის ტურიზმის განვითარების საკითხებში სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების როლისა და ადგილის კვლევამ აჩვენა, რომ

1. იმერეთის რეგიონში აგროტურიზმის ბიზნესით დაინტერესებული ფერმერთა საზოგადოება არსებობს, მაგრამ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი მხარდაჭერა და ადგილობრივი ხელისუფლების აქტიურ მონაწილეობა ინფრასტრუქტურულ, ორგანიზაციულ, სარეკლამო და საგანმანათლებლო მუშაობაში;
2. ამ ეტაპზე კვლევაში მონაწილე იმერეთის რეგიონის სამტრედიის, ხონისა და ვანის მუნიციპალიტეტებში სოფლის ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის ეფექტური იქნება ფერმერთა ასოციაციების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს საჭირო ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურული და ფინანსური რესურსების შედარებით იოლად მობილიზებას, მოზიდვასა და კონსოლიდირებას.

Туризм

## РОЛЬ И МЕСТО ГОСУДАРСТВА И МЕСТНОГО САМОУПРАВЛЕНИЯ В ВОПРОСАХ РАЗВИТИЯ СЕЛЬСКОГО ТУРИЗМА

**Н. ШАРАБИДЗЕ**

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В статье рассматриваются вопросы роли и места государства и местного самоуправления в развитии сельского туризма, приводятся примеры опыта ведущих туристических регионов мира. Анализируются мнения населения Имеретинского региона о возможностях развития сельского туризма. Отмечается, что по мнению фермеров Имерети, для развития сельского туризма необходима эффективная поддержка со стороны государства и активное участие местного самоуправления в

инфраструктурной, организационной, рекламной и просветительской работе. Кроме того, для устойчивого развития сельского туризма будет эффективным создание фермерских объединений, что будет способствовать относительно легкой мобилизации, привлечению и закреплению необходимых человеческих, материально-технических и хозяйственных инфраструктурных и финансовых ресурсов.

Tourism

## **THE ROLE AND PLACE OF THE STATE AND LOCAL SELF-GOVERNMENT IN MATTERS DEVELOPMENT OF RURAL TOURISM**

**N. SHARABIDZE**

Akaki Tsereteli State University

### **Summary**

The article discusses the role and place of the state and local self-government in the development of rural tourism, provides examples of the experience of leading tourist regions of the world. The opinions of the population of the Imereti region on the possibilities of developing rural tourism are analyzed. It is noted that according to Imereti farmers, the development of rural tourism requires effective support from the state and the active participation of local self-government in infrastructure, organizational, advertising and educational work. In addition, the creation of farmers' associations will be effective for the sustainable development of rural tourism, which will contribute to the relatively easy mobilization, attraction and consolidation of the necessary human, material, technical and economic infrastructure and financial resources.

ქიმიური ინჟინერია

კალინდულაში შეხავალი გიოლობიურად აძლიშვილი ნივთიერებები და  
გამოყენება ფარმაცევტულ და კოსმეტიკურ წარმოებაში

6069 ცუცქირიძე, მაბდა ნასრაძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოსახლეობის დაავადებების ზრდა განპირობებულია, მთელი რიგი რბილებური მიზეზების გამო, ნერვულ-ემოციური დატვირთვა, მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალური დაუცველობა და სხვა. გაიზარდა ეთერზეთ შემცველი სამკურნალო მცენარეების მიმართ ინტერესი. მცენარეებში შემავალი სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური განაპირობებს მის სასარგებლო თვისებებს, მაგალითად ასეთებია: ეთერზეთები, გლიკოზიდები, ფენოლური ნაერთები და სხვა. კალინდულაში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ავლენენ სამკურნალო თვისებებს და მიღებული ექსტრაქტებიდან დამზადებული სამკურნალო საშუალებები გამოიყენება აკენე სამკურნალოდ, ანთების შესამცირებლად, სისხლდენის შესახერებლად და გაღიზიანებული ქსოვილების დამამშვიდებელ საშუალებად.

ბოლო წლებში, შეინიშნება მოსახლეობის დაავადებების ზრდა, მთელი რიგი რბილებური მიზეზების გამო, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, ნერვულ-ემოციური დატვირთვა, მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალური დაუცველობა და სხვა მრავალი ფაქტორი. დაბალი იმუნური სისტემის მქონე ადამიანები, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, შედიან რისკ ჯგუფებში, აღენიშნებათ ორგანიზმის იმუნოლოგიური რეაქტიულობის დაქვეითება, დაკავშირებული იმუნური, დეტოქსიკაციური და სხვა ადაპტირების მექანიზმების დაქვეითებასთან.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ეთერზეთ შემცველი სამკურნალო მცენარეების მიმართ ინტერესი. მცენარეებში შემავალი სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური განაპირობებს მის სასარგებლო თვისებებს, მაგალითად ასეთებია: ეთერზეთები, გლიკოზიდები, ფენოლური ნაერთები, ალკალოიდები, საპონინები, ფისები, ვიტამინები და სხვა, რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე, სხვადასხვა დაავადების გამომწვევა

მიკრობებზე. მცენარეული ნედლეულის სასარგებლო თვისებებს განაპირობებს მასში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ერთობლიობა.

კალენდულა დიდი ხანია გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში და 2008 წლიდან იგი აღიარებულია, როგორც მცენარეული სამკურნალო საშუალება ევროპის მედიკამენტების სააგენტოს მიერ. ყვავილი და ფოთლები გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც

✚ ანთების და სპაზმის საწინააღმდეგო

საშუალება,

✚ ცუდად შეხორცებული ჭრილობების,

✚ მცირე დამწერობის,

✚ დაუკეილობების,

✚ გამონაყარის სამკურნალოდ,

✚ კუჭის წყლულის

✚ პირის ღრუს ანთებით გამოწვეული დისკომფორტის შესამსუბუქებლად.



კალენდულას ანტიოქსიდანტური თვისებები თოხ სახეობის (Double Esterel Orange, Radio Extra Selected, Bonbon Abricot და ორმაგი Esterel Jaune) მცენარის მიწისზედა ნაწილი (ყვავილები) შეიცავს ფიტონციდებს და მთრიმლავ ნივთიერებებს, თესლი შეიცავს ცხიმოვან ზეთს და ალკალოიდებს, ყვავილები შეიცავს ეთერზეთებს, კაროტინოიდებს, ფლავონოიდებს, საპონინებს, ლორწოს, ორგანულ მჟავებს, ალკალოიდების კვალს.

#### ცხრილი №1

კალენდულას ყვავილში სასარგებლო ნივთიერებების შემადგებლიბა

#	ნივთიერების დასახელება	რაოდენობა %
1.	ეთერზეთები	4,04
2.	კაროტინი	3
3.	ფისი	2,3
4.	ანტიოქსიდანტი	3,1
5.	ფიტონციდები	1,8
6.	ტანიდები	0,9
7.	ფლავონოიდები	4
8.	ორგანულ მჟავები	6-8
9.	საპონინები	1,5

*Calendula officinalis* L. - სამკურნალო მცენარე, რომელიც აგროვებს დიდი რაოდენობით კაროტინოიდებს თავის ყვავილებში. ყვავილების ყვითელი-ნარინჯისფერი ფერი ძირითადად კაროტინოიდებით არის განპირობებული და დამოკიდებულია პიგმენტების შემცველობაზე.

ცხრილი №2

კალენდულაში შემავალი ვიტამინები და მინერალები

№	ნივთიერების დასახელება	რაოდენობა %
1.	ვიტამინი A	285,5
2.	ბეტა-კაროტინი	616,3
3.	ვიტამინი B1	35,8
4.	ვიტამინი B2	49,6
5.	ქოლინი	22,7
6.	ვიტამინი B5	209,1
7.	ვიტამინი B6	45,2
8.	ვიტამინი B9	243,5
9.	ვიტამინი C	231,2
10.	ვიტამინი E	139,6
11.	ვიტამინი K	2436
12.	ვიტამინი PP	25,1
13.	კალიუმი	150,2
14.	კალციუმი	88,9
15.	მაგნიუმი	65,9
16.	ფოსფორი	50,9
17.	რკინა	46,4
18.	მანგანუმი	190,1
19.	სპილენდი	261
20.	სელენი	762,6
21.	თუთია	35,5

კალენდულას სახეობები ტრადიციულად გამოიყენება როგორც სამკურნალო ბალანი. მისგან ამზადებენ სხვადასხვა სამკურნალწამლო ფორმებს: მალამოებს - იყენებენ მცირე ჭრილობების, დამწვრობისა და კანის სამკურნალოდ. ზეთს - ანთების, სიმსივნის საწინააღმდეგო აგენტი და ჭრილობების სამკურნალო საშუალება. სუსპენზიის და ნაყენის სახით - გამოიყენება ადგილობრივად, როგორც აკნეს სამკურნალოდ, ანთების

შესამცირებლად, სისხლდენის შესაჩერებლად და გაღიზიანებული ქსოვილების დამამშვიდებელ საშუალებად.

კანის დაავადებებისას ის ახდენს ანგიოგენეზის სტიმულაციას და ჰიდროქსიპროლინისა და ჰექსოსამინის მომატებას, რაც გავლენას ახდენს კოლაგენის ფორმირებაზე და ეპითელიზაციის დროის შემცირებაზე. ანალოგიურად, კარგი შედეგები არის კალენდულას ექსტრაქტების გამოყენებისას გართულებული და ქრონიკული ჭრილობების დროს როგორიცაა ვენური, წნევის და დიაბეტური წყლულების დროს.

### **ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА**

1. Costa, S.S.; Muzitano, M.F.; Camargo, L.M.M.; Coutinho, M.A.S. Therapeutic Potential of *Kalanchoe* Species: Flavonoids and Other Secondary Metabolites. *Nat. Prod. Commun.* **2008**, 3, 2151\_2164.
2. Eggli, U. *Illustrated Handbook of Succulent Plants: Crassulaceae*; Springer: Berlin, Heidelberg, 2003; ISBN 978-3-642-62629-6. Stevens, P.F. Angiosperm Phylogeny Website, Version 14. 2017.
3. Marcelo Buzzzi, Franciele de Freitas, Marcos Winter. A Prospective, Descriptive Study to Assess the Clinical Benefits of Using Calendula officinalis Hydroglycolic Extract for the Topical Treatment of Diabetic Foot Ulcers
4. Giana Silveira Giostri, Eduardo Murilo Novak, Marcelo Buzzzi & Luiz Cesar Guarita-Souza Article. Treatment of acute wounds in hand with Calendula officinalis L.: A randomized trial 1994822 | Received 27 Aug 2021, Accepted 10 Oct 2021, Published online: 21 Oct 2021

Химическая инженерия

### **БИОЛОГИЧЕСКИ АКТИВНЫЕ ВЕЩЕСТВА, СОДЕРЖАЩИЕСЯ В КАЛЕНДУЛЕ И ПРИМЕНЕНИЕ В ФАРМАЦЕВТИЧЕСКОМ И КОСМЕТИЧЕСКОМ ПРОИЗВОДСТВЕ**

**Н. ЦУЦКИРИДЗЕ, М. НАСРАДЗЕ**

Государственный Университет Акаки Церетели

Резюме

Рост заболеваемости населения обусловлен рядом объективных причин, нервно-эмоциональным напряжением, социальной незащищенностью значительной части населения и другими. Возрос интерес к лекарственным растениям, содержащим эфирное масло. Его полезные свойства определяют различные

биологически активные вещества, содержащиеся в растениях, такие как: эфирные масла, гликозиды, фенольные соединения и другие. Биологически активные вещества, содержащиеся в календуле, обладают целебными свойствами, а лекарственные средства, изготовленные из экстрактов, используются для лечения угревой сыпи, уменьшения воспалений, остановки кровотечений и успокоения раздраженных тканей.

Chemical engineering

**BIOLOGICALLY ACTIVE SUBSTANCES CONTAINED IN CALENDULA AND  
USE IN PHARMACEUTICAL AND COSMETIC PRODUCTION**

**N. TSUTSKIRIDZE, M. NASRADZE**

Akaki Tsereteli State University

**Summary**

The increase in diseases of the population is due to a number of objective reasons, nervous-emotional stress, social insecurity of a large part of the population and others. Interest in medicinal plants containing essential oil has increased. Various biologically active substances contained in plants determine its useful properties, such as: essential oils, glycosides, phenolic compounds and others. The biologically active substances contained in calendula have healing properties, and medicinal products made from the extracts are used to treat acne, reduce inflammation, stop bleeding, and soothe irritated tissues.

ქიმიური ინჟინერიი

პალანხოვი შემაგალი სამართლო ნივთიერებები და გამოყენება  
ფარმაცევტულ წარმომაში

ნინო ცუცქირიძე, მაბრა ნასრაძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამკურნალო ნივთიერებები ფართოდაა გავრცელებული დედამიწის უველა კონტინენტზე და მათი სასარგებლო თვისებებს განაპირობებს მასში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ერთობლიობა, რომელსაც იყენებენ სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ ან დასათრგუნად. კალანხოვში არსებული ზოგიერთი ბიოაქტიური ნივთიერება, უველა შესწავლილი სახეობა, საინტერესოა ფარმაკოლოგიური თვალსაზრისით. ეს ნაერთები შეიძლება გამოყენებულ იქნას იზოლირებულად, როგორც წამლებზე ან თუნდაც შეადგენდნენ მათი ორიგინალური მცენარეული ექსტრაქტების ნაწილს, რაც ქმნიან ფიტომედიცინას. ამ შემთხვევაში, ბიოაქტიური ნაერთების ცოდნაში შეიძლება ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს ამ მედიკამენტების ხარისხი და ეფექტურობა, ასკექტი, რომელსაც მოითხოვს ზოგიერთი მარჯგულირებელი სააგენტო მთელს მხოლოდ შემთხვევაში.

სამკურნალო ნივთიერებები ფართოდაა გავრცელებული დედამიწის უველა კონტინენტზე და მათი სასარგებლო თვისებებს განაპირობებს მასში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ერთობლიობა, რომელსაც იყენებენ სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ ან დასათრგუნად. ბუნებრივი ფენოლური ნაერთების ჯგუფი. ფლავანოიდები ფართოდაა გავრცელებული მცენარეებში და მრავალ ფუნქციას ასრულებენ. ისინი მიეკუთვნებიან მეორეულ მეტაბოლიტებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან ასუხიმგებელნი ფოტოსინთეზზე, ზრდაზე, გამრავლებაზე და მცენარის სხვა ძირითად ფუნქციაზე. ეთერზეთები - პრაქტიკულად წყალში უხსნადი, სურნელოვანი, ადვილად აქროლადი თხევადი ნივთიერებების ნარევია, ისინი განაპირობებენ მცენარეთა სურნელს, რომელიც ხშირ შემთხვევაში სასიამოვნოა. მცენარე ეთერზეთებს შეიძლება შეიცავდეს თავისუფალ მდგომარეობაში. გლიკოზიდები - მოქმედების ფართო სპექტრის მქონე, ბუნებრივი წარმოშობის ნაერთებია. უველა გლიკოზიდი პიდროლიზის შედეგად.

კალანჩოე ადანები. (*Bryophyllum Salisb*) გვარი მოიცავს წვნიან მრავალწლიან მცენარეებს, რომლებიც ინტენსიურად გამოიყენება სამკურნალო მიზნებისთვის. კალანჩოეს რამდენიმე სახეობა ჩვეულებრივ გამოიყენება პოპულარულ მედიცინაში ანთებითი პროცესების, ჭრილობების,



კუჭის წყლელების და სხვა დააგადებების სამკურნალოდ. კალანჩოეს ექსტრაქტებისა და იზოლირებული ნაერთებს გააჩნია ფარმაკოლოგიურ თვისებები. ამ თვისებების გამო მას უყენებენ ანთების საწინააღმდეგო, სიმსივნის საწინააღმდეგო, ჭრილობის

შეხორცების, წყლელის საწინააღმდეგო და კუნთების დამამშვიდებელ თვისებებს. ეს აქტივობები ძირითადად მიეკუთვნება ფლავონოიდებს და ბუფადიენოლიდები რომლებიც არსებობს კალანჩოეს ექსტრაქტებში. ექსტრაქტები პოტენციურად სასარგებლობა ახალი წამლების შემუშავებისთვის. კალანჩოეს მცენარეების მრავალრიცხოვანმა სამკურნალო გამოყენებამ სტიმული მისცა რამდენიმე ფარმაკოლოგიურ კვლევას კვლევითი ჯგუფების მიერ მთელს მსოფლიოში.

#### ცხრილი №1

ფლავონოიდები კალანჩოეს სახეობებიდან და მათი ბიოლოგიური აქტივობა

№	დასახელება	ბიოლოგიური აქტივობა
1.	კალამბროზიდი A	0,5 მკგ/ლ
2.	კალამბროზიდი B	1 მკგ/ლ
3.	კალამბროზიდი C	0,0,6 მკგ/მლ
4.	პარულებინი 3-O-(4"-O-აცეტილ- $\alpha$ -L-რამნოპირანოსილ)-7-O-(3"-O-აცეტილ- $\alpha$ -L- რამნოპირანოზიდი)	0,25 მკგ/ლ
5.	კემპფეროლი 3-O- $\beta$ -D-ქსილოპირანოზიდი (1→2) $\alpha$ -L-რამნოპირანოზიდი	7,4-9 მკგ/ლ
6.	კვერცეტინი 3-O- $\beta$ -დქსილოპირანოსილი (1→2) $\alpha$ -L-რამნოპირანოზიდი	5,8-36,2 მკგ/ლ
7.	კვერცეტინი	6,1 მკგ/ლ
8.	კვერციტრინი	8 მკგ/ლ

9.	კვერცხებინი ლარაბინოპირანოზილი (1-2) α-L- რამნოპირანოზიდი	3-O-α-	38,8 გვგ/ლ
10.	4',5'-დიჰიდროქსი დიმეთოქსიფლავონ-7-O-D- გლუკოპირანინიზიდი	-3',8-	100 გვგ/ლ
11.	აფზელინი		32,1 გვგ/ლ
12.	კაპინატოზიდი		4,5 გვგ/ლ
13.	α-რამნოიზორობინი		1 გვგ/ლ
14.	3',4'-დიმეთოქსი კვერცხებინი		103,20 გვგ/ლ
15.	ასტრაგალინი		35,9 გვგ/ლ
16.	კემპფეროლი		4,5 გვგ/ლ
17.	კვერცხებინ-3-ოსოფოროზიდი		29,1 გვგ/ლ
18.	რუტინი და სხვა		58,5 გვგ/ლ

ბუფადიენოლიდები - C-24 სტეროიდები, რომლებსაც ახასიათებთ ექსტრიანი ლაქტონის (α-პირონის) რგოლი, რომელიც მდებარეობს C-17β-ზე. ისინი გვხვდება გლიკოზიდებისა და აგლიკონების სახით ცხოველებში (ძირითადად გომბეშოები ბუფოს გვარიდან) და მცენარეთა რამდენიმე ოჯახში, როგორიცაა Crassulaceae, Iridaceae და Melianthaceae. ცხობილია, რომ კალანხოებ გვარის სახეობები აწარმოებენ ბუფადიენოლიდებს სხვადასხვა სტრუქტურული მახასიათებლებით, მათ შორის გლიკოზიდებისა და ორთოაცეტატის ფორმებით. ბუფადიენოლიდები არიან კალანხოებ ექსტრაქტების ანტისიმსივნური აქტივობის პასუხისმგებელი ძირითადი ნივთიერებები, რაც დასტურდება ბიოანალიზით მართული კვლევებით.



სტატიაში წარმოდგენილი კალანხოებ სახეობებში ნაპოვნი ყველაზე ცხობილი ბიოაქტიური ნაერთები. ამ გვარში არსებული ზოგიერთი ბიოაქტიური ნივთიერება, ყველაზე შესწავლილი სახეობაა, საინტერესოა ფარმაკოლოგიური თვალსაზრისით. ეს ნაერთები შეიძლება გამოყენებულ იქნას იზოლირებულად, როგორც წამლებზე ან თუნდაც შეადგენდნენ მათი ორიგინალური მცენარეული ექსტრაქტების ნაწილს, რაც ქმნიან ფიტომედიცინას. ამ შემთხვევაში, ბიოაქტიური ნაერთების ცოდნამ

შეიძლება ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს ამ მედიკამენტების ხარისხი და ეფექტურობა, ასპექტი, რომელსაც მოითხოვს ზოგიერთი მარეგულირებელი სააგენტო მთელს მსოფლიოში.

### **ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА**

1. Costa, S.S.; Muzitano, M.F.; Camargo, L.M.M.; Coutinho, M.A.S. Therapeutic Potential of Kalanchoe Species: Flavonoids and Other Secondary Metabolites. *Nat. Prod. Commun.* 2008, 3, 2151\_2164.  
<https://doi.org/10.1177/1934578X0800301236>.
2. Eggli, U. *Illustrated Handbook of Succulent Plants: Crassulaceae*; Springer Berlin Heidelberg: Berlin, Heidelberg, 2003; ISBN 978-3-642-62629-6.
3. Stevens, P.F. *Angiosperm Phylogeny Website*, Version 14. 2017. Available online: <http://www.mobot.org/MOBOT/research/APweb/> (accessed on 28 December 2022).
4. Boiteau, P.; Alorge-Boiteau, L. *Kalanchoe (Crassulaceae) de Madagascar, Systématique, Écophysiology et Phytochimie*; Karthala: Paris, France, 1995.

Химическая инженерия

### **ЛЕКАРСТВЕННЫЕ ВЕЩЕСТВА И ПРИМЕНЕНИЕ КАЛАНХОЭ В ФАРМАЦЕВТИЧЕСКОМ ПРОИЗВОДСТВЕ**

**Н. ЦУЦКИРИДЗЕ, М. НАСРАДЗЕ**

Государственный Университет Акаки Церетели

Резюме

Лекарственные вещества широко распространены на всех континентах земли, а их полезные свойства определяются сочетанием содержащихся в них биологически активных веществ, которые используются для лечения или подавления различных заболеваний. Некоторые биологически активные вещества, присутствующие в каланхое, наиболее изученном виде, интересны с фармакологической точки зрения. Эти соединения можно использовать изолированно в качестве лекарств или даже в составе исходных растительных экстрактов, входящих в состав фитомедицины. В этом случае знание биологически активных соединений может облегчить и

гарантировать качество и эффективность этих лекарств, а это аспект, которого требуют некоторые регулирующие органы по всему миру.

Chemical engineering

## **MEDICINAL SUBSTANCES AND USES OF KALANCHOE IN PHARMACEUTICAL PRODUCTION**

**N. TSUTSKIRIDZE, M. NASRADZE**

Akaki Tsereteli State University

### **Summary**

Medicinal substances are widely distributed on all continents of the earth, and their beneficial properties are determined by the combination of biologically active substances contained in them, which are used to treat or suppress various diseases. Some of the bioactive substances present in Kalanchoe, the most studied species, are interesting from a pharmacological point of view. These compounds can be used in isolation as drugs or even as part of their original plant extracts that make up phytomedicine. In this case, the knowledge of bioactive compounds can facilitate and ensure the quality and effectiveness of these medicines, an aspect required by some regulatory agencies around the world.

## ცეოლითი და მედიცინა

### ელემენტური გამზრებელი


აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამჯამად მთელ მხოლოდ შემთხვევაში საკმაოდ დიდია ინტერესი ბუნებრივი ცეოლითებისადმი. თავისი თვისებებით ისინი გამოირჩევიან დედამიწაზე გავრცელებული სხადასხვა ქანებისაგან. ხასიათდებიან უნიკალური ფიზიკური თვისებებით, რაც განაპირობებს მათ გამოყენებას სამეცნიერო კვლევებში, მრეწველობაში, მედიცინაში, სოფლის მურნეობაში და გარემოს დაცვის სფეროში.

საქართველო მდიდარია დანალექი და ვულკანური წარმოშობის ცეოლითებით: კლინოპტილოლიტით, ფილიზიტით, ანალკიმით და სხვ. აქედან განსაკუთრებულ ურადღებას იმსახურებს კლინოპტილოლიტების ტუფები.

ცეოლითები- კრისტალური, ფორიანი ალუმოსილიკატებია მოლეკულურ-საცრული მოქმედების უნარით. მათ შეუძლიათ აქტიური მონაწილეობის მიღება იონმიმოცვლით პროცესებში. ცეოლითები წარმოადგენს კრისტალურ, ჰიდრატირებულ ალუმოსილიკატებს უსასრულო სამგანზომილებიანი ანიონური კარკასით. ცეოლითები კლასიკური მოლეკულური საცრებია, რაც განპირობებულია სხვადასხვა აღნაგობის კრისტალების მიკროფორებში შესასვლელი ფანჯრების სხვადასხვაობით (ფანჯრის დიამეტრი 0,3-დან 1 ნმ-მდე, ი. ნახაზი 1), რის გამოც მოლეკულებს და იონებს მათი ქიმიური ბუნებისა და გეომეტრიული ზომებისაგან დამოკიდებულებით შეუძლიათ შეაღწიონ შიგა სტრუქტურაში ან შეკავდნენ მის ზედაპირზე. ცეოლითების ეს უნიკალური თვისება განსაზღვრავს ამ კრისტალური ფოროვანი სხეულების მოლეკულათა მორისი ურთიერთქმედების თავისებურებას, რაც გამოხატულია სელექტიური ადსორბციის, კატალიზური პროცესების მიმდინარეობით, იონმიმოცვლითი პროცესებით და სხვა.

დადგენილია, რომ ცეოლითებს გააჩნია უნარი შთანთქონ ტოქსინები, თავისუფალი რადიკალები და მძიმე მეტალები, ხელი შეუწყონ ადამიანის ორგანიზმი იმუნური სისტემის გაძლიერებას, რაც განაპირობებს მათ გამოყენებას მედიცინაში.



### ნახ.1 ცეოლითური კარგასი და კათოონური მიმოცვლის სქემატური წარმოდგენა

ცეოლითები ხელს უწყობენ შაქრის დონის ნორმალიზებას სისხლში, ამცირებენ გლუკოზის კონცენტრაციას, რათა თავიდან იქნას აცილებული შაქრიანი დიაბეტი.

ცეოლითი ასტაბილურებს შაქრის დონეს ინსულინის გარეშე და ეხმარება დიაბეტიკებს წლების მანძილზე არ იყვნენ დამოკიდებული მედიკამენტებზე.

ცეოლითებს გააჩნიათ განსაკუთრებული ოვისება შეამცირონ ლაქტოზის კონცენტრაცია სისხლში. ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ სპორტსმენებში, რომლებიც სისტემატურად ღებულობდნენ ცეოლითების გარკვეულ დოზას, მნიშვნელოვნად უმჯობესდება სპორტული მაჩვენებლები.

ცეოლითები შეიცავენ ჯანმრთელი უჯრედების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ყველა მიკრო და მაკროელემენტებს, რომლებიც აძლიერებენ დნმ-ის წარმოქმნას და უზრუნველყოფების მინიმუმის აუცილებელი ამინომჟავებით, მინერალებით და სხვა საკვები კომპონენტებით. ისინი ასტიმულირებენ ნივთიერებათა ცვლას, აძლიერებენ იმუნურ სისტემას და ცოცხალი ორგანიზმის მდგრადობას ვირუსული ინფექციებისადმი.

ცეოლითების, როგორც სამკურნალო საშუალებების მიღება, ამცირებს სახსრების ტკივილს, ეხმარება პაციენტებს ცენტრალური ნერვული სისტემის და ნერვულ-კუნთოვანი დავადებების დროს.

ცეოლითების მიღება ამშვიდებს ტრემორს, არეგულირებს პუნთოვან ტონუსს, ხსნის კუნთოვან სპაზმებს და პათოლოგიურ რეფლექსებს, ეხმარება პარკინსონის, რევმატიული დაავადებების მკურნალობაში, ართროზების, ასევე ეპილეფსიური დაავადებების დროს.

ცეოლითი, როგორც ადსორბენტი, ხელს უწყობს მძიმე მეტალების და სხვა ტოქსინების გამოყვანას ორგანიზმიდან, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ დაავადებებთან, როგორიცაა ალცეპიმერის დაავადება, აუტიზმი და დემენცია.

ცეოლითი აწონასწორებს pH-ის ბალანსს ადამიანის ორგანიზმში და წარმოქმნის ისეთ გარემოს, სადაც უცხო უჯრედები ვერ მრავლდებიან. ცეოლითის pH 7,6-ის ტოლია. ის მოქმედებს როგორც დამცავი სისტემა, ბოჭავს ჭარბ მჟავას და გამოყავს ის ორგანიზმიდან; ეს კი იწვევს pH-ის ზრდას ე.ო. იზრდება ტუტიანობა.

ცეოლითს გააჩნია უნარი დააბალანსოს ტუტე-მჟავური წონასწორობა ორგანიზმში. pH-ის ოპტიმალური დონე კი ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ცნს-ს ფუნქციონირებას და თავის ტვინის მუშაობას.

რადგან ბუნებრივი ცეოლითები ასტიმულირებენ ნერვული და იმუნური სისტემის გაძლიერებას და დაცვას, ისინი ასევე იცავენ ემბრიონს დედის ორგანიზმში, როგორც მძიმე მეტალების, ასევე სხვა საშიში ტოქსინების მავნე ზემოქმედებისაგან.

ცეოლითების, კერძოდ კლინოპტილოლითის გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა. ადამიანის ორგანიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა ფაქტორებთან. დიდი სამრეწველო ქალაქების მოსახლეობა განიცდის გარე ფაქტორების უარყოფით ზემოქმედებას, როგორიცაა დაბინძურებული ატმოსფერული ჰაერი, კვების პროდუქტები, კანცეროგენური ნივთიერებები და სხვა მრავალი. ყოველივე ამის საფუძველზე წარმოიქმნება სხვადასხვა დაავადებები, ირლევვა წონასწორობა ადამიანსა და არსებულ გარემოს შორის. თანამედროვე მედიცინას მართალია შესწევს უნარი გაუმკლავდეს მრავალ მათგანს, რათა შენარჩუნებული იქნას საკმაოდ რთული ბალანსი ადამიანსა და გარემოს შორის, ასევე საყურადღებო ცეოლითების კერძოდ, კლინოპტილოლითის უნიკალური სორბციული თვისებები, რომელთაც თავისი აღნაგობიდან გამომდინარე, გააჩნიათ თვისება შთანთქონ მავნე კანცეროგენური ნაერთები.

ცეოლითების მიღების შედეგად ორგანიზმი თავისუფლდება ვირუსებიდან, ალერგენებიდან და სხვა მავნე კანცეროგენებიდან. ისინი დადებითად მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმის იმუნურ, ენდოკრინულ და საჭმლისმომნელებელ სისტემაზე, აჯანსაღებენ სასიცოცხლო ძალებს, ხელს უწყობენ ორგანიზმის „გაახალგაზრდავებას“, ხდება თავისუფალი რადიკალების განეირალება, ორგანიზმიდან გამოყავს რადიაქტიური (ცეზიუმი, სტრონციუმი) და სხვა მავნე ნივთიერებები, ხელს უწყობს სისხლის მჟავური ბალანსის შენარჩუნებას (pH=7,35÷7,45) გამოყავს ქვები და სილა თირკმლებიდან, ხელს უშლიან თსტეოპოროზის და ართრიტის პროგრესირებას.

დადგენილია, რომ ცეოლითის, კლინოპტილოლითის, როგორც სამკურნალო საშუალების გამოყენება დადებით გავლენას ახდენს ძვლოვან

ქსოვილზე, ხელს უწყობს კალციუმის გაუმჯობესებულ ათვისებას ორგანიზმის მიერ.

ხელოვნური სორბენტისაგან განსხვავებით ბუნებრივი ცეოლითები ხასიათდებიან უნარით არა მარტო გამოიყანონ თრგანიზმიდან ტოქსინები, არამედ ამდიდრებენ მას სასარგებლო ელემენტებით. ცეოლითები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სამკურნალო საშუალება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ან როგორც ბიოლოგიურად აქტიური დანამატი (ბად).

კლინოპტილოლითი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული ღვიძლის ქრონიკული ვირუსული დაავადებების შემთხვევაშიც. სამედიცინო პრაქტიკიდან გამომდინარე ცეოლითის მიღების დოზა არ უნდა აღემატებოდეს 3-5 გრ დღეში, სასურველია წყლის მომატებული მიღება. ცეოლითის სამკურნალო მიზნით მიღება შეთანხმებული უნდა იყოს მკურნალ ექიმთან. კლინოპტილოლითი ასევე იმუნიტეტის ბუნებრივი გამაძლიერებელი საშუალებაა. დადგენილია, რომ ცეოლითი ასევე ასტაბილურებს არტერიულ წნევას, ამცირებს ვენების გამჭოლადობას.

ბუნებრივი კლინოპტილოლითის გამოყენება შესაძლებელია კოსმეტოლოგიაშიც; კერძოდ, ნიღაბის სახით, სახის კანის დეტოქსიკაციის მიზნით. ის გამოიყენება სახის ნიღბის დასამზადებლად თიხის ფხვნილთან ერთად (თანაფარდობით 1:1) მაგ. 10 გ კლინოპტილოლითი + 10 გ თიხა, განზავებული თბილ წყალთან ერთად. ნიღაბი შესაძლებელია წარმატებით იქნას გამოყენებული აკნეს სამკურნალოდაც. ის აუმჯობესებს სახის კანის ელასტიურობას.

ცეოლითები უნიკალური თვისებების მქონე ბუნებრივი სორბენტებია მოლეკულურ-საცრული მოქმედების ეფექტით, ფართოდ არიან გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე, მათ გამოყენებას მედიცინაში საკმაოდ დიდი პერსპექტივა აქვს.

## ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. ო. ანდრონიკაშვილი, ო.კორძახია, ლ.ეპრიკაშვილი
2. ცეოლითები- ორგანული სითხეების უნიკალური გამშრობები. თბილისი. 2010 წ
3. გ.ციციშვილი, ნ.დოლაბერიძე, მ.ალელიშვილი. ცეოლითური სამედიცინო პრეპარატები. ქურნ. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა. 2010. #4(59). გვ.50-53.
4. Схиртладзе Н.И. Осадочные цеолиты Грузии. Изд. Тб. Университета 1991
5. Цицишвили Г.В. Андроникашвили Т.Г. Природные цеолиты. Химия М. 1985
6. Чельцов Н.Ф. Ионный обмен тяжелых металлов на клиноптилолите. ДАН 1974.
7. Кордзахия Т.Н., Андроникашвили Т.Г., Эприкашвили Л.Г., Гамкрелидзе У.Ф. Известия АН Грузии, сер. Хим., 2008, т.34, №4, с.421-425.

8. Паничев А.М., Кулаков Ю.В., Гульков А.Н. Применение цеолитов в медицине. Pacific Medical Journal, 2003, #4, p.21-24.
9. <https://ledebut.ru/product/tseolit-prirodnyj-klinoptilolit/>
10. <https://www.elega.lt/ru/ceolity-mineraly-v-sostave-kotorykh-klinoptilolit-i-montmorillonit>

Химическая инженерия

## ЦЕОЛИТЫ И МЕДИЦИНА

**Е. ГАМКРЕЛИДЗЕ**

Государственный Университет Акаки Церетели

Резюме

Цеолиты – уникальные природные сорбенты широко распространены в Грузии. Благодаря своим молекулярно-ситовым свойствам они находят большое применение в разных областях народного хозяйства. Особый интерес представляет применение природного цеолита - клиноптилолита в медицине. Цеолиты способны выводить из организма тяжелые металлы, токсины, дезактивировать свободные радикалы.

Chemical engineering

## ZEOLITES AND MEDICINE

**E. GAMKRELIDZE**

Akaki Tsereteli State University

Summary

Zeolites are unique natural sorbents that are widespread in Georgia. Due to their molecular sieve properties, they are widely used in various fields of the national economy. Of particular interest is the use of natural zeolite - clinoptilolite in medicine. Zeolites are able to remove heavy metals and toxins from the body, and deactivate free radicals.

## ციფრული ტექნიკის სამთხვევლოები

### ზონაში ახალი მოწყობის სახართველოში

#### ზონაში ახალი მოწყობის სახართველოში

მეცნიერებების საქართველოს აგროსექტორის ერთეული წამყვან დარგს წარმოადგენს. შესაბამისად, სრულიად ბუნებრივია, რომ მის განვითარებაზე ზრუნვა სახელმწიფოსა და ფერმერების უპირველეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

დაბეჭითებით შეიძლება იმის თქმა, რომ მიუხედავად გარკვეული წინსვლისა და წარმატებებისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი მეცნიერებების განვითარების რეზერვები, ბოლომდე გამოყენებული არ არის. ეს ყველა ცალკეულ კულტურას ეხება. თუმცა, პროდუქტიულობის მკვეთრი ამაღლება ძალიან მოკლე პერიოდში არის შესაძლებელი. საჭიროა მხოლოდ გარკვეული ფინანსური რესურსები, სახელმწიფო მხარდაჭერა და მთელი რიგი დონისძიებების გატარება.

პირველ რიგში აუცილებელია ციფრული პლანტაციების ფართობის სტრუქტურის შეცვლა, მოსავლის წარმოებაზე უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედების შემცირება და არსებული რისკების მართვა; ინოვაციური ტექნიკური გამოყენებით აღდგენილი მიწების ექსპლუატაციაში გაშვება; ახალი გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობა და არსებული საწარმოების მოდერნიზაცია; ექსპორტთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება, აგროლოგისტიკური პაბების და აგროინდუსტრიული პარკების განთავსება, სატრანსპორტო დურუფნების შექმნა და ა.შ.

მეცნიერებების საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი დარგია. სასიამოვნო გემოვნების ოქროსფერი ნაყოფი, თავისი დიეტური და არომატული თვისებებით ყოველთვის იპყრობდა ადამიანის ყურადღებას. აღსანიშნავია მისი მრავალფეროვნება, მუდმივი ეკოლუცია, ახალ ფორმათა წარმოქმნის ფართო დიაპაზონი.

ციფრული სახალხო მეურნეობაში მრავალმხრივი გამოყენება აქვს. ნაყოფი მნიშვნელოვნად გამოირჩევა დანარჩენი ხილისაგან. მასში საკმაო რაოდენობითაა ნახშირწყლები, მუვები, ორგანულ მევათა მარილები,

პექტინოვანი ნივთიერებები და ვიტამინები, რითაც აიხსნება ციტრუსოვანი კულტურების ფართო სამრეწველო გავრცელება

ადამიანის ორგანიზმზე ციტრუსოვანთა ნაყოფის დადებით ზეგავლენას განაპირობებს მისი ქიმიური შედგენილობა. იგი შეიცავს ტუტე ხასიათის შენაერთებს, რაც არეგულირებს სისხლის მიმოქცევას, აძლიერებს მონელებით პროცესს, წმენდს ორგანიზმს მავნე ნივთიერებებისაგან, სისხლის გამტარ ქსოვილებს უნარჩუნებს ელასტიურობას, რითაც ხელს უწყობს ნივთიერებათა ნორმალურ ცვლას.

მზისფერი ციტრუსი საქართველოში 1800-იან წლებში შემოიტანეს სამრეწველო მეურნეობის მოსაწყობად და ფართოდ გასავრცელებლად, თუმცა მანამდეც ვახუშტი ბატონიშვილს, XVII საუკუნის დასაწყისში აღწერილი აქვს ციტრუსოვანთა ნაყოფი, თურინჯი, იგივე ფორმობალი და ლიმონი ჭოროხის ხეობაში.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ციტრუსი IX-X საუკუნიდან არსებობს საქართველოში, თუმცა როგორც უცხო და დეკორატიული კულტურა, რომელსაც ძირითადად სამედიცინო მიზნებისთვის იყენებდნენ. ციტრუსის, როგორც სამრეწველო კულტურის შემოტანა და გაშენება – გავრცელება კი საქართველოში 1800-იანი წლებიდან დაიწყეს.

მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეცნიერება მაღალენტაბელური დარგია. მათი გაშენებისა და მოვლა-მოყვანისათვის გაწეული ხარჯები, უხვმოსავლიანობის გამო, მოკლე დროში ანაზღაურდება, ამიტომაც აშენებენ მათ ყველა კონტინენტის 80-ზე მეტ ქვეყანაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო კომისიის (FAO) მონაცემებით (2018), ციტრუსოვანთა ბალებს მსოფლიოში დაახლოებით 1,9 მილიონი ჰექტარი უკავია, ხოლო წლიური წარმოება 48.555 ათას ტონას შეადგენს, აქედან ფორმობალზე მოდის – 33,581, გრეიფრუტზე – 7,834, ლიმონზე – 3.977, მანდარინზე – 3,137 ათასი ტონა.

ახლო წარსულში ციტრუსებს საქართველოში მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 0,62 პროცენტი და დამუშავებული მიწების 1,75 პროცენტი ეკავა. თუმცა წარმოებული სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულებაში მათი წილი 7,7 პროცენტს შეადგენდა. საქართველოში დამზადებული ციტრუსოვანთა ნაყოფის 65-68 პროცენტი აჭარაზე მოდიოდა. აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით ერთ ჰექტარზე 35-40 ტონა მაღალხარისხის ნაყოფის მიღება იყო შესაძლებელი. დღეისათვის, შეიძლება ითქვას, ეს დარგი მეჩაიერებასთან ერთად დაკინებულია და სათანადო სახელმწიფო ბრივი კურადღება არ ექცევა. არადა ერთეული ფართობიდან მიღებული ფულადი შემოსავალი ორივე შემთხვევაში სხვა კულტურებთან შედარებით მაღალი შეიძლება იყოს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მეურნეობების რაოდენობა ციტრუსების პლანტაციებით, ციტრუსების პლანტაციების ფართობი და ძირების რაოდენობა რეგიონების მიხედვით. ტრადიციულად, ციტრუსებისათვის დამახასიათებელია შავი ზღვისპირეთის რეგიონი, კერძოდ აჭარა-გურია და შედარებით უმნიშვნელოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი. მონაცემები საკმაოდ დაბალია, შესაძლებლობაზე ბევრად ნაკლები რასაც თავისი ობიექტები თუ სუბიექტები მიზეზები აქვს.


## ცხრილი №1

მეურნეობების რაოდენობა ციტრუსების პლანტაციებით, ციტრუსების პლანტაციების ფართობი და ძირების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

მეურნეობების რაოდენობა ციტრუსების პლანტაციებით (ათ. ერთ.)	ციტრუსების პლანტაციებში ის ფართობი (ათასი ჰა)	მრავალწლოვან ნარგავებში ციტრ. ძირ. რაოდ. სულ (ათ. ერთ.)	ციტრუსების პლანტაციებში ციტრ. ძირ. რაოდ. სულ (ათ. ერთ.)
საქართველო	32.7	9.3	4441.9
ქ. თბილისი	0.0	-	-
აჭარის არ	20.4	6.6	3126.8
გურია	7.7	2.1	1000.2
იმერეთი	0.3	-	-
კახეთი	0.0	-	-
მცხეთა-მთიანეთი	0.0	-	-
რაჭა-ლეჩხუმი და ქართლ სვანეთი	0.0	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4.3	0.6	294.2
სამცხე-ჯავახეთი	0.0	-	-
ქვემო ქართლი	0.0	-	-
შიდა ქართლი	0.0	-	-

ადსანიშნია, რომ საქართველოში მოყვანილი ციტრუსის 90% მანდარინია, ფორთოხლისა და ლიმონის რაოდენობა კი შედარებით მცირეა. მანდარინი ძირითადად აჭარაში (70%), გურიაში (18%), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (10%) და იმერეთში (2%) მოჰყავთ.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2022 წელს წარმოებული ციტრუსების საერთო რაოდენობამ 51. 3 ათასი ტონა შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება წინა წელს წარმოებული ციტრუსების საერთო რაოდენობას (61.6 ათ. ტონა). ზოგადად, ციტრუსების წარმოება საქართველოში შემცირების ტენდენციით ხასიათდება (დიაგრამა №1). შემცირების ტენდენციით ხასიათდება არა მარტო ციტრუსების წარმოების საერთო რაოდენობა, არამედ მათი წარმოება რეგიონების მიხედვითაც (დიაგრამა №2). და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მანდარინის ჩაბარებას ასუბსიდირებს. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში,



დიაგრამა №1 ციტრუსის წარმოება სახეობების მიხედვით (ათასი ტონა)


ყოველ 1 კგ. არასტანდარტულ მანდარინში ფერმერი სახელმწიფოსგან 15 თეთრის ნაცვლად 30 თეთრს იდებს. სუბსიდირების თანხა გაზრდილიც კი არის. სუბსიდირების გაზრდა სხვადასხვა საწარმოო პროცესების გაძვირების გამო გადაწყდა. გაძვირებულია როგორც ლოგისტიკური მიმართულება, ასევე მუშახელი. ეს ყველაფერი ერთობლიობაში აძვირებს პროცესებს. სუბსიდირების გაზრდით, შესაძლებლია, როგორც საწარმომ, ასევე ფერმერმა იხეიროს და ის ციტრუსი, რომელიც ხეზე რჩებოდა, მოიკრიფოს.

საქართველო წარმოადგენს მანდარინის ექსპორტიორ და ფორთოხლის, ლიმონისა და სხვა ციტრუსების იმპორტიორ ქვეყანას.



დიაგრამა №2. ციტრუსის წარმოება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)


ციტრუსის წარმოების შემცირების მიუხედავად, ექსპორტის მაჩვენებელი ზოგადად მზარდი, მაგრამ ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. ექსპორტი პროდუქციის 99%-ზე მეტი დსტ-ის ქვეყნებში გადის, ევროპავმირში კი – მხოლოდ 1%. საყურადღებოა, რომ დსტ-ის ქვეყნებში ექსპორტი ციტრუსის 58% რუსეთში მიდის, რაც დარგის დსტ-ის ქვეყნების, განსაკუთრებით კი, რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულებას უსვამს ხაზს.



დიაგრამა №3. მანდარინის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით

სტატისტიკური ინფორმაციის შესაბამისად, უკანასკნელი წლები ციტრუსის ექსპორტისთვის წარმატებული აღმოჩნდა (გამონაკლისს წარმოადგენს 2022 წელი). გარდა იმისა, რომ საექსპორტო მაჩვენებლები გაზრდილია, ევროპულ ბაზრებზე ქართულმა მანდარინმა პოზიციები გაიუმჯობესა. მაღალ დონეზეა მოთხოვნა ტრადიციულ ბაზრებზეც.

იმის გამო, რომ ქართული ციტრუსი კარგი ხარისხით გამოირჩევა, ექსპორტზე იგი მეტად კონკურენტუნარიანია. გააქტიურდნენ ევროკავშირის ქვეყნები, განსაკუთრებით ესტონეთი და სლოვენია გამოიკვეთა. სლოვენიის შემთხვევაში, დღეის მონაცემით, 200 ტონამდე არის გასული, ესტონეთში - 100 ტონაზე მეტი. ცხადია, ეს არ არის კოლოსალური რიცხვები, თუმცა ძალიან კარგი მესიჯია ჩვენი ციტრუსისთვის ევროპის ბაზარზე მზარდი პოზიციების დასამკვიდრებლად.



დიაგრამა №4. ციტრუსების იმპორტი სახეობების მიხედვით (ტონა)

რაც შეეხება ციტრუსების იმპორტს, ლიდერის პოზიციები უჭირავს ფორთოხალს. 2022 წელს საქართველოში შემოვიდა 10273 ტონა ფორთოხალი, 2308 ტონა გრუიპფრუტი და 1050 ტონა ლიმონი. ციტრუსების იმპორტიორ ქვეყნებს შორის ლიდერობს თურქეთი, მას მოსდევს - ეგვიპტე, მე-3 ადგილზეა - ნიდერლანდები, მე-4 და მე-5 პოზიციებს კი აფრიკა და ირანი იკავებენ.

მეციტრუსეობაში მთავარი პრობლემა მოსავლის რეალიზაციაა. ძირითადად ამაზეა დამოკიდებული დარგის განვითარება. იგულისხმება როგორც ნაყოფის, ასევე, გადამამუშავებელი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ექსპორტი. მეციტრუსეობის განვითარების გეგმაც მეცნიერულ საფუძველზე უნდა დამუშავდეს. შეიქმნას მთლიანი ჯაჭვი, ახალი ბაზების გაშენებით დაწყებული და მოსალის აღება რეალიზაციით დამთარებული. მოგეხსენებათ ციტრუსი მაღლუჭებადი პროდუქტია და მაღალ უნდა გასაღება, მაგრამ მსოფლიოში დღეს არსებობს ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელიც მოკრეფიდან, მისი დამუშავების და საექსპორტოდ გატანამდე სამი თვის შენახვის საშუალებას იძლევა. ასეთი ტექნოლოგია ჯერ-ჯერობით საქართველოში არ არსებობს, უნდა მოხდეს სამაცივრე და შესანახი დანადგარების სერვისული საქმიანობის მოგვარება.

გვაქვს თუ არა იმისი გარანტია, რომ მეციტრუსეობის განახლება განვითარებისათვის გაწეული ამდენი შრომა და ხარჯი ფუჭად არ დაიკარგება და მეციტრუსეობა ჩვენი რეგიონისათვის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იქნება, ამის გარანტიას, იმედს, გვაძლევს ამ კულტურების რეგიონში არსებობის ისტორია. მოვლა-მოყვანის გამოცდილება, ამ დარგის სპეციალისტების არსებობა. შესაფერისი ბუნებრივ კლიმატური პირობები და რაც მთავარია ამ რეგიონის სოფლის მოსახლეობის განსაკუთრებული სიყვარული ამ კულტურებისადმი. ასევე საერთაშორისო ბაზარზე ციტრუსოვან კულტურათა ნაყოფზე და ციტრუსოვან კულტურებიდან წარმოებულ სხვდასხვა პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა. ძნელი სათქმელია რა იქნება შორეულ მომავალში, მაგრამ აშკარად ნათელია ის, რომ დღევანდელი პროგნოზით კი ეს ტენდენცია მოთხოვნა ციტრუსებზე დიდხანს გაგრძელდება, ამიტომაც მეციტრუსეობის განვითარებისათვის ზრუნვა, რებილიტაცია აღორძინებისათვის გაწეული შრომა სრულიად გამართლებული იქნება.

## ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2025
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები
3. ინტერნეტესურსები

Аграрные науки

## ПРОИЗВОДСТВО ЦИТРУСОВЫХ В ГРУЗИИ

### З. АХАЛАДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

#### Резюме

Выращивание цитрусовых является одной из ведущих отраслей аграрного сектора Грузии. Поэтому вполне естественно, что забота о его развитии должна стать первоочередной задачей государства и фермеров.

Что касается налогообложения, то можно сказать, что, несмотря на определенный прогресс и успехи, резервы развития сельского хозяйства Грузии, в частности цитрусовых, не используются в полной мере. Все дело в индивидуальных культурах. Однако резкое увеличение производительности возможно за очень короткий период времени. Требуются лишь определенные финансовые ресурсы, государственная поддержка и ряд мер.

Прежде всего, необходимо изменить структуру площадей цитрусовых плантаций, снизить влияние негативных факторов на растениеводство и управлять существующими рисками; ввод в эксплуатацию восстановленных земель с использованием инновационных технологий; строительство новых перерабатывающих предприятий и модернизация существующих предприятий; Развитие экспортной инфраструктуры, размещение агрологистических хабов и агропромышленных парков, создание транспортных коридоров и т.д.

Agricultural sciences

## CITRUS PRODUCTION IN GEORGIA

Z. AKHALADZE

Akaki Tsereteli State University

Summary

Citrus growing is one of the leading branches of the agricultural sector of Georgia. Therefore, it is quite natural that taking care of its development should be the primary task of the state and farmers.

With taxation, it can be said that, despite some progress and successes, the reserves for the development of agriculture in Georgia, in particular citrus fruit, are not fully utilized. It's all about individual cultures. However, a sharp increase in productivity is possible in a very short period of time. Only certain financial resources, state support and a number of measures are required.

First of all, it is necessary to change the structure of the area of citrus plantations, reduce the impact of negative factors on crop production and manage existing risks; commissioning of restored lands using innovative technologies; construction of new processing enterprises and modernization of existing enterprises; Development of export-related infrastructure, placement of agro-logistics hubs and agro-industrial parks, creation of transport corridors, etc.

რეგიონული პონტურენტუნარიანობის ინტებრალური  
შეზასხვის პრობლემები

ზემოად ახალამე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია რეგიონული გეონომიკის კონკურენტუნარიანობის შედარებითი შეფასების პრობლემები, რისთვისაც გამოყენებულია რეგიონული კონკურენტუნარიანობის სარეიტინგო სკალა. განსაკუთრებული უკრადღება ეთმობა რეგიონების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი მამოძრავებელი ძალების შემადგენლობისა და ბუნების გამოვლენას.

კონკურენტუნარიანობის ფაქტორების დონეებისა და რეგიონების კონკურენტული უპირატესობების შენარჩუნების ხანგრძლივობის შესწავლის საფუძვლზე მოცემულია რეგიონული კონკურენტუნარიანობის სარეიტინგო სკალაზე არსებული ძირითადი კლასებისა და დონეების დახასიათება.

რეგიონული კონკურენტუნარიანობის, ისევე როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ფორმირებაში მონაწილეობას დებულობენ სხვადასხვა სახის მამოძრავებელი ძალები, რომლებიც თავის მხრივ განსაზღვრავენ მოცემული რეგიონის ეკონომიკის უპირატესობას სხვა რეგიონებთან შედარებით. შესაბამისად, თითოეული რეგიონი ხასიათდება განსხვავებული პოტენციალით და განსხვავებულად ინარჩუნებს კონკურენტულ უპირატესობას.

რეგიონული სისტემის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს ამ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორები, ასევე რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურა, ეკონომიკური პოტენციალი და სხვა მახასიათებლები. გამომდინარე აქედან, ადგილობრივი ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს რეგიონის უზრუნველყოფა წარმოების ფაქტორებით (კვალიფიციური ადამიანური რესურსები, ინფრასტრუქტურა) და მისი განუხრელი სრულყოფა.

კონკურენტული გარემოს შენარჩუნება ითვლება ყველაზე უფექტურ ღონისძიებად რეგიონის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას და მცირე ბიზნესის მხარდაჭერი ღონისძიებების გატარებას.

რეგიონული კონკურენტუნარიანობის ანალიზისა და შედარებითი შეფასების პროცესში, ურთულეს ამოცანას წარმოადგენს რეგიონის

კონკურენტუნარიანობის ინტეგრალური შეფასება, მისი ინდივიდუალური კონკურენტული პოზიციების შეჯამება. თუმცა, რეგიონის კონკურენტუნარიანობის მდგომარეობის შესახებ ყველაზე განზოგადებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია რეიტინგების გამოყენებითაც. რეიტინგის მიმდინარე მაჩვენებლისა და პერსპექტივაში მისი ცვლილების ხარისხის ცოდნა აუცილებელია მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის, საქმიანი გარემოსა და ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის.

რეგიონული კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მინიჭება არის რეგიონის შიდა და გარე გარემოს მნიშვნელოვანი მახასიათებლების ყოვლისმომცველი ანალიზის შედეგი. მაღალი რეიტინგი ნიშნავს რეგიონული კონკურენტუნარიანობის ფაქტორების განახლებისა და გაუმჯობესების მაღალეფებისათვის.

რეგიონული კონკურენტუნარიანობის რეიტინგული შეფასების მიზანს წარმოადგენს რეგიონების კლასებად დაყოფა მთელი რიგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისად, რომლებიც ახასიათებენ რეგიონის კონკურენტული პოზიციის საიმედოობასა და სტაბილურობას. სარეიტინგო სკალა არის კონკრეტული კლასებისა და რეგიონის კონკურენტუნარიანობის დონის მახასიათებელთა მწყობრი სისტემა. ამავე დროს, სარეიტინგო სკალა უნდა იყოს საკმაოდ მარტივი, გასაგები და ზოგადად აღიარებული ყველა რეგიონისთვის.

ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა რეგიონული კონკურენტუნარიანობის შეფასების სისტემა. ძირითადი კლასები და იერარქიული შეფასების სკალა წარმოდგენილია ცხრილში 1 და 2.

ამ სკალის თითოეულ კლასში, რეიტინგები დეტალურად არის გაწერილი კონკურენტუნარიანობის მამოძრავებელი ძალების გამოყენების ინტენსივობის ხარისხის შესაბამისად. რეგიონისათვის გარკვეული რეიტინგის მინიჭებას ან შესაძლო შემდგომ ცვლილებას წინ უძღვის დეტალური გამოთვლები და ექსპერტთა დასაბუთებული დასკვნები.

ინოვაციური კლასის მქონე რეგიონებს, რომლებსაც აქვთ კონკურენტუნარიანობის ყველაზე მაღალი რეიტინგი (A++, A+, A) ეწოდებათ ეკონომიკური განვითარების ინოვაციური ტიპის რეგიონები (A კლასი). ამ კლასში რეიტინგის მინიჭება ხდება იმის მიხედვით, თუ რამდენად სჭარბობს ინოვაციების საფუძველზე შექმნილი წარმოების მაღალანვითარებული ფაქტორები. წარმოების ინოვაციური ფაქტორების დუბლირება, რომლებიც ქმნიან უნიკალურ პროდუქტებს და უზრუნველყოფებ ეკონომიკაში ინოვაციების შემდგომ გენერირებას, არის ძალზედ რთული. ისინი რთულად მისაწვდომია კონკურენტებისთვისაც რადგან როგორც წესი, მოითხოვს მრავალმხრივ ცოდნას, დიდ გამოცდილებას და უზარმაზარ ინვესტიციებს.

ცხრილი 1.  
რეგიონის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის კლასები

კლასი	რეგიონის სარეიტინგო კლასის დამახასიათებელი ნიშნები	რეგიონის ტიპი სარეიტინგო კლასის მიხედვით
A	რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მდგომარეობა იმდენად საიმედო და გრძელვადიანია, რომ მაკროეკონომიკური ვითარების შესაძლო ცვლილებები მნიშვნელოვნად არ იმოქმედებს მის მაღალ დონეზე. რეგიონის კონკურენტუნარიანობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ წარმოების უპირატესად ინოვაციური ფაქტორები	რეგიონი განვითარების ინიციატიური ტიპით
B	რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მდგომარეობა საკმაოდ სტაბილურია, მაგრამ ამ სახელმწიფოს სტაბილურობა საშუალოვადიანია და დამოკიდებულია გარე ეკონომიკური პირობების ცვლილებებზე. კონკურენტუნარიანობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ განვითარებული და ხელმისაწვდომი ფაქტორები	რეგიონი განვითარების ინიციატიური ტიპით
C	რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მდგომარეობა არასტაბილურია და არის მოკლევადიანი. ეს არის რეგიონის კლასი, სადაც არსებობს რისკი კონკურენტუნარიანობის დაკარგვისა. კონკურენტუნარიანობის მამოძრავებელი ძალას წარმოადგენს რეგიონის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ბუნებრივი და წარმოების სხვა ფაქტორები	რეგიონი განვითარების ინერციული ტიპით
D	რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მდგომარეობა არასტაბილური და საშიშია. კონკურენტუნარიანობის არსებული მამოძრავებელი ძალები მთლიანად ამოწურულია და ახალი არ იქმნება	რეგიონი განვითარების დეფოლტური ტიპით

## ცხრილი 2.

რეგიონული კონკურენტუნარიანობის რეიტინგების იერარქიული  
სკალის დონეები

კლასი	რეიტინგის კლასი	რეიტინგის დონე	რეიტინგის დონის შეფასება
A	ინოვაციური	A+++	უმაღლესი რეიტინგი
		A++	მაღალი რეიტინგი
		A+	საშუალოზე მაღალი რეიტინგი
B	საინვესტიციო	B++	საშუალო რეიტინგი
		B+	საშუალოზე დაბალი რეიტინგი
C	ფაქტორული	C++	დაბალი რეიტინგი
		C+	ძალიან დაბალი რეიტინგი
D	აუტსაიდერული	D	დეფოლტის რეიტინგი

ამრიგად, ინოვაციური კლასის მქონე რეგიონებს აქვთ გარკვეული უპირატესობები რაც ერთის მხრივ განპირობებულია ფაქტორების მაღალი პროდუქტიულობით, ხოლო მეორეს მხრივ, ახალი უნიკალური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შექმნითა და გამოყენებით. მაშასადამე, ამ კლასში კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე შეესაბამება უფრო მაღალი დონის კონკურენტულ უპირატესობებს - უფრო საიმედო და გრძელვადიან კონკურენტულ პოზიციებს.

განვითარების ინვესტიციური ტიპის (B კლასი) შესაბამისად, რეგიონების რეიტინგებს განაპირობებს ფართომასშტაბიანი და ეფექტური ინვესტირების შედეგები წარმოების თანამედროვე ფაქტორებში. რეიტინგის დონეები B ++ („საშუალო“) და B + („საშუალოზე დაბალი“) შეესაბამება რეგიონის კონკურენტული პოზიციების დიაპაზონს და მათ შემდგომ გაძლიერებას.

მთავარი სხვაობა რეგიონალური კონკურენტუნარიანობის საინვესტიციო და ფაქტორულ (C) კლასებს შორის განპირობებულია წარმოების ფაქტორებზე კონკურენტული პოზიციების არსებობით. შესაბამისად, საინვესტიციო ტიპის რეგიონალური კონკურენტუნარიანობის ზრდა მიიღწევა წარმოების ხარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზით. წარმოების ხარჯებს ამცირებს არა ფაქტორის დაბალი დირებულება, არამედ მაღალი პროდუქტიულობა, რომელიც დაფუძნებულია მაღალკვალიფიციურ შრომაზე, მოწინავე აღჭურვილობასა და ტექნოლოგიაზე.

ფაქტორული კლასის რეგიონებს C+ ("დაბალი") და C++ ("ძალიან დაბალი") რეიტინგებით აქვთ გარკვეული უპირატესობები რაც ძირითადად განპირობებულია რეგიონში

ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობით, იაფი შრომითი რესურსებით და ა.შ. მათ მიეკუთვნებათ ეკონომიკური განვითარების ინერციული ტიპის მქონე რეგიონები სადაც წარმოების შედარებით დაბალი დანახარჯები მიიღწევა რეგიონში ფართოდ ხელმისაწვდომი, იაფი წარმოების ფაქტორების გამოყენებით.

ინერციული ზრდის ტიპის მქონე ეკონომიკის კონკურენტული პოზიცია დაუცველია და მიდრეკილია უპირატესობის დაკარგვისადმი იმ შემთხვევაში თუ სხვა რეგიონებში გააჩნდება წარმოების საერთო ფაქტორებზე შეუზღუდავი წვდომის შესაძლებლობა, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც თუ ადგილი ექნება სწრაფი ეკონომიკური და ტექნოლოგიური ხასიათის ცვლილებებს. შესაბამისად, რეგიონის კონკურენტუნარიანობის „დაბალი რეიტინგი“ (C++) და „ძალიან დაბალი რეიტინგი“ (C+) ასახავს ბაზის „სისუსტის“ ხარისხს და ინერციული ზრდის ტიპის მქონე რეგიონებისათვის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა და დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნების დაბალ ხარისხს.

რეგიონებს, რომლებსაც აქვთ რეიტინგის ერთ-ერთი ბოლო დონე (D) და არ მიეკუთვნებიან კონკურენტუნარიანი რეგიონალური ეკონომიკების რიცხვს, უწოდებენ არასტაბილურ, „დეფოლტური“ განვითარების ტიპის რეგიონებს. ეს არის აუტსაიდერთა კლასის რეგიონები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ კონკურენტულ პოზიციებს და მომავალშიც შესაძლოა საერთოდ ამოვარდნენ რეგიონული კონკურენტუნარიანობის რეიტინგის სკალიდან.

ამრიგად, რეგიონული კონკურენტუნარიანობის სარეიტინგო სკალის ფორმირება და გამოყენება უპირატესობისა გულისხმობს რეგიონების დაყოფას კლასებად მამოძრავებელი ძალების ხასიათისა და რეგიონში გაბატონებული ეკონომიკური ზრდის მოდელის შესაბამისად. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა არა მხოლოდ ადეკვატურად შეფასდეს რეიტინგი, არამედ განისაზღვროს ეკონომიკური ზრდის ტიპი და პერსპექტივაში მისი გავლენა რეგიონის კონკურენტულ პოზიციაზე. ამას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა თავად რეგიონისთვის, ამ უკანასკნელის განვითარების სტრატეგიის ადეკვატურობის შეფასებისათვის და წარმოების ფაქტორების პოტენციალის უფრო სრულად გააქტიურებისათვის.

## ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2025
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები
3. ინტერნეტრესურსები

Аграрные науки

**ПРОБЛЕМЫ ИНТЕГРАЛЬНОЙ ОЦЕНКИ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ  
РЕГИОНОВ**  
**З. АХАЛАДЗЕ**

Государственный Университет Акакия Церетели

Резюме

В статье исследуются проблемы сравнительной оценки конкурентоспособности региональных экономик на основе построения шкалы рейтинга региональной конкурентоспособности. Особое внимание уделено раскрытию состава и характера движущих сил определяющих конкурентоспособность регионов. На основе рассмотрения уровней факторов конкурентоспособности, долговременности сохранения конкурентных преимуществ регионов на их основе, даны характеристики основных классов и уровней на шкале рейтинга региональной конкурентоспособности.

Agricultural sciences

**PROBLEMS OF INTEGRAL ASSESSMENT OF REGIONAL  
COMPETITIVENESS**  
**Z. AKHALADZE**

Akaki Tsereteli State University

Summary

Summary The article examines the problems of comparative assessment of the competitiveness of regional economies based on the construction of a regional competitiveness rating scale. Particular attention is paid to revealing the composition and nature of the driving forces that determine the competitiveness of regions. Based on the consideration of the levels of competitiveness factors, the long-term preservation of the competitive advantages of the regions on their basis, the characteristics of the main classes and levels on the regional competitiveness rating scale are given.

## აგთორთა საქურადღებოდ!

უკრნალი „ნოვაცია“ არის საერთაშორისო სტანდარტის ნომრის მქონე (ISSN) რეცენზირებადი და რევურირებადი სერიული გამოცემა, რომელიც ბეჭდავს მნიშვნელოვან გამოკვლევათა შედეგებს ქართველობიურ, პუმანიტარულ, ეკონომიკურ, მათემატიკურ, მექანიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ, საინჟინრო და აგრარულ მეცნიერებათა დარგებში. გამოიცემა წელიწადში ორჯერ (პირველი ნომრისათვის სტატიები მიიღება 15 აპრილამდე, მეორე ნომრისათვის - 15 ნოემბრამდე). უკრნალში დაბეჭდილი სტატიები წარმოადგენს საერთაშორისო დონის ნაშრომებს.

უკრნალის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატორული გამოქვეყნება.

სტატიები გამოსაქვეყნებლად მიიღება ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე (ავტორის სურვილისამებრ, ქვეყნების ორიგინალის ენაზე), რომელსაც თან უნდა - ერთვოდეს სამ ენაზე (ქართული, რუსული და ინგლისური) დაწერილი რეზიუმე სტატიის ავტორთა რაოდენობა ხუთს არ უნდა აღემატებოდეს.

### სამეცნიერო სტატიების გაფორმება უნდა მოხდეს შემდეგი წესის მიხედვით:

➤ სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და 15 გვერდზე მეტი (A4 ფორმატის ქაღალდის 1,15 ინტერვალით ნაბეჭდი, მინდვრები ზევით და ქვევით – 2,4 სმ, მარცხნივ – 2,5 სმ, მარჯვნივ – 3 სმ, აბზაცი – 1 სმ, გადატანებისა და გვერდების ნუმერაციის გარეშე) ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების, რეზიუმეების და ლიტერატურის ჩამონათვალის ჩათვლით;

➤ სტატია შესრულებული უნდა იყოს ტექსტურ რედაქტორ Word-ში ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;

➤ ქართული ტექსტისათვის გამოყენებული უნდა იქნეს შრიფტი - Acadnusx, 12 pt;

➤ ინგლისური და რუსული ტექსტისათვის შრიფტი - Times New Roman, 12 pt;

➤ მარჯვენა ზედა კუთხეში – მეცნიერების დარგი (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო დარგების კლასიფიკატორი (FOS);

➤ სტატიის გამოტოვებით – სტატიის სათაური;

➤ სტატიის გამოტოვებით – ავტორთა სახელი და გვარი;

➤ შემდეგ სტრიქონზე ორგანიზაციის სრული დასახელება, სადაც შესრულდა ნაშრომი;

➤ სტრიქონის გამოტოვებით – ანოტაცია სტატიის ენაზე (არაუმეტეს 1000 ნაბეჭდი ნიშნისა);

➤ სტრიქონის გამოტოვებით – სტატიის შინაარსი;

➤ სტრიქონის გამოტოვებით – რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე (რეზიუმე არაუმეტეს 1000 ნაბეჭდი ნიშნისა) (ანოტაციისაგან განსხვავებულ ენაზე, ანოტაციის ენაზე საჭირო არ არის);

➤ სტრიქონის გამოტოვებით – გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი (არანაკლებ 5 დასახელება);

➤ სტატიაში ნახაზები და საილუსტრაციო მასალები ჩასმული უნდა იყოს JPEG ან BMP ფორმატით;

- მათემატიკური ფორმულები აკრებილი უნდა იყოს რედაქტორ Equation-ის გამოყენებით;
- ავტორი/ავტორები პასუხს აგებს/აგებენ სტატიის შინაარსა და ხარისხზე.

გამოსაქვეყნებელი სტატია რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იყოს ძალის მიზნით ნაბეჭდი (1 ებზემალარი) და ელექტრონული (ნებისმიერ მატარებელზე) სახით. სტატიას თან უნდა ახლდეს დარბის საეციალისტის მიერ ხელმოწერილი რეცენზია.

ურნალის ბეჭდვა ხორციელდება ავტორთა ხარჯებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: 4600, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ., 102, მთავარი რედაქტორი ნინო ხელაძე, ტელ. 579 16 45 54, 577 97 25 42, E-mail: nino27@list.ru.

**URL:** <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/147845>